ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №22 (1723) | 15 – 21 ივნისი. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი



## „დიახ, ბატონო, მე ზვიადისტი ვარ...“



**ინტერვიუ ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორთან, ქალბატონ დოდონა კიზირიასთან**

— ქალბატონო დოდონა, თქვენი საქართველოში ჩამობრძანება სამშობლოს მონატრებული ადამიანის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ვიზიტია, თუ რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მას?

— დიახ, ეს სამშობლოში ჩამოსვლის სურვილით გამოწვეული ერთ-ერთი ვიზიტია, თუმცა, ყოველი ჩამოსვლა განსაკუთრებული ხდება ხოლმე.

**— ამჯერად განსაკუთრებულში რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ შეხვედრებს, ბევრი სხვადასხვა მოვლენის მოწმედ გახდომას, ცვლილებების დანახვას.

**— ცვლილებები საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, არა?**

— დიახ. სხვადასხვა პარტიების მიერ დაწყებულია საარჩევნო კამპანია და ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათ შეკრებაზე დასწრება, სხვადასხვა, მეტად აქტიურად მომუშავე პოლიტიკურ ფიგურებთან საუბარი და ა. შ.

**— თქვენი სიმპათია რომელმა პოლიტიკურმა პარტიამ ან ლიდერმა დაიმსახურა?**

— პიროვნულად მე დიდი სიმპათიით ვარ განმსჭვალული ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის მიმართ. მისი პარტიაც, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას სახელს ატარებს, მეჩვენება, რომ ეროვნული მიზნებით და ფასეულობებითაა შთაგონებული. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ არსებობს სხვა პარტიებიც, რომლებიც მსგავს პოზიციაზე დგანან და იმედია, ბატონ ვახტანგთან გაერთიანდებიან.

**— თქვენი სიმპათიები, როგორც ჩანს, ზვიადისტური პარტიებისკენ იხრება.**

— რატომ? ჯერ ერთი, ეს კონსტანტინე გამსახურდიას პარტია გახლავთ და არა ზვიად გამსახურდიასი. მეორეც, თუ ეროვნული ინტერესები და მიზნები ზვიადიზმს ნიშნავს, მე ამ მიმართულებისადმი სიმპათია ყოველთვის მქონდა და არასდროს არ შემიცვლია.

**— ამბობენ, რომ თქვენ სიტყვა ზვიადისტის ხმარების წინააღმდეგიც ხართ, რატომ? შეურაცხმყოფელია?**

— დიახ, წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ზვიადისტი მთავრობის მომხრე პირებისა და პოლიტიკოსების ხმარებაში უალრესად ნეგატიური მნიშვნელობით დაიტვირთა...

გაგრძელება მე-2 გვერდზე

გიორგი კობახიძე

## „როგორ იდებოდა ნაღმები ბათუმში მთელი ქვეყნის ასაფეთქებლად“



მეორე გვერდი

## ვის აშინებს ლუსტრაციის კანონის მიღება?

მესამე გვერდი

## ეს რამდენი უთავო ხელისუფალი გვყოლია?

მეორე გვერდი

## ქართული ისტორიის „მოუხელთებელი“ ქურდები

მეექვსე გვერდი

## ვინ იქნებიან საქართველოს მომავალი პრეზიდენტები?



— ვინ და რა თვისებების მქონე უნდა იყოს პოლიტიკური ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი?

— როგორია თითოეული მოქალაქის როლი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში?

ამ და სხვა მრავალ კითხვაზე თქვენთან ერთად ვმსჯელობთ ჩვენი გაზეთის ყოველკვირეულ რუბრიკაში: „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა, ანუ პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნა ქართულ პოლიტიკაში“. რუბრიკა მიჰყავს ნარგიზი გვალიას.

მეხუთე გვერდი

## ისევ ვიყიდებით სტამბულის ბაზარზე...

მესამე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ასლან აბაშიძის ბასრი ბრჭყალები



ასლან აბაშიძეს ხან აჭარის ლომს უწოდებენ და ხანაც არწივს. ერთი რამ ფაქტია, რომ აჭარის ლიდერმა ამ ახლად დაწყებულ საარჩევნო კამპანიაში უკვე საკმაოდ ბასრი ბრჭყალები გამოაჩინა, რომელიც, ალბათ, ბევრს გამოფატრავს გულ-მუცელს. „აღორძინების კავშირის“ თბილისში დაგეგმილი ყრილობა, რომელშიც ასლან აბაშიძეც აპირებს მონაწილეობის მიღებას, აბათილებს იმ მოსაზრებას, რომ „აღორძინების“ ლიდერი საკმაოზე მეტად ფრთხილია, რომელიც თითქმის სიმხდალეში გადადის, ხოლო თვით ასლან აბაშიძის გამონათქვამები მმართველი პარტიის მისამართით, პირდაპირ რინგზე დადგომას უდრის. ისინი ჩვენს პოლიტიკას არ ეთანხმებიან, მაშინ, როცა ჩვენი პოლიტიკა ქვეყნის აღორძინებაა, მათი კი — დაქუცმაცება-დაცემა და ეს ორივე შედეგი სახეზეა — აცხადებს აბაშიძე და კარგ „აპერკოტს“ სთავაზობს „მოქალაქეებს“. საარჩევნო კამპანიის ჯერ მხოლოდ პირველი რაუნდია დაწყებული, წინ დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი, მაგრამ ასეთ დარტყმებს თუ ბევრს მიიღებს სახელისუფლო პარტია, არა მგონია დიდ ხანს გაუძლოს.

### ღორის ტილს ფეხზე რატომ ვისვამთ?

ე. წ. სამხრეთ ოსეთის 1999 წლის ბიუჯეტი მიუღია მის ე. წ. პარლამენტს, რომლის საშემოსავლო ნაწილი დაახლოებით 2 მილიონი ლარის ექვივალენტია. მე მგონი, ბრმისათვისაც ნათელია, თუ რა პოტენციალის მქონე სეპარატისტული ძალა უპირისპირდება საქართველოს. ორ მილიონ ლარს საზღვარგარეთ ერთკვირიანი ვოიაჟის დროს ხარჯავს, ალბათ, საქართველოს ხელისუფლების, როგორც წესი, მრავალრიცხოვანი დელეგაცია.

ამაზეა ნათქვამი, ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებაო.

### ეს რამდენი უთავო ხელისუფალი გვყოლია

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში უნდა შექმნილიყო უკეთესი პირობები ქართული მოსახლეობისათვის არაქართულ რეგიონებში დასახლებისა და მომრავლებისა.

ახლა, როცა წალკის რაიონში წალკიდან გასული ბერძნული მოსახლეობის სახლებში არის შესაძლებლობა სტიქიით დაზარალებული ქართული ოჯახების შესახლებისა, მითუმეტეს, ლტოლვილი მოსახლეობისათვის თავზე ჭერის მიცემისა, ვერ მოხერხდა ისეთი საკანონმდებლო ბაზის მიღება, რომელიც ხელისუფლებას ამის საშუალებას მისცემს. სამაგიეროდ, ქვემო ქართლის გუბერნატორი საბერძნეთში მოგზაურობს და ჩვენი ქვეყნიდან წასულ ბერძნებს ეხვეწება, წინაალმდეგნი ხომ არ იქნებით, თქვენს სახლებში ჩვენი უბინაო ხალხი შევასახლოთო. ამასობაში ეს სახლები იძარცვება და ინგრევა.

მაინ რიდმა ერთი უთავო მხედარი წარმოიდგინა და მასზე მთელი რომანი დაწერა, ჩვენს ხელისუფლებაში კი იმდენი უთავოა, რომ საშინელებების ფილმი გეგონება.

### გინდ ყოფილა და გინდ არა



თბილისის საკრებულოს დადგენილებით, პირველი ივნისიდან დედაქალაქის მოსახლეობისათვის ქორწინების რეგისტრაცია უფასო გახდა. თითოეული ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭირო თანხას, 9 ლარს, ქალაქის საკრებულო გადაიხდის.

ამ გადაწყვეტილების მიზანი, ალბათ, ქორწინების სტიმულირებაა, მაგრამ 9 ლარად რომ დღეს ნეფე-დედოფლის დასალოც ორ ბოთლ ნორმალურ შამპანიურს ვერ იყიდის კაცი, ცნობილია. ამიტომ, საკრებულოს ეს საჩუქარი ახალგაზრდებისათვის გინდ ყოფილა და გინდ არა. თუმცა, როგორც ჭორები ამბობენ, ერთი ცნობილი ქალბატონი 9 ლარიანი ხელფასით მთელი თვე ოჯახის გამოკვებას შესაძლებლად თვლიდა.

### სად ვიშრომოთ, თორემ კი...

საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ განაცხადა — მე არ მინდა, რომ ჩვენი ხალხი შეეჩვიოს დახმარებებს, ხალხმა უნდა იშრომოსო.

ეჰ, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენი ხალხი სამუშაოს საშოვნელად ავსტრალიიდან დაწყებული კანადამდე რკინის ხელჯოხითა და ქალამნებით დადის და განა ასეთი ხალხი შრომას გაურბის? მაგრამ რა ქნას, როცა ხელისუფლების მიერ დაპირებული არც მილიონი სამუშაო ადგილია და არც ქარხანა-ფაბრიკების ჩაბოქლომებული ალაყაფის კარებები გაუღია ვინმეს, რომ იმუშაოს. სამაგიეროდ მწარმოებელი ერი მოსამსახურე ერად იქცა და თუ ასე გაგრძელდა, მალე ოფიციანტებისა და დამლაგებლების გენეტიკური კოდიც გამოგვიმუშავდება.

### რა მისი ბრალია?

ამას წინათ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა — საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რას ნიშნავს სახეზე ტალახის შესხმა, მაშინ, როცა შენთვის არც დროა შესვენებისთვის და, როგორც იტყვიან, 24 საათიანი რეჟიმით მუშაობ, რათა დროზე ეშველოს ქვეყანას, მის ყველა მოქალაქესო.

ამ სიტყვების პატრონის უპატრონოდ დარჩენილი ქვეყნის ამბები რომ არ ვიცოდეთ, მაშინ შესაძლოა პრეზიდენტისადმი სიბრალულის გამო თვალზე ცრემლიც კი მოგვდგომოდა, მაგრამ თუ პრეზიდენტი ქვეყნის ბედზე 24 საათი ფიქრობს და მუშაობს და მაინც ასეთ საშინელ დღეშია ქვეყანა, მაშინ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, კერძოდ ის, რომ ამ პრეზიდენტის ხელში მეტი არაფერი გვეშველება, რადგან რაც გვჭირს, ეს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის სიზარმაცის ან უპასუხისმგებლობის ბრალი კი არ არის, არამედ, უბრალოდ, მეტის გაკეთება ამ კაცს არ შეუძლია და რა ქნას? 24 საათი თურმე მუშაობს, ხოლო 25 საათი კი არ არსებობს ქვეყანაზე, თორემ არც იმ საათს დაინანებდა, მაგრამ არ გამოდის ამით არაფერი და რა მისი ბრალია?

### ორიენტირი — მხოლოდ ქართული

ჩვენი სახელმწიფო ვაშინგტონზეა ორიენტირებულიო, განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ ზურაბ ჟვანიამ.

ვაშინგტონი კარგია, მაგრამ სანამ მაგ ორიენტირებზე გადავიდო-

გაგრძელება მესამე გვერდზე

## დოდონა კიზირია:

# „დიახ, ბატონო, მე ზვიადისტი ვარ“...

### ინტერვიუ ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორთან, ქ-ნ დოდონა კიზირიასთან



*პირველი გვერდიდან*

რას ნიშნავს „ზვიადისტი“? თუ „ზვიადისტი“ ნიშნავს პატრიოტს, სამშობლოს გულშემატკივარს, ქართველი ერის გამანადგურებელი სიტუაციით შეწუხებულს, მისი შეცვლის მოსურნეს, კი, ბატონო, მაშინ მე ზვიადისტი ვარ და მაშინ ამ სიტყვის ხმარებაც სამართლიანია.

— **ქალბატონო დოდონა, თქვენ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილი თქვენი მეგობრების წრეში მანამდე გამოთქვით, ვიდრე პრეზიდენტი მიგიწვევდათ. საამისო მიზეზი, ალბათ, გქონდათ. რა საკითხზე გსურდათ მასთან საუბარი?**

— ედუარდ შევარდნაძე ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და ძლიერი ფიგურა გახლავთ დღევანდელ საქართველოში და მასთან შეხვედრა ისევე დამაინტერესებდა, როგორც ნებისმიერი პარტიის ან სხვა პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელთან, მე დიდი ინტერესით შევხვდებოდი ბატონ ასლან აბაშიძეს, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა.

— **რაიმე საკითხი მიზნობრივად გამოყოფილი არ გქონდათ მასთან შეხვედრის წინ?**

*მრავალი სხვადასხვა ხასიათის კითხვა მქონდა და მინდოდა მისთვის დამესვა. მე შევძელი ამის გაკეთება. ჩვენ ერთი საათი ვისაუბრეთ და ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო იყო.*

— **თუ საიდუმლო არ არის, განძის გარდა სხვა რა საკითხებზე ესაუბრეთ შევარდნაძეს?**

— კორუფციის, სხვადასხვა პოლიტიკური პატიმრების და სხვა პატიმრების გათავისუფლება-არგათავისუფლების შესახებ, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციისა და ნატოსკენ საქართველოს ორიენტაციის თაობაზე.

— **პრეზიდენტი, ალბათ, თქვენთან გულახდილი უნდა ყოფილიყო. რა აზრისაა კორუფციაზე?**

— არა მგონია, რომელიმე დიპლომატი და თანაც ისეთი გამოცდილი დიპლომატი, როგორიც ედუარდ შევარდნაძე გახლავთ, ვინმესთან მთლად გულახდილია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გარკვეულ წილად გულახდილად მითხრა თავისი აზრი. რაც შეეხება კორუფციას, იგი დათანხმდა, რომ კორუფცია საქართველოში მართლაც არის, თქვა, რომ ეს ერთ-ერთი უაღრესად რთული პრობლემაა, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლა უკვე დაწყებულია, გადადგმულია ნაბიჯები, პირველ ყოვლისა, სამართალდამცავ ორგანოებში წესრიგის დაცვის სახით და ეს პროცესი გაგრძელდება.

— **პოლიტპატიმრების გათავისუფლება ახსენეთ. კონკრეტულად ვისი პიროვნებით დაინტერესდით?**

— მე შევეკითხე, აპირებდა თუ არა იგი ჯაბა იოსელიანის შეწყალებას, მისი პასუხი უარყოფითი იყო.

— **საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და თანაც ძალიან ხშირად. ქართველი სამართალდამცავები და თვით ომბუდსმენის ინსტიტუტიც ამას უარყოფს. რატომ ხდება ასე?**

— ადამიანის უფლებების ის დამცველები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ და თვითონაც ქართველები გახლავან, ძალიან ხშირად მთავრობის კეთილგანწყობაზე არიან დამოკიდებულნი, ამიტომ ისინი ისეთს არაფერს იტყვიან, რაც მთავრობას, სამთავრობო წრეებს გააღიზიანებს. რაც შეეხება თვით ადამიანის უფლებების დარღვევას, საქართველოში, რასაკვირველია, ირღვევა.

— **როგორია საერთაშორისო აზრი უცხოეთის პრესაში ედუარდ შევარდნაძის შესახებ?**

— სხვადასხვაგვარი. არიან ისეთები, რომლებიც დადებითად აფასებენ მის პოლიტიკურ საქმიანობას. არიან ისეთები, ვინც საუბრობენ, რომ შევარდნაძე არ აღმოჩნდა ისეთი გამჭრიახი და ყოვლისშემძლე, როგორც ეგონათ, რომ მან ბევრი სერიოზული შეცდომა დაუშვა, ზოგიც ნეიტრალურად საუბრობს მასზე... მოკლედ, სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს.

— **მის სერიოზულ შეცდომებად რას მიიჩნევენ?**

— სერიოზულ შეცდომებად უთვლიან გარკვეულ ჩავარდნას ეკონომიკაში, პოლიტიკური პოზიციის გაურკვევლობას მისი საქართველოში ჩამოსვლის პირველ წლებში. მის ძალზე პრორუსულ პოზიციას აქ ჩამოსვლის დასაწყისში.

— **შევარდნაძე და მისი მომხრეები აშკარად ამტკიცებენ, რომ პროდასავლური ორიენტაცია აქვთ აღებული...**

— დღეს ნამდვილად, როგორც ბატონი ედუარდი, ისე მისი მხარდამჭერები პროდასავლურ ორიენტაციას ირჩევენ, ამაში მე ეჭვის შეტანა გამიჭირდება, მაგრამ ამ პოზიციის გამოკვეთილად აღება ძალზე დააგვიანდათ და რუსეთს მისცეს ძალიან დიდი შანსი, გამაგრებულიყო კავკასიაში. ახლა ძალზე რთული იქნება მათთან დაპირისპირება.

— **როგორ აფასებს დასავლეთი ტერაქტების იმ სერიალს, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში ეწყობოდა?**

— ბოლო ტერაქტი ჩემი აქ ყოფნის დროს გაიხსნა, ამიტომ არ ვიცი რას ფიქრობენ იქ. რაც შეეხება წინა ტერ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## გიორგი კობახიძე: „როგორ იდება ნაღმები ბათუმში მთელი ქვეყნის აფეთქების მიზნით“...



— **ბატონო გიორგი, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიტუაცია თანდათან დაიძაბა და პარლამენტარებიც ცემა-ტყეპასა და გაწევ-გამოწევაში „დასპეცდნენ“, რომ იტყვიან, გამონაკლისს არც „სახალხო“ წარმოადგენს...**

— ამ ბოლო წელს ასეთი სცენების ხილვის საშუალება საკმაოდ ხშირად აქვს ჩვენს მაყურებელს და ეს შემთხვევითი სულაც არ არის. დიახ, ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ არჩევნები ახლოვდება. აქ მარტო იმაზე არ არის საუბარი, რომ არჩევნებში ვიღაცას ხმების რაოდენობის მოპოვება უნდა, აქ საუბარია იმაზე, რომ, როცა არჩევნები ბალანსს შეცვლის ხელისუფლებაში, ძალების გადანაწილების ახალ ვარიანტს მოგვცემს, ბევრს სათუოდ ექნება საქმე, თავისი ავტორიტეტი და პასუხისმგებლობის ზიდვის უნარი მაქვს მხედველობაში, და საერთოდ კანონთან ურთიერთობის საკითხი.

პირველ რიგში ამას საპარლამენტო უმრავლესობაზე ვამბობ. ფაქტია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ქვეყანა დააქცია, დაამშია, უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა, შიდა და საგარეო ვალებით აავსო, ამით ფაქტიურად შვილები და შვილიშვილებიც მძიმე ყოფისათვის გასწირა, „დაარიგა“ ტერიტორიები, ყველაფერზე პასუხი უნდა მოეთხოვოთ და ისინი ამას გრძნობენ. ამიტომ არის მათი პროპაგანდა უცნაური შინაარსის მატარებელი. ამომრჩეველს იმას კი არ ეუბნებიან, რომ ამირჩიეთ, ომებს მოვიგებ, ქვეყანას ავაშენებ, კრიზისებს დავძლევო, არამედ, მე თუ არ ამირჩევ, ჩემზე უარესი მოვაო.

აქედან ჩანს, მათაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ ხვალ ველარ იქნებიან იმ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს იმყოფებიან. ეს ყველაფერი შემოდგომის ბუზის მდგომარეობაში აგდებს თითოეულს და ამიტომ ნერვიულობაც დაეტყოთ, განსაკუთრებით ფრაქციის ლიდერებს, მათ თუ მეტი არა, ისეთივე დრო აქვთ თავისი გამოსვლების დროს, როგორც ჩვენ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მამუკა გიორგაძის გამოსვლის შემდეგ აფორიაქდებიან ხოლმე, დაიწყებენ სირბილს, ხელფეხის ქნევას და ამაში გამორჩეული მიხეილ მაჭავარიანი და მიხეილ სააკაშვილი არიან. ზურაბ ჟვანიას საერთოდ დაავიწყდა თავისი უფლება-მოვალეობები და არ არსებობს ფრაზაც კი, რომელზეც კომენტარს არ აკეთებდეს, იგი წამდაუწუმ ერევა სხდომის მიმდინარეობაში, რაც კანონით ეკრძალება. ის უნდა იყოს არბიტრი, რომ საკითხის და გამომსვლელის რიგითობა განსაზღვროს და არა კომენტატორი, რომ კომენტარები აკეთოს. ჟვანიას და მის მეგობრებს პირველ რიგში სიმართლის ეშინიათ. მამუკა გიორგაძე ხშირად ამ სიტყვასთან არის ასოცირებული.

— **მიხეილ მაჭავარიანმა ამას წინათ ბრძანა, ოპოზიციური პარტიები სერიოზულ დაფინანსებას იღებენ, რათა ყოველ სამშაბათს გაიმართოს ასეთი აყალ-მაყალი. ვის გულისხმობდა დამფინანსებელში?**

— ამაზე მაჭავარიანს კანონით უნდა მოეთხოვებოდეს პასუხი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ ერთი კაცის ქვეყანაში ვცხოვრობთ, ისეთ თემებზეც ვერ ვახერხებთ პასუხის მიღებას, როგორიცაა ბიუჯეტი და მილიონების და ასეული მილიონების გაქრობა, ცილისწამებებზე და შეურაცხყოფებზე პასუხის მოთხოვნა ხომ საერთოდ უაზროა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის აშინებს ლუსტრაციის კანონის მიღება?

საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება პოლიტიკური ციებ-ცხელება ქვეყანაში. ერთი მეორეზე მიყოლებით იქმნებიან პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, თითქოს ისედაც ცოტანი იყვნენ. ძველები ერთიანდებიან პოლიტიკურ ბლოკებში, დგება პარტიული სიები. ტარდება საქალაქო, სარაიონო, რეგიონული კონფერენციები, ყრილობები. როგორც იტყვიან, პოლიტიკური ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

პოლიტიკურ ბატალიებთან კავშირში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მათში ჩაბმულია საეჭვო ვინაობის, აზრისა და ქცევის ბევრი ადამიანი, რომელთა შორის ზოგიერთი მაინც და მაინც არც ადრე ქმნიდა ნდობის დიდ ილუზიებს. დღეს სავალალო ის არის, რომ მათ რიგებს ახლებიც საკმაოდ დაემატნენ. საფიქრებელია, რომ ეს ძალები, როგორც წინასაარჩევნო კამპანიის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც შექმნიან მრავალ კონფლიქტურ სიტუაციას, ხელს შეუწყობენ დაძაბულობის ახალი კერების გაჩენას, მეტ შუღლსა და უნდობლობას დასთესენ ხალხში, საზოგადოებაში. ამ მოსაზრებით ნახელმძღვანელევმა ზოგიერთმა ცნობილმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ ბოლო თვეებში კვლავ დააყენა ლუსტრაციის კანონის მიღების საკითხი.



გდრ-ს უშიშროების სამინისტროს მთავარი კორპუსი, ამჟამად მუზეუმი

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუ დროულად არ მიიღებენ ლუსტრაციის კანონს, მაშინ გამოვა, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო სავარაუდო აგენტ-შპიონებისა და ინფორმატორების საქმიანობის თავისუფალ და შეუზღუდავ არეალად დარჩება კვლავ. დაუსჯელობა-არმხილების სინდრომი უმწვავეს სოციალურ პირობებში მოქცეულ მრავალ ჩვენს თანამემამულეს სულმოკლეობის გამო ასეთი „მოღვაწეობისაკენ" უბიძგებს. საქმე ისაა, რომ არც ჩრდილოური და არც სხვადასხვა ქვეყნების აგენტურა დაწოლას არ შეანელებს საქართველოზე, როგორც საერთაშორისო ფუნქციებში ალიარებულ ქვეყანაზე და დღენიადაგ იმის ცდაში იქნება, ახალ-ახალი მოკავშირეები შეიძინოს ჩვენს თანამემამულეებს შორის. ისმის კითხვა, — რატომ უნდა შექმნას სახელმწიფომ, ხელისუფლებამ ანტისახელმწიფოებრივი ქმედების ახალ-ახალი პრეცედენტები? რატომ დროულად და საიმედოდ არ გადაკეტავს იგი იმ არტერიას, რომელიც ამდენ შეჯახებას, ნგრევას, მსხვერპლს, მორალურ დაცემას იწვევს საზოგადოებაში, ქვეყანაში?

რის უნდა ეშინოდეს უდანაშაულო კაცს? გულწრფელად რომ ვთქვათ, — რატომ უნდა გაურბოდეს ლუსტრაციის კანონის მიღებას ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, მით უმეტეს პარლამენტის წევრი, პარლამენტი საერთოდ და აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად? დეპუტატის საპარლამენტო მოღვაწეობის უზენაესი მიზანი ხომ ქვეყანაზე, სამშობლოზე, საზოგადოებაზე, მის უკეთესად მოწყობაზე, ჰარმონიულობაზე, დემოკრატიაზე ზრუნვაა. და განა პატარა საქმე იქნება, თუკი ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური იმიჯის შექმნაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების გაძლიერება-განმტკიცების საქმეში თავიდან მოვიცილებთ ისეთ დაბრკოლებას, რომელიც საეჭვოს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები
## რეპლიკა-კომენტარებით

მეორე გვერდიდან



დეთ, ფრთხილად ვიყოთ, ატლანტიკის ან წყნარი ოკეანის ტალღებში არ ჩავიძიროთ. ჩვენი ღრმა რწმენით, თუ გვსურს, რომ გვეშველოს, ორიენტირი საქართველოზე და მის ინტერესებზე უნდა გვქონდეს. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნეთანიაჰუს გამონათქვამს, რომ ისრაელის ინტერესია მთავარი ჩვენს პოლიტიკაში და მის ინტერესს დავიცავთ ყოველთვის, თუნდაც ამას ჩვენი მეგობარი ამერიკა შეეწინააღმდეგოსო.

საინტერესოა, როდის ვისწავლით ქართული ორიენტირებით სიარულს?

### ისევ ვიყიდებით სტამბულის ბაზარზე

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა ჯეიმს ვულფენსონმა პირობა მისცა საქართველოს ხელისუფლებას, რომ 85 მილიონ ტრანშს გამოუყოფს საქართველოს. ამ ფულის მიღებაზე უკვე ხელებს იფშვნეტენ ხელისუფლების მაღალი გვამები. თუ ბატონმა ჯეიმსმა სიტყვა არ დაარღვია, მაშინ ხელისუფლებას ეძლევა შანსი — დაარიგოს საკუთარი ხალხის მიმართ თავისი დავალიანება პენსია-ხელფასების სახით და ამით საარჩევნო ქულები ჩაიწეროს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს თანხა ვალად აწვება ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და უცხო სახელმწიფოთა ფინანსური ბადის პატიმრებად აქცევთ, რომლისგანაც თავს ასე იოლად ვერ დაიძვრენენ.

ასე რომ, იცის ვულფენსონმა, რასაც აკეთებს, იგი იმ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით ყიდულობს მილიონობით ქართველს, რომლებმაც შემდგომ მონებივით უნდა იშრომონ ამ უაზროდ დადებული ვალების გასასტუმრებლად.

ასე რომ, სტამბულის სავალალო ბაზარი ქართველი ტყვეებისთვის უფრო მასშტაბურად მუშაობს.

# დოდონა კიზირია: „დიახ, ბატონო, მე ზვიადისტი ვარ"...

მეორე გვერდიდან

აქტებს, ზოგი ფიქრობს, რომ ეს იყო რუსეთის მიერ შემუშავებული, ზოგი ფიქრობს, რომ ეს თვით ედუარდ შევარდნაძის სცენარით იყო დადგმული, რათა საზოგადოების სიმპათია გამოეწვია და ზოგიც ფიქრობს, რომ რაღაც ლოკალური წარმოშობა ჰქონდა და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების ნამოქმედარი.

— **ტერაქტების ორგანიზატორად საქართველოში იგორ გიორგაძეს მიიჩნევენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ არის იგორ გიორგაძე დასავლეთისათვის?**

— იგორ გიორგაძე დასავლეთში არის ნული და მას იქ იმ კავშირში ახსენებენ, როგორც საქართველოსა და რუსეთის პრესაში მოიხსენიება, რომ ეს არის ვიღაც პროკომუნისტური პიროვნება, რომელიც ან მართლაც შეიძლება იყოს დამნაშავე ტერაქტების მოწყობაში, ან არ არის დამნაშავე, მაგრამ საკმარისი ინფორმაცია ამის შესახებ არ მოეპოვებათ.

— **დღევანდელი ოპოზიცია, თქვენი აზრით, ჭეშმარიტი ოპოზიცია არ არის...**

— სამთავრობო ოპოზიცია ნამდვილად არ არის ჭეშმარიტი. ეს არის ოპოზიციის ილუზიის შემქმნელი, ეს არის მართვადი ოპოზიცია, რათა შეიქმნას აზრთა სხვაობის არსებობა დღევანდელ პარლამენტში, ამიტომ, რასაკვირველია, სერიოზულ ოპოზიციად არ მიმაჩნია.

— **თქვენ ვის თვლით ჭეშმარიტი ოპოზიციის წარმომადგენლად?**

— ჭეშმარიტი ოპოზიცია სერიოზულად უნდა იცავდეს იმ საკითხებს და იმ ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც არ შედის მთავრობის მიზნებში. ამიტომ ჭეშმარიტ ოპოზიციად მიმაჩნია ის ხალხი, ვინც ეროვნული ინტერესების გამომხატველია და ამ მიზნებისათვის სურს ბრძოლა.

— **ეროვნული განძის ამერიკაში საგამოფენოდ გატანას დიდი რეზონანსი მოჰყვა და საზოგადოებრივი აზრი გაიხლიჩა. თქვენი პირადი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით როგორია?**

— მე რამდენჯერმე გამოვთქვი ჩემი აზრი და იმედია, საკმარისად გავუსვი ხაზი იმ ფაქტს, რომ ეს არის პირადად ჩემი აზრი. მე არ ვარ განძის საკითხში სპეციალისტი, მის გატანას არც რელიგიური პოზიციიდან ვუყურებ, როგორც ზოგიერთები, მე წინააღმდეგი ვარ მისი გატანისა იმ მოსაზრებების საფუძველზე, რომელიც შემექმნა სპეციალისტების მიერ განძის ფიზიკური მდგომარეობის აღწერის შემდეგ. მე ძალზე კომპეტენტურად მომეჩვენა სტატიები, სადაც განძთან უშუალოდ დაკავშირებული და იქ მომუშავე პერსონალი ლაპარაკობს განძის გატანის ხიფათზე, რომ ამას შეუძლია სერიოზულად დააზიანოს ეს განძი. ეს არის ყველაზე მთავარი, მეორეც, მე მაინც და მაინც დიდ ნდობას ვერ ვუცხადებ იმ მუზეუმებს, რომლებიც მოითხოვენ ამ განძის ექსპოზიციას. ისინი არ არიან ყველაზე პრესტიჟულნი. უფრო სწორად, მეორეხარისხოვანი მუზეუმები არიან, რომელთაც გაცილებით ნაკლები საშუალება აქვთ საქართველოს მთავრობას განძის უსაფრთხოების გარანტია მისცენ, როგორც ექნებოდა სმიტსონის, მეტროპოლიტენის, ჩიკაგოს ხელოვნების მუზეუმებს და ა. შ. მესამეც, თვით ის ხალხი, რომელიც მოითხოვს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას და რომელთა ხელმძღვანელობითაც უნდა მოხდეს განძის გატანა, რამდენადაც მესმის, ადრე არ ყოფილან პასუხისმგებელი განძის მიმართ, ამიტომ, რატომღაც ვერ დავრწმუნდი, რომ ეს საუკეთესო შესაძლებლობაა.

— **თქვენ ბრძანეთ, მე ეკლესიური პოზიციიდან არ ვაფასებ განძის გატანა-არგატანის საკითხსო. თუ საიდუმლო არ არის, როგორია თქვენი სარწმუნოებრივი აღმსარებლობა?**

— ჩემი თავი მე მართლმადიდებელ ქრისტიანად მიმაჩნია, მაგრამ მძაფრი რწმენა, სისხლში და ხორცში გამჯდარი, სამწუხაროდ, არ მაქვს. მე გავიზარდე ათეისტურად. ჩემმა ბავშვობამ ათეისტურ ატმოსფეროში ჩაიარა, რაც დღემდე ხელს მიშლის, ისე აღვიქვა რელიგია, როგორც აღიქვამენ ახალგაზრდები, რომლებიც სწორედ რელიგიური მოსაზრებებით არიან განძის გატანის წინააღმდეგნი.

— **დღევანდელი გადასახედიდან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ხშირად ადანაშაულებენ, რომ ქმედითი, დიდი მნიშვნელობის ფაქტი არ განუხორციელებიათ საქართველოსათვის.**

— საკვირველია! იცით, ზვიად გამსახურდიას არჩევის პირველი დღიდანვე გააფთრებულად დაუწყეს ბრძოლა. გასაცვიფრებელია ის, რამდენი მოასწრო ზვიად გამსახურდიამ მთავრობაში, რამდენი კანონი შეიმუშავა იმ ცოტა და უაღრესად მტრულ სიტუაციაში. მე პირადად ვმუშაობდი საერთაშორისო მონეტარულ ფონდთან, რომელიც განიხილავდა საქართველოში უკვე ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ არსებულ კანონპროექტებს, რათა ან შესწორება შეეტანა, ან რჩევა მიეცა. ამ პროექტების 95% მიღებული, შემუშავებული, დამტკიცებული იყო გამსახურდიას მთავრობის და ზვიად გამსახურდიას მიერ.

— **სანაცვლოდ დიდად ესმება ხაზი შევარდნაძის „ამაგს", რომელიც საქართველოს წინაშე მიუძღვის...**

**პირადად შევარდნაძის დამსახურებაა დასავლეთთან ასეთი ურთიერთობა, თუ გეოპოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით დასავლეთს სჭირდება საქართველო და ყველანაირად ეხმარება მას?**

— რასაკვირველია, შევარდნაძისადმი მხარდაჭერა გამოწვეულია ორივე ფაქტორით. ერთი, საქართველო არის ძალზე რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. დასავლეთი დაინტერესებულია გავლენის ქონით და ამიტომ მხარს უჭერს იმ პიროვნებას, რომელიც შეძლებს, ხელი შეუწყოს სტაბილიზაციას ამ რეგიონში. გარდა ამისა, დასავლეთს ძალიან ეშინოდა ისეთი პიროვნების მოსვლისა, რომელთანაც არავითარი საერთო არ ექნებოდა და არ ეცოდინებოდა, ვინ იქნებოდა იგი. შევარდნაძესთან კი იციან, როგორ ილაპარაკონ, იციან ვინ არის ის, რა სისუსტეები და სიძნელეები აქვს და ეს უფრო აწყობთ.



— **როგორია თქვენი შეხედულება ქართულ მასმედიაზე?**

— ალბათ, მხედველობაში გაქვთ, როგორც გაზეთები, ასევე ტელევიზია. სამწუხაროდ, ყველაზე გავლენიანი, ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი მედიუმი ინფორმაციისა — ტელევიზია არის აბსოლუტურად უზურპირებული მთავრობის მიერ და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობას, სამთავრობო პოზიციებიდან აშუქებს მოვლენებს, ამიტომ, ფაქტობრივად ძალიან ძლიერ, სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენს მთავრობის ხელში, საზოგადოებრივი აზრის შექმნის და მანიპულაციის სერიოზულ ბერკეტს.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ მე შევესწარი ორი აქციის დარბევას, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა ტელევიზიამ გააშუქა პოლიციისა და ომონის პოზიციებიდან. მთავარი მოლაპარაკეები პოლიციის და ომონის უფროსები იყვნენ, ხოლო იმ ხალხის წარმომადგენლები, რომლებმაც აქცია ჩაატარეს, არც კი გამოჩენილან. სამთავრობო-საინფორმაციო არხი პოლიციურ-დამსჯელი პოზიციიდან აშუქებს ყველაფერს, ეს ნამდვილად არ ეკადრება დემოკრატიულ სახელმწიფოს და იმ მთავრობას, რომელიც დემოკრატიაზე დებს თავს.

რაც შეეხება პრესას, თითქოს, მართლაც თავისუფალი, მთავრობისაგან ძალზე ოპოზიციური და კრიტიკული აზრი იბეჭდება, მაგრამ ეს თავისუფალი აზრი ჩერდება თითოეული გაზეთის მკითხველთა წრეში. გაზეთების სიმრავლე იწვევს იმას, რომ ესა თუ ის საინტერესო ფაქტი, რომელიც გაშუქებულია ერთ ან ორ გაზეთში, ვრცელდება მკითხველის რიცხობრივად ძალიან მცირე ჯგუფზე; ამიტომ აზრი როგორც ტერიტორიული თვალსაზრისით არის შემოზღუდული, ისე რაოდენობრივადაც. ფართოდ კი ისევ და ისევ სამთავრობო გაზეთები ვრცელდებიან. სამწუხაროა, რომ გაზეთებში მხილებული ფაქტები არ ხდება საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, არავითარი გამოხმაურება არ ეძლევა, რამდენადაც ვიცი, მთავრობის მხრიდან, არ ხდება ფაქტების დამტკიცების ან უარყოფის მცდელობა, და შეიძლება ითქვას, დღევანდელი ქართული პრესა მოქმედებს შემდეგი კანონით: წერე და იკითხე. თავისუფალი აზრი საკმაოდ ძალაგამოცლილია და ქართული პრესა, როგორც მასმედიას უწოდებენ ხოლმე, სულაც არ წარმოადგენს მეოთხე ხელისუფლებას, უფრო სწორად არ არის არანაირი ხელისუფლება.

**მანანა ლოგჯანიძე**

# გიორგი კობახიძე: „როგორ იდება ნაღმები ბათუმში მთელი ქვეყნის აფეთქების მიზნით“...

*მეორე გვერდიდან*

**— როგორ განვითარდა იმ დღეს, 25 მაისს, სცენარი?**

— კი, ბატონო, განვიხილოთ და ვნახოთ, ვის ინტერესებში იყო ის, რაც მოხდა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ პარლამენტარ ვახტანგ შამილაძეს მიეცა მოხსენების გაკეთების საშუალება, იმ მოტივით, რომ მას თვითმფრინავზე ეჩქარება, გამოვიდა და ჩაატარა ლექცია თემაზე, როგორ იდება ნაღმები ბათუმში მთელი ქვეყნის აფეთქების მიზნით; ყველაფერს თავის ფორმა და ზომა



აქვს. კაცი როცა აკეთებს განცხადებას, ადრესატ მხარეს უნდა მიეცეს საშუალება თავისი პოზიციის გამოთქმისა და ამით უნდა დასრულდეს კამათი. მაგრამ ერთი მხრიდან 5-10 კაცი რომ გამოდის და მეორე მხრიდან დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი ზის, რაც ამ პარლამენტის მუშაობასაც კარგად ახასიათებს, (ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრაქცია ბოიკოტს უცხადებს პარლამენტის ასეთ მუშაობას) ცოტა არ იყოს, უხერხულია და მიუთითებს იმაზე, რომ სპექტაკლი მზადდება მანამდე, ვიდრე ვინმე მოთმინებიდან არ გამოვა და ყველაფერი ხელჩართულ კონფლიქტში არ გადაიზრდება.

გამოდის მიხეილ სააკაშვილი და უტიფრად აცხადებს, რომ თურმე ქვეყანას ვილაცეები ჭამენ და ისინი ამას არავის აპატიებენ, მაშინ, როცა ყველა ის შემჭმელი მათი დანიშნულია, მათი პარტიიდან არის და მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მუშაობს, პირველ რიგში მთავრობა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა რგოლები მაქვს მხედველობაში, რწმუნებულები, გამგებლები და სხვა, ნამუსიც კარგი საქონელია.

ვიდრე აჭარაზე იყო საუბარი, არ ჩავრეულვართ, მერე კი სააკაშვილმა ილაპარაკა, თავად როგორი კარგი ბიჭები არიან, ხოლო მათ გვერდზე მყოფნი — კორუმპირებულები, ასეთ საზიზღრებს „კარგი ბიჭები“ დაუპირისპირდებიან და პრეზიდენტის ირგვლივ არეს გაწმინდავენო.

ეს საშინელებაა, რადგან ამ ბიუჯეტს სწორედ სააკაშვილმა დაუჭირა მხარი და მოუწოდა თავის ფრაქციას, მიეღოთ ბიუჯეტი, რომელიც უკვე სამი თვის მაჩვენებლების მიხედვით ვერ სრულდება. ამ უნამუსობას არ მივეცით გასაქანი, გამოვიდა მამუკა გიორგაძე და მმართველ ძალას თავზე დაამხო, რაც დასამხობი იყო. ეს სიტყვა პირდაპირ ასახავს მდგომარეობას და გასაძლიერებლად არ ვხმარობ.

ჩვენ ერთი გამოსვლა გვქონდა, იმათ ათობით, ამის საშუალებას რომ პარლამენტის თავმჯდომარე აძლევთ, ნიშნავს, რომ მართლა სპექტაკლია დადგმული იქამდე, სანამ ხელჩართულ კონფლიქტში არ გადაიზრდება. ყველა სადავე ხომ სხდომის თავმჯდომარეს აქვს ხელთ.

რაც შეეხება დაფინანსებას, აქ მთავარი ის არის, რომ მან ტალახი ისროლა. საერთოდ, იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს, როცა ვილაც საქმეს დაფინანსების გამო აკეთებს. რა მნიშვნელობა აქვს ვინ იგულისხმა დამფინანსებელში, მას თავისი სინდისი საშუალებას მისცემს, რომ ნებისმიერზე თქვას ეს.

სინდის-ნამუსი იქამდე ყოფნით, რომ ჩვენზე თქვან, შესაძლებელია „სახალხოს“ რუსეთთან ჰქონდეს ალიანსიო. ლაპარაკია იმ ხალხზე, რომლებმაც რუსეთთან დაპირისპირება მაშინ დაიწყეს, როცა მაჭავარიანი და მისი მეგობრები მატყუარა სოსკით დადიოდნენ.

ვის აწყობდა გავარკვიოთ? რამდენი ჩხუბიც ყოფილა მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლების მხრიდან, ყველაში მაჭავარიანი მონაწილეობდა, როგორც წესი. მეორე მხრიდან სხვადასხვა მონაწილეობდა, ხან ვანო ხუხუნეიშვილი, ხან ვახტანგ რჩეულიშვილი, ხან ჯგუშია, ხან პატარიძე. ლოგიკური დასკვნა როგორია? მათი მიზანი კონფლიქტია და როცა ყელში ამოგიყვანენ, კაცი თავს ვერ შეიკავებ. საზღვარიც მათ მიერ წინასწარ არის დაგეგმილი.

**— არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის საჭირო იყო ბიუჯეტიდან გარკვეული თანხის გამოყოფა. როგორც ცნობილია, აუცილებელი თანხის მესამედიც კი არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში...**

— ერთ-ერთი განმსაზღვრელი არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისა, დემოკრატიული პროცედურების უზრუნველყოფისა სწორედ მისი დაფინანსებაა. საარჩევნო კომისიები, სადაც ხალხი უხელფასოდ, უბენზინოდ, უმანქანოდ, უქაღალდოდ და უფანქროდ მუშაობს, ჯერ ვერ გაართმევს თავს საქმეს იმ დონეზე, როგორც იმ ქვეყანას ეკადრება, როგორიც საქართველო გვინდა იყოს ახლო მომავალში. მიზერული თანხა იმიტომ გამოიყო, რომ არეულობაში მაქსიმალურად მისცემოდათ თევზების ჭერის საშუალება, ამას ახერხებენ, თუმცა შედარებით ნაკლებად, ვიდრე უწინ.

**— თავის დროზე რატომ არაფერი ითქვა ამ საკითხზე?**

— ითქვა. თვითმმართველობის არჩევნების წინაც ითქვა, ახლაც ითქვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ ხმების რაოდენობა ჰყოფნით ბიუჯეტის მისაღებად. პლიუს ერთი ხმით მიიღეს ბიუჯეტი თუ გახსოვთ, და ეს ერთი ხმაც გათვლილი ჰქონდათ.

**— არჩევნების წინ მოდად იქცა 7%-იან ბარიერზე საუბარი და ყველა, ვისაც აქვს ან არ აქვს თავი მისი გადალახვისა, მაინც მომხრეა კანონში ცვლილების შეტანის ...**

— ამ დღეებში ყველაფერს ფარდა აეხადა. გამართლდა ის პროგნოზი, რასაც ჩვენ ვამბობდით. ეს თემა „შემოგდებულია“ არა იმიტომ, რომ დამოუკიდებლად შედეგზე იყოს გათვლილი, არამედ იმიტომ, რომ მას კუდები მოებას.

მოქალაქეებმა გამოიყენეს ეს თემა და თქვეს, მოდით ერთ ჭრილში განვიხილოთ 7% და ის შესწორებები და დამატებები, რომელიც მოდის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მათ შორის ეროვნული თანხმობის დარბაზიდან, მოქალაქეთა კავშირის გარკვეული ჯგუფებიდან და ა. შ.

რა გამოვიდა? განსახილველი საკითხების რიცხვი დაგროვდა და როგორც ლოკომოტივს, ისე ჩაეჭიდნენ 7%-იან ბარიერს.

მე ვთქვი, არც ერთ შემთხვევაში მონაწილეობას არ მივიღებ, თუნდაც ორი საკითხი რომ იყო განხილული არჩევნებთან დაკავშირებით. მე მინდა ის გარიგება გამოაშკარავდეს, რომელიც მოქალაქეებსა და ედპ-ს შორის არსებობს.

ზურაბ ჟვანიამ მიპასუხა, ჩვენ არც ვმალავთ, რომ მხოლოდ გარიგების საფუძველზე შეგვიძლია დავუჭიროთ მხარი ამ გადაწყვეტილებას. თუ მხარდაჭერას არ მივიღებთ სხვა საკითხებში, არანაირი ინტერესი არ გვაქვს, ბარიერი 5%-იანი იქნება თუ 7%-იანი და ამ აჟიოტაჟითაც ვილაცას ქულებს ისე არ ავაღებინებთ.

ბოლოს საქმე აბსურდამდე მივიდა. სარიშვილმა თქვა, თუ მოქალაქეთა კავშირი 7%-იან ბარიერს მხარს დაუჭერს. კომპრომისის სახით ჩვენ მხარს დავუჭერთ იმას, რომ ჯამური პროცენტი 51%-მდე გაიზარდოს.

თუ გადამლახავი ორგანიზაციები ვერ აგროვებენ 50%-ს, დაემატოს ორგანიზაციები, სანამ 51% არ შესრულდება.

7% იმიტომ შემოდის, რომ ორგანიზაციების რიცხვი შემცირდეს, ფაქტიურად მეორე ვარიანტით, ვითომ კომპრომისით კი სარიშვილი ორაგნიზაციების გამრავლებას უჭერს მხარს. როცა ბარიერის პროცენტი იზრდება, ორგანიზაციების ჯამური რაოდენობაც 51%-მდე იზრდება, კი არ მცირდება. ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია ედპ-ს ინიციატივასა და მოქალაქეების თევზაობას შორის. ეს კიდევ ერთხელ ამხელს მათ ძალიან ძმურ და მეგობრულ დამოკიდებულებას.

**— გამოდის, რომ ედპ-ს მართლა აწყობს 7%-იანი ბარიერი? არსებობდა ვარაუდი, თითქოს სარიშვილმა საკითხი დაგვიანებით წამოჭრა იმის იმედით, რომ კანონში ცვლილებების შეტანა მაინც ველარ მოესწრება და ქულებს მაინც დაიწერო.**

— პარალელურად ეს ასეც არის. ჩვენ სოციალური გამოკვლევების გზით ვსწავლობთ განწყობებს. სარიშვილის რეიტინგი დაბლა იყო დაწეული თვითმმართველობის არჩევნებიდან მასამდე პერიოდში. მისი მისამართით უცებ ინტერესი გაჩნდა, რაც 7%-ზე დაიწყო საუბარი და ტელევიზიით და გაზეთებით მისი გამოსახულებების ჩვენება გახშირდა.

**— რამდენად რეალურია, რომ კანონში ცვლილებები შევა?**

— ერთია იურიდიული მხარე, მეორე მორალური, რომელიც აუცილებლად იურიდიულ ასახვასაც იმსახურებს. უშუალოდ არჩევნების წინ საარჩევნო კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით საუბარი არ უნდა იყოს. ცხადზე ცხადია, ეს ვილაცის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაში მმართველ ძალას ვგულისხმობ. თუ ხარვეზებია კანონში, პირველივე არჩევნები რომ დამთავრდება, ამას დავინახავთ, მერე გაკეთდეს შესწორებები. საერთოდ, საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებაც კანონში ალბათ უნდა დაფიქსირდეს, რომ მისი განხილვა არჩევნებამდე არა უგვიანეს ერთი წლით ადრე უნდა მოხდეს, რომ ამან პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინოს.

**— არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტი. თქვენი აზრით, იყო თუ არა იგი ნამდვილი ან ნელი მოქმედების ნაღმი რატომ ჩადო შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპუტატების დასაფრთხობად?**

— საკითხი სწორედ ასე უნდა დაისვას, ცალკე უნდა ვისაუბროთ ტერაქტზე და ცალკე მის გაფორმებაზე. ეს მართლაც სხვადასხვა პროცესია და სამწუხაროა, რომ ასე ხდება. როცა საქმე ქვეყნის პირველ პირს, სახელმწიფოს ბედს ეხება, ტერაქტისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი. ეს ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა მობილიზაციის, ერთი მიზნისაკენ გაერთიანების საფუძველი კი არ უნდა იყოს მარტო, არამედ მთელი საზოგადოების შეკვრისა. ჩვენთან ყველაფერი საწინააღმდეგოდ ხდება ხოლმე. საქართველოში [illegible] დაქსაქსვის, განხეთქილების დამატებითი მაპროვოცირებელი გარემოება, რაც კიდევ ერთხელ ახასიათებს დღევანდელ ხელისუფლებას.

მე არ გამოვრიცხავ, პირიქით, მიმაჩნია, რომ საფრთხე ტერაქტისა მართლაც არსებობდა, ასეთი გეგმა მართლაც დგებოდა და შეიძლება იგი რამდენიმეც არსებობდეს, რადგან ისეთ გაჭირვებულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ყოველთვის დაეწევა ქვა აღმართში.

მეორე მხარე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყენა ტერაქტის ადრესატმა ეს ფაქტი. ხელისუფლებამ ტერაქტით კარგი საშუალება დაინახა თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისა. აქ იყო პირდაპირი ბრალდებები, თითის გამოშვერები და ფიგურირებდა სახალხო პარტიის და „აღორძინების“ სახელი. ისინი ვერც ფაქტებს წარმოადგენდნენ, ვერც ანალიზს, რომ შეიძლება რომელიმე ჩვენთაგანის თავში ანტისახელმწიფოებრივმა აზრმა გაიელვა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს მათთვის, მათ სიტყვა გაისროლეს და შედეგს ელიან ...

მე ვფიქრობ, ამით ხელისუფლება ვერაფერს ვერ მიაღწევს, თავისთვის საბოლოოდ ძირს მძიმე დანარცხებას იმზადებს, რაც უფრო მეტ ტალახს დააგროვებს, უფრო ღრმად ჩაეფლობა მასში.

**— თქვენი აზრით, რა დატვირთვა უნდა ჰქონოდა, როცა შევარდნაძემ ორშაბათს ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, კონფიდენციალურ ინფორმაციას ვფლობთ, რომ არსებობს გეგმა წინასაპარლამენტო პერიოდის განმავლობაში საქართველოს დაშლის შესახებო?**

— ამას მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს, თუკი პრეზიდენტი ფლობს რაიმე ინფორმაციას, იმ ინფორმაციის რეალიზებაზე უნდა იმუშაოს და შედეგი უნდა აჩვენოს. როცა ოპოზიცია რაიმეზე ვლაპარაკობთ, ვამბობთ მხოლოდ იმიტომ, რომ პირდაპირი გზები არ გაგვაჩნია ჩვენი პოზიციის გატანისა, არ გვყოფნის პულტები, არ გვაქვს შესაბამისი თანამდებობები, რომლიდანაც გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება ხელგეწიფება. პრეზიდენტმა კი არ უნდა ილაპარაკოს, საქმე უნდა აკეთოს. ის არ უნდა ამბობდეს, რუსის ჯარს გავიყვანო, ადგეს და გაიყვანოს და თუ ის სხვა პოლიტიკური ძალებისგან მხარდაჭერას მოითხოვს, ჩვენ ყოველთვის ვაცხადებთ, რომ ამისთვის მზად ვართ.

**— თქვენი აზრით, რა სარჩული უდევს იმ გახმაურებულ კონფერენციას, რომელიც ახლო მომავალში აჭარაში უნდა გაიმართოს...**

— ასლან აბაშიძემ კონფერენციასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, რომ კონფერენცია ერთა თვითგამორკვევის თემაზე ბათუმში არ გაიმართება და ის ამას არ დაუშვებს.

ვიდრე ამ ფაქტის მომსწრე არ ვიქნებით, რომ ასეთი შეხვედრა გაიმართა, არანაირი უფლება არ გვაქვს, მისი განცხადება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ.

**მანანა ლოგჯანიძე**

# ვის აშინებს ლუსტრაციის კანონის მიღება?

*მესამე გვერდიდან*

ხდის ამ პერსპექტივებს. ქვეყანაში დღეს შექმნილი ვითარება აშკარად ბადებს აზრს იმის შესახებ, რომ მავანი და მავანი აღნიშნულ პროცესს დიდ შინაგან წინააღმდეგობებს უქმნის, ხალხი მათ მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ნეგატიურ შედეგებში ამჩნევს ხოლმე, ასეთი შედეგების მოთავეთა და მომწადინეთა „ინიციატივიანობა“ უმეტესწილად შეუმჩნეველია გარეშე თვალისათვის. ადამიანები, როგორც იტყვიან, კანით გრძნობენ მას, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისი არგუმენტირებული სამხილი არ გააჩნიათ მათი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამოსააშკარავებლად. ერთად-ერთი საშუალება, რომელიც ამ მოჯადოებულ წრეს გახსნიდა, ლუსტრაციის კანონის მიღება იქნებოდა. ამის შემდეგ სათანადო სამსახურები იმ პირებს, ვინც პირშავადაა სახელმწიფოსთან და ხალხთან, თანაც გარკვეული ამბიციები გააჩნიათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მაღალი სახელმწიფო თანამდებობებისადმი, მიზეზთა და მიზეზთა გამო თავაზიანად განუმარტავდნენ მათი პრეტენზიების უადგილობას.

დღეს მართლაც ძნელია იმსჯელო ჩვენი თანამემამულის პასუხისმგებლობაზე მის მიერ ნახევარი საუკუნის წინ ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგრამ იმათ ხომ გარკვეული ფორმით შეიძლება ვაგრძნობინოთ ანდა შევახსენოთ თავიანთი გაუმართლებელი საქმიანობის შესახებ, ვინც ეს ბოლო 5-8 წელია დასმენა-ინფორმატორობას ეწევა, ანდა უცხოეთის სპეცსამსახურების კარნახით მოქმედებს. ჩვენს ადგილზე ნებისმიერი ქვეყანა რაღაც ფორმითა თუ საშუალებით თავს დაიზღვევდა ამ ხალხისაგან. გაუგებარია, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს ჩვენც? მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანაა, საზოგადო მხილების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა.



გდრ-ს უშიშროების მინისტრის ერიხ მილკეს სამუშაო კაბინეტი

მიღების შემთხვევაში ლუსტრაციის კანონმა აღსრულების ისეთი მექანიზმის შექმნა უნდა გაითვალისწინოს, რომელიც უშიშროების ორგანოებს დაავალდებულებს საჭიროების შემთხვევაში როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ისე ორგანიზაცია-დაწესებულებებს მათი თხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ გარკვეული ფორმის ინფორმაცია ორგანოებისათვის უკვე ცნობილი, მაგრამ მოქალაქეებისათვის, საზოგადოებისათვის საეჭვო პირების შესახებ. დაახლოებით ისეთი, როგორიცაა ხელმძღვანელი პირების მიერ საშემოსავლო დეკლარაციების შევსება და მათი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის.

უცნობი, დაფარული ფაქტების საზოგადოებამდე, ხალხამდე მიტანის მოფიქრებული ცივილური ფორმის დამკვიდრების აუცილებლობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, თორემ, თავად მოსახლეობა, ბუნებრივია, ვერანაირად ვერ შესძლებს საეჭვო ხალხის სრულფასოვნად მხილებას, მით უმეტეს, რომ მას ამის სამართლებრივი უფლებამოსილება არ გააჩნია. ასე რომ იყოს, მაშინ მოვლენათა განვითარება 40-იანი წლების ტერორთან დაგვაბრუნებდა. ამ საქმეს დაარეგულირებს სწორედ ლუსტრაციის კანონის მიერ ჩამოყალიბებული მექანიზმი.

ლუსტრაციის კანონის მიღებისას და განხორციელებისას მიზანშეწონილი იქნება, თუკი კანონმდებელი კანონის სამოქმედო არეალში მოხვედრილ ხალხს სამ კატეგორიად დაყოფს. პირველი — უცხოეთის ქვეყნებზე ან მათი დავალებით ჩვენთან მომუშავე ჩვენი თანამემამულენი; მეორე — პირები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმით დესტაბილიზაციას უქმნიან ქვეყანას, მის ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო სუვერენიტეტს; მესამე კატეგორიაა შიდა დამსმენები, ანუ ე. წ. „ჩამშვები“ უშიშროების ორგანოებში. ვინმე შეიძლება შემოგვედავოს, უშიშროების სამსახურის მუშაობა შეუძლებელია შიდააგენტური ქსელის გარეშეო, დავით აღმაშენებელს თითო ოჯახში თითო მსტოვარი ჰყავდაო, ასეა საზღვარგარეთაცო. ეგ კი არა და, ასეთი ქმედება პატრიოტულ საქციელადაც კი აღიქმებაო. შეიძლება ამ პოზიციას ნაწილობრივ დავეთანხმოთ. მაგრამ მაშინ ამ ხალხმა თავი უნდა შეიკავოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაგან. უსიამო, სამარცხვინო გრძნობას მოგგვრის ის ფაქტი, რომ დღევანდელი მინისტრი, ელჩი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის ლიდერი ამ რამდენიმე წლის წინ, ან რაღაც ამ ცოტა ხნის წინ თავის თანამოქალაქეებს, იქნებ კოლეგებსა და ახლობლებსაც კი აბეზღებდა სადაც ჯერ არს.

ვერც გამსახურდიას დროინდელმა და ჯერჯერობით ვერც შევარდნაძისეულმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ლუსტრაციის კანონის მიღება. საფუძვლად ყოველთვის ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ აგენტებისა და შპიონების, განსაკუთრებით შინაური დამსმენების ვინაობის გამხელის შემდეგ დაიწყება დიდი ანგარიშსწორება მოსახლეობაში, ძველი დამბეზღებლების და დასჯილების შთამომავლებს შორის თითქოსდა ავტომატურად ამოქმედდება შურისძიების ინსტიტუტი, რაც თავის მხრივ ახალ დაძაბულობას გამოიწვევს მოსახლეობაშიო. ეს არგუმენტი მთლად მართალი არ არის, თუმცა ანგარიში უნდა გაეწიოს. უდაოა, რომ იგი გარკვეულ ეფექტს მოახდენს საზოგადოებაში. ადგილი ექნება დისკუსიებს, კამათს. ხალხში, მასმედიაში ეს იქნება განსჯის თემა, სათქმელს ერთხელ იტყვის ხალხი და თავისუფლად

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში

## პოლიტიკური ლიდერი – სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სოციალური თანხმობის გარანტი



ძვირფასო მკითხველო!

ვაგრძელებთ გაზეთის წინა, (№15, 18, 19, 20, 21) ნომრებში დაწყებულ საუბარს პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფაზე, პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნაზე ქართულ სინამდვილეში.

წინა ნომერში ზოგადად დავახასიათეთ პოლიტიკური ლიდერი და მისი თვისებები. ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გამოვავლინოთ რეალური პოლიტიკური ლიდერი, რა თვისებებს უნდა ფლობდეს ნამდვილი ლიდერი, ვისაუბრეთ ზოგიერთ იმ თვისებებზე, შედარებით უფრო გავრცელებულ საზოგადოებრივ აზრზე, რასაც საქართველოს მოსახლეობა მოითხოვს თავისი ქვეყნის ლიდერისაგან.

**დღეს ვისაუბრებთ პოლიტიკურ ლიდერზე, როგორც სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალურ თანხმობის გარანტზე.**

საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის, საზოგადოების განვითარების, ხალხის კეთილდღეობისათვის საჭიროა გაკეთდეს კვალიფიციური, მეცნიერული, ობიექტური ანალიზი ერთის მხრივ იმისა, თუ რისი გარანტია დღეს პოლიტიკური ლიდერი და პოლიტიკური ელიტა, ხოლო მეორეს მხრივ, თუ როგორი უნდა იყვნენ ისინი.

**დღეს შეძლებისდაგვარად შევეცდებით ავსახოთ ის, თუ რა მოეთხოვება პოლიტიკურ ლიდერს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.**

**პოლიტიკურ ლიდერს, უწინარეს ყოვლისა, მოეთხოვება ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა მას აუცილებლად ჰქონდეს ქვეყნის განვითარების სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და მისი განხორციელების კონკრეტული გზები.**

მომავალში ჩვენ დეტალურად ვიმსჯელებთ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რაობაზე, იმაზე, უნდა ჰქონდეს თუ არა ჩვენს სახელმწიფოს თავისი საკუთარი ეროვნული იდეოლოგია.

იდეოლოგია ხომ წარმოადგენს ცოდნის სისტემას სინამდვილის შესახებ, იდეების, პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელსაც ემყარება სახელმწიფოს, სოციალური ჯგუფების, თუ სხვა სოციალური სუბიექტების მოქმედების გეგმები, პროგრამები.

ქვეყანას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელშიც ზოგადსაკაცობრიო ინტერესებთან ერთად გამოხატულებას ჰპოვებს ქართველი ხალხის სპეციფიკური ეროვნული ინტერესები. მისი ისტორიული თავისებურებების, დღევანდელი განვითარების დონის და სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით.

დღევანდელ სამყაროში, მსოფლიო საზოგადოებაში ორიენტაციისათვის უპირობოდ აუცილებელია საკუთარი მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური, ზნეობრივი, ესთეტიკური და სხვა პრინციპებისა და ღირებულებების არსებობა.

**აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია უნდა ემყარებოდეს ქვეყანაში სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის კომპრომისს, ეროვნული ინტერესების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ერთიანობას. ასეთი კომპრომისის, ერთიანობის გარეშე ქვეყნის განვითარების სტრატეგია ვერ შემუშავდება და ვერც განხორციელდება.**

მაშასადამე, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის წინაშე დგას, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ძირითადი ამოცანები:

პირველი: მას უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, კონცეფცია ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის, განვითარების შესახებ; მან უნდა შესთავაზოს ქვეყანას, ხალხს განვითარების ახალი მიზნები, ახალი იდეები, მათი გადაწყვეტის ეფექტიანი და ახალი გზები.

მეორე: მას უნდა ჰქონდეს უნარი განახორციელოს ის მიზნები, იდეები, რაც მან შესთავაზა ქვეყანას, ხალხს და რისთვისაც ქვეყანა, ხალხი მას ენდო და აღიარა პოლიტიკურ ლიდერად.

პირველი ამოცანა უპირატესად ინტელექტუალური ხასიათისაა, მეორე — ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ხასიათის.

შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ არსებით საკითხს ორივე ასპექტში.

**მსოფლიო ქვეყნების პრეზიდენტების, პოლიტიკური ლიდერების, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ წარმატებას, ავტორიტეტს, ქვეყნის განვითარებაზე ზემოქმედებას ყველაზე მეტად განაპირობებს ის, თუ როგორ, რა ხარისხით აღწევს ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი სახელმწიფოსა და ხალხის ძალისხმევის გაერთიანებას ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის, ანუ რა ხარისხით არის იგი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, ეროვნული, სოციალური თანხმობის გარანტი.**

უდავოა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალურ პროგრესზე ზრუნვა თითოეული მისი მოქალაქის, პოლიტიკოსის, პარტიის მოვალეობაა, მაგრამ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ამისათვის არის ქვეყნის უპირველესი ლიდერის და სხვა ლიდერების საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგიანობა.

ამიტომ, როდესაც ლაპარაკია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე, გარანტიაზე, იგულისხმება მისი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, აგრეთვე მისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების, ავტონომიების და სხვა რეგიონების ძალისხმევის გაერთიანება ერთობლივი ინტერესების განხორციელებისათვის. ავტონომიებს, სხვადასხვა რეგიონებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეულწილად სხვადასხვა ინტერესი, მაგრამ პოლიტიკური ლიდერების უპირველესი მოვალეობაა ამ ინტერესების სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მიზნით დროული დაბალანსება, სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა რეგიონებს, პარტიებს, მოქალაქეებს შორის. ცხადია ეს ადვილი არ არის, მაგრამ პოლიტიკური ლიდერის რეიტინგის განმსაზღვრელი კრიტერიუმი სწორედ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და განმტკიცების უზრუნველყოფის უნარია. საქართველოს პოლიტიკური ლიდერის შეფასებისათვის მთავარი კრიტერიუმია ის, თუ როგორ მოაწესრიგებს საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ავტონომიების სტატუსი, როგორ უნდა განხორციელდეს ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, როგორი უნდა იყოს რეალური თვითმმართველობის ინსტიტუტი. ამ და სხვა საკითხებზე, სამწუხაროდ, დღემდე არ არის კონკრეტული პასუხი გაცემული, რაც დიდად ვნებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას და პირდაპირ მიუთითებს ჩვენი პოლიტიკური ლიდერების კონცეპტუალური, სახელმწიფოებრივი აზროვნების და პოლიტიკური ნების გაძლიერების აუცილებლობაზე.

**სახელმწიფოებრიობის გარანტი, პირველ რიგში, არის პოლიტიკური ელიტა, პრეზიდენტის მეთაურობით.**

იგივე უნდა ითქვას ქვეყნის ეროვნული თანხმობის შესახებ. ეროვნული თანხმობა ურთულესი და მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მრავალი საკითხი დღემდე არც კონცეპტუალურად არ არის გადაწყვეტილი და არც მათი გადაწყვეტის რეალური ღონისძიებებია დასახული.

ეროვნული თანხმობის შესახებ უფრო ვრცლად გაზეთის შემდეგ ნომრებში ვისაუბრებთ. ახლა კი დავძენთ, რომ **ეროვნული თანხმობის გარანტის ფუნქცია, პირველ რიგში, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას და პრეზიდენტს აკისრია.**

რაც შეეხება სოციალური თანხმობის მიღწევას ქვეყანაში, აქაც მთავარი პოლიტიკური ლიდერის ქცევა, მისი კონცეფცია და სტრატეგიაა. პოლიტიკური ლიდერის მოვალეობაა: ჯერ ერთი, სოციალური კომპრომისის, პარტნიორობის, კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის; მეორე: პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა პარტიებს შორის, საზოგადოებაში.

**სოციალური თანხმობისათვის აუცილებელია აგრეთვე სიღარიბის თანდათან განუხრელი დაძლევის უზრუნველყოფა.** ასეთი თანხმობა ვერ მიიღწევა სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებით, რაც დამახასიათებელია ქართული სინამდვილისათვის. დღეს საშუალო ხელფასი რამდენჯერმე ჩამორჩება სასიცოცხლო მინიმუმს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს. **სწორედ მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბეა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი საზოგადოების ერთიანობას.** მის უკან იმალება სოციალურ-ეკონომიკური რესურსების მონოპოლიზაცია პრივილეგირებული უმცირესობების მიერ. მონოპოლიზებულია როგორც საწარმოო, ისე თანამდებობრივი და ძალაუფლებითი რესურსები. **ამიტომ უპირველესი ამოცანაა მინიმალური ხელფასის გათანაბრება სასიცოცხლო მინიმუმთან და სიღარიბის დაძლევა ეკონომიკის განუხრელად განვითარების საფუძველზე. ამის გარანტი კონცეპტუალურად, პოლიტიკურად, რეალურად უნდა იყოს პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ელიტა.** წარმოუდგენელია პრეტენზია გქონდეს ქვეყნის მართვაზე, პოლიტიკურ ლიდერობაზე და არ გქონდეს ამისათვის დეტალურად გააზრებული პოლიტიკა, სოლიდარული პასუხისმგებლობა, პოლიტიკური ნება სიღარიბის დაძლევის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

**სოციალური თანხმობის მიღწევისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ისეთი სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დააჩქარებს საქართველოში საშუალო კლასის ფართო ფენების ჩამოყალიბებას და რომელიც აუცილებელია დემოკრატიის და სოციალური საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისათვის, სტაბილიზაციისათვის, ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.** დასავლეთის ქვეყნებში საშუალო კლასის ფინანსური კეთილდღეობა არის ეკონომიკური პროცესის ფინანსური საფუძველი, სახელმწიფო ბიუჯეტის და აქედან გამომდინარე მთელი სოციალური სფეროს — განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის მაღალი განვითარების წანამძღვარი. საშუალო კლასის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, არამედ აგრეთვე, საერთოდ საგადასახადო ტვირთის შემცირებას, ბიზნესის ყოველმხრივ ხელშეწყობას, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის, საერთოდ ინტელექტუალური შრომის მუშაკების მაღალი შემოსავლების უზრუნველყოფას.

რამდენიმე სიტყვა იმ მეთოდის შესახებ, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა პრივატიზაცია საქართველოში. საკუთრების დიდი ნაწილი ჩალის ფასად მოხვდა ნომენკლატურულ-ბიუროკრატიული ფენის და საწარმოების დირექტორების ხელში. შედეგად ვერ მივიღეთ ვერც ეფექტიანი მესაკუთრე, რომელსაც უნარი აქვს გაუძლვეს წარმოებას კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ვერც საშუალო კლასის ჩამოყალიბებას შევუწყვეთ ხელი და ვერც მუშაკის შრომის მასტიმულირებელი პირობები შევქმენით საწარმოებში. პრივატიზაციის მთავარი დანიშნულება იყო არა საკუთრების დარიგება ცალკეული პირებისადმი, არა მათი დაუმსახურებელი გამდიდრება, არამედ საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და საბოლოოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა. პირიქით კი მოხდა, — მივიღეთ მდიდარი ადამიანების მცირე ჯგუფი და გაღარიბებული ხალხის უმრავლესობა, მათ შორის ინტელიგენცია, რომელიც ადრე საშუალო ფენას წარმოადგენდა და ძალიან დიდი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარებაში. აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შეცდომების გამოსწორება, რაც დაკავშირებულია პრივატიზაციასთან. ამ მიმართულებით ყველაზე უფრო ეფექტიანი ღონისძიება იქნებოდა, ჩვენი აზრით, მუშაკთა საკუთრების ინსტიტუტის გაძლიერება, კერძოდ, საწარმოების თითოეული მუშაკის გადაქცევა მის რეალურ მესაკუთრედ. ეს პროცესი დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის და მიჩნეულია სოციალური სამართლიანობის და ნორმების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. საკუთრების დემოკრატიზაციის განხორციელებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს განვითარებისათვის, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის და ელიტის როლი ძალიან მაღალი და წარმმართველია.

ასეთივე ფუძემდებლური და წამყვანი მნიშვნელობა აქვს სოციალური თანხმობისათვის მუშაკთა მონაწილეობის უზრუნველყოფას საწარმოების მართვაში, გადაწყვეტილებათა მიღებაში. ინფორმაციულ საზოგადოებაში ძალიან მაღლდება თითოეული მუშაკის ცოდნის, ინტელექტის მაქსიმალურად გამოყენების მნიშვნელობა, რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ მათი პრესტიჟის ამაღლებით, გადაწყვეტილებათა მიღებაში რეალური მონაწილეობით. ეს არ არის მხოლოდ საწარმოო დემოკრატიის ელემენტი, არამედ სოციალური თანხმობის საძირკველია და **რაც უფრო მეტ რეალურ გასაქანს მისცემს სახელმწიფო თითოეული ადამიანის ნიჭს, უნარს, ინტელექტის გამოყენებას, მით უფრო სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი იქნება საქართველო.**

ასეთია მოკლედ სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სოციალური თანხმობის მიღწევისათვის საჭირო ძირითადი საკითხები, რომლის გარანტიც პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ განვითარების მაღალ დონეს, კეთილდღეობას მიაღწიეს იმით, რომ მათი პოლიტიკური ლიდერები უზრუნველყოფენ სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალურ თანხმობას როგორც ქვეყნის პროგრესის ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას.

მოგაწვდით ზოგიერთ მასალას ამერიკული სპეციალური კრებულიდან, რომელიც დაბეჭდილია ნიუიორკში 1998 წ. სათაურით „მე-20 საუკუნის დაუვიწყარი ქალები", და რომელშიც წარმოდგენილია საუკუნის ასზე მეტი გამოჩენილი ქალი.



ინდირა განდი

**მე-20 საუკუნე ავტორთა ჯგუფის მიერ მოხსენიებულია არა მარტო უდიდესი მიღწევების საუკუნედ, არამედ, როგორც, უდიდესი გარღვევის ხანად — პოლიტიკაში, ეკონომიკაში თუ საზოგადოების ყველა სფეროში ქალების აქტიური მონაწილეობის — ხანად.**

**დღეისათვის მე-20 საუკუნის გამორჩეულ და დაუვიწყარ ქალებიდან ჩვენ შევარჩიეთ ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი, ინდირა განდი.**

ინდირა განდიმ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში განაცხადა, რომ ის არ იქნებოდა მხოლოდ ვილაც ქალიშვილი და კიდევაც მიაღწია თავისას, მაგრამ საკითხავია, რა დაუჯდა მას ეს წარმატება?

ინდირა განდი დაიბადა 1917 წლის 19 ნოემბერს. გოგონა აღიზარდა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ოჯახებში. ადრეულ წლებში მან გამოიგონა უაღრესად პოლიტიზირებული საბავშვო თამაშები, იგი ყანა დარკსაც კი ანსახიერებდა. მოწამეობრიობა არ იყო მისთვის უცხო, რადგან ბავშვობაში მის თვალწინ არაერთხელ დაუპატიმრებიათ მშობლები — ჯავაჰარლალი და კამალა ნერუ.

1938 წლიდან იგი ინდოეთის ეროვნული კონგრესის (იეკ) პარტიის წევრი და განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილეა.

1942 წელს ცოლად გაჰყვა კონგრესის წევრს ფ. განდის.

ინდირა განდიმ განათლება მიიღო ინდოეთში, შემდეგ ოქსფორდში. იგი დაპატიმრებული იყო თავის მეუღლესთან ფეროზ განდისთან ერთად. მათ ორი ვაჟი შეეძინათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. 1947 წ, როდესაც ქვეყანა განთავისუფლდა ბრიტანეთის ბატონობისაგან, ინდირა განდის მამა ხდება პირველი პრემიერ-მინისტრი. ინდირა განდიმ თანამდებობა მიიღო 1966 წ. **„პოლიტიკაში ორმაგი ძალისხმევით უნდა იმუშავო, რათა აჩვენო, რომ არა მხოლოდ ვილაცის ქალიშვილი ხარ, არამედ ხარ პიროვნება შენი საკუთარი უფლებებით" — აღნიშნა ერთხელ ინდირა განდიმ.** ის ხელმძღვანელობდა ყველაზე ხალხმრავალ დემოკრატიის პროცესს. მან ჩაიბარა ძალაუფლება, მაგრამ ამასთან ერთად ჩაიბარა ქვეყანა, სადაც 500 მილიონზე მეტი ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობდა და ამავე დროს ეომებოდა მეზობელ პაკისტანს.

ინდირა განდიმ დიდ წარმატებას მიაღწია თავის თანამდებობაზე. მისი შემწეობით ბანგლადეში გახდა დამოუკიდებელი და ინდოეთი გამოიყვანა მეორეხარისხოვანი რასის მდგომარეობიდან, მაგრამ მასში ძლიერ იყო „ეგო", რამაც უმტყუნა კიდეც. მას ბრალი დასდეს არჩევნების გაყალბებაში. განდიმ აამოქმედა დრომოჭმული ბრიტანული კანონები, გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, ციხეში ჩააგდო ოპოზიციის ლიდერები და დააწესა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ცენზურა. 1977 წ. მას არჩევნებში მხარი არ დაუჭირეს და ბრალი დასდეს კორუფციაში, მაგრამ ინდირა განდიმ ამ ცილისწამებების წინააღმდეგ დაიწყო კანონიერი ბრძოლა. სწორედ ამ ბრძოლამ და იურიდიულმა ბატალიებმა გაზარდეს მისი თაყვანისმცემლების რიცხვი და სამი წლის შემდეგ ის კვლავ ხელისუფლების სათავეშია.

1984 წ. სულ მალე მის შემდეგ, რაც მან უბრძანა სამთავრობო ჯარებს, სეპარატისტი სიკხის აჯანყების ჩახშობა პენჯაპში, 66 წლის ინდირა განდი მოკლა მისივე პირადმა მცველმა, რომელიც სიკხი იყო; მის შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ხდება მისი ვაჟი რაჯივი, რომელიც დედის გზას აგრძელებდა და ამიტომაც დედის მაგვარად პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა. რაჯივი მოკლეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს. დედამ შვილს უანდერძა სწორედ ის, რაც თავად გადახდა.

**ნარგიზ გვალია**

*(გაგრძელება იქნება)*

გური ოფობაია

# საქართველოს ისტორიის „მოუხელთებელი“ ქურდები



სამეგრელოს, მეგრელების მარათონული დაცაცხანების, შეძახებისა და ზოგჯერ გვარიანი გაჯორვის კვალდაკვალ შაგრენის ტყავივით განუხრელად იკუმშება და პატარავდება ჩვენი საფიცარი სამშობლო, იცვლება დემოგრაფიული სურათი ქართველების საზიანოდ და ხიზნების სასიკეთოდ — სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით. დედაქალაქსა და მის შემოგარენში ხომ მიყოლებით ჩნდება კომპაქტური, არაქართული მონონაციონალური დასახლებანი: სოფლები, უბნები, კვარტლები, რაიონები. დღეს საქართველოში ჩამოყალიბებულია რეცესიული ბუნების მძლავრი მეხუთე კოლონა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მსწრაფლ გადაინათლება წლების წინ მის მიერვე მიზანმიმართულად უარყოფილ ეროვნებაზე, თუმცა უკვე ჩვენი ახლომხედველი და კორუმპირებული კანონშემოქმედების წყალობით საამისოც არაფერია: ეროვნული პასპორტი კოსმოპოლიტური შინაარსით დაიტვირთა. ჩვენივე პირით უარი გვათქმევინეს ეროვნების რეკვიზიტზე. ახლა ჩვენებური მეხუთე კოლონის შემადგენლობისა და რაოდენობის დაზუსტება ყბადაღებულ სტატისტიკურ სამსახურებს კი არა, თვით მამაზეციერსაც კი გაუჭირდება ალბათ.

ქუჩაში, ბაზრობებზე, მეტროპოლიტენში მიდის გაქანებული საუბრები რუსულად, თათრულად, ქურთულად, სომხურად... და ეს მეტყველებანი ალილუასავით ჩაესმის ობივატელი ქართველის მთვლემარე ყურთასმენას, მაგრამ საკმარისია მის ძილქუშიან ნანავში ვილაცამ მეგრულად ჩაილაპარაკოს, ჩაქინდრულ თავს მყისვე ასწევს, მსწრაფლ გამოფხიზლდება, ჰორიზონტს გულისყურით მოავლებს მზერას, რათა მისი უშფოთველი ყოფიერების გამაღიზიანებელი სუბიექტი გულისყურით დააფიქსიროს. არც გაემტყუნება გვარნაცვალი მეხუთე კოლონისაგან გონებამონამლულ ამ ბედოვლათს. თითოოროლა გენიოსის გამოკლებით, კოჭობანას პერიოდიდან, ტყავის ბურთით თამაშსა თუ პირველი ჭიქის მიჭახუნებისას წაანეკდოტებაში, ოხუნჯობებსა თუ ჩვეულებრივ მასლაათში გაანგარიშებულად მიმდინარეობს სამეგრელოს, მეგრელის ზოგადეროვნული კონტექსტიდან ამოგდება, გამოცალკევება დანარჩენი საქართველოდან. და ეს ყველაფერი გვარნაცვალი „ქართველის“ ბასრი იარაღია მათი სანუკვარი ოცნების ასახდენად — საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსასპობად, მოსასპობად საერთოდ, როგორც ეს მეხუთე კლასის „სომხეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ანალიზიდან გვეუწყა ბატონ გულაბერ კლარჯის პატრიოტული წერილიდან: მის მიხედვით საქართველოს მთელი ტერიტორია, ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, და გაცილებით შორსაც, განხილულია, როგორც „სომხეთის მთიანეთი“. იყო პერიოდი, როცა გვედავებოდნენ: „შუშანიკის წამებას“, რუსთაველს, ეკლესია-მონასტრებს, დამწერლობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭამა მადაში მოდის და სრულიად საქართველო „სომხეთის მთიანეთმა“ შეყლაპა, შეახრამუნა!

ჩვენ კი რას ვაკეთებთ, რა მამულიშვილურ ღონისძიებას განვახორციელებთ ჩვენი საზღვრების თუ პოზიციების გასამყარებლად? ძროხის კუდი გვიჭირავს ხელთ და თხისაო, გვარწმუნებენ მითოსური ძმისწულები, ან სამეგრელოს მორჯულებას, „დუშმანისთვის სიტყვის საქმედ ქცევის“ გამო საჯაროდ გაწკეპლვას ანდომებენ ესოდენ ძვირადღირებულ დროსა და ენერგიას მავანნი:

„ბეჟალი რობკიე გრუზინიო“, აილესა ენა გმირ ხალხზე გარუსებულმა ლერმონტოვმა;

„ფრთხილად იყავით, თორემ თბილისს ერევნად გადაგიქცევთო“, თითს გვიქნევს კავკასიონის ჭიუხებიდან კონფედერატორი შანიბოვი;

„ქართულ ჯარს ჯავახეთში არ შემოვუშვებო“, იბღვირებიან იქაური ბატონ-პატრონნი რაისიანების თუ სხვათა კლანიდან;

ეს ყველაფერი ჟურნალია „აფხაზ“ პროფესორ ოლეგ ბღაჟბას ისტორიულ ნარკვევთან შედარებით:

Газета Нужная

## АРМЯНЕ И ДРЕВНИЕ АБХАЗЫ В I ТЫСЯЧЕЛЕТИИ НАШЕЙ ЭРЫ

*Олег Бгажба, профессор*

**Контакты между армянами и древними абхазами прослеживаются историками с давних пор.**

Присутствие армян на территории Абхазии еще в позднеэллинистическое время может быть отмечено не только на "многонациональной" Диоскурийской агоре (античная рыночная площадь), но и в боевых отрядах Боспорского царя Митридата VI Евпатора (союзник царя Армении Тиграна II), проведшего зиму 66-65 г.г. до н.э. близ Дискуриады скорее всего под сенью крепостных стен Эшерского городища, опасаясь натиска легионеров известного римского полководца Помпея (Аппиан, 2 в. н.э.).

В середине 3 в. н. э. римским гарнизоном в Питиунте командовал Сукессиан (по происхождению армянин), который умелыми и решительными действиями разгромил готских пиратов и тем самым спас местных жителей санигов от ограбления (Зосим V).

В одной из рукописи (арабский более поздний вариант "Истории Армении" Агафангела Арцруни, автора 5 в) приводится легенда о крещении абхазов вместе с армянами святым Григорием просветителем во время царствования Трдата III (301г.).

В VI в. выходцы из Малой Армении зодчий Фома Армянин и его сын Иоанн осуществляли, как свидетельствовал Прокопий Кесарийский, руководство строительством оборонительных рубежей ("клисур") и боевых действий византийцев в Колхиде. Иоанн был активным участником сражения с персами за Петру (совр. Цихисдзири) летом 548 г., где с отрядом из 50 человек произвел подкоп и был ранен. Затем в начале лета 550 г. в битве при Гиппосе (совр. р. Риони) близ Археополя (совр. Накалакеви) он, возглавлял конницу византийцев, умелым маневром способствовал разгрому персидского полководца Хориана и отличился при взятии лагеря персов раненный осенью того же года, он возглавил карательный отряд византийцев, переброшенный морем из Фазиса (район совр. Поти) к Трахее (совр. Новый Афон) - главной крепости восставших абасгов, в частности, руководил морским десантом. После завершения этой жестокой акции Иоанн во главе тысячного отряда подступил к стенам Тцибилы (близ совр. Цебельды) и на сей раз, "дружескими речами и обещаниями" сумел без боя взять главную крепость Апсилии. Позднее осенью 560 г. он сыграл решающую роль и во взятии у персов Петры, проведя свой отряд ему одному известным путем по отвесной скале на крепостную стену. Сам Иоанн погиб в бою: какой-то перс нанес ему смертельный удар камнем, пущенным с помощью пращи. "Этот человек - писал Прокопий об Иоанне - проявлял удивительные подвиги храбрости в битве с врагами". Ему в ту пору не было и двадцати пяти лет. В источнике он назван "юношей". Судя по всему Иоанн, как это было принято в те времена, всюду следовал за своим отцом Фомой, и пока тот осуществлял надзор за строительством, хорошо изучил местность, узнал людей, их обычаи. Трахея и Тцибила - постройки 30 г. VI в., как, очевидно, и другие крепости, в близи которых он отличился. И не исключено, что бескровное решение вопроса у стен Тцибилы было результатом древней его дружбы с подростком-апсилом, который стал затем начальником этой крепости. Знал он, по-видимому, и епископа Константина, крестившего тогда взрослое население апсилов.

При сасанидском царе Хосрове Анушҳирване (531-578 г.г.), построившим знаменитую Дербентскую стену, произошло вторжение с целью якобы грабежа объединенных сил абхазов и аланов в Армению, которое закончилось неудачно (Табари, X в.). Зато в 571 г. те же самые силы помогли восставшим против персов армянам (Феофан Хронограф, IX в.).

Не имеют цены сведения армянского географа VII в. "Ашхарацуйц" о тогдашней Абхазии: "Между Булгарами и Понтийским морем живут народы: Гарши, Куты и Сваны до Писинуна - прибрежной страны Аваза, где живут Абхазк и Апшилк, до их города - прибрежного Севостополика и также за ним до реки, что называется Дракон, которая суть




Вишап, что течет из Алуании и делит Апхаз от области Егер..." Здесь впервые упоминаются оба названия Абхазии и абхазов (Апшилк-Писинун-Апсны и Аваза-Абхаз-Абхазия). Гарши, карш в переводе А. Сукри означают адыги (кашаг-касоги русских летописей). Севастополик соответсвует современному Сухуму, а р. Дракон (Вишап) - р. Ингур (В. Бутба. Ю. Воронов), верховья которого до Бухлоона-Бухолуса (совр. Пахулан) были в тот период включены в пределы Алании. Поэтому граница между Абхазией и Грузией, говоря современным языком, проходила в VII в. по р. Ингур (так было ранее в VI в. и позднее в середине VIII в), а не по р. Кодор или р. Келасур, как считают некоторые историки.

В 711 г. будущий император Византии Лев исавр, возвращаясь из Алании через Апсилию в Константинополь, повстречал в горах Абхазии 200 византийских солдат в основном армянского происхождения, которые присоединились к нему. Они осадили "Железную крепость" - Тцибилу, комендантом крепости был также армянин, но находившийся на службе у арабов. На помощь армянскому отряду, возглавленному Львом исавром, пришел "первейший среди апсилов" патрикий Марин, отец блаженного Евстафия, с 300 воинами - апсилами. В результате крепость была взята и разграблена (Феофан Хронограф). В 737 г. в составе арабской армии Мервана ибн-Мухаммеда у стен Анакопии (совр. Новый Афон) могли быть отряды армян с князем Ашотом и другими армянскими князьями во главе (вардапет Гевонд, VIII в). После образования в 786 г. независимого Абхазского царства активизируется его Восточная политика. В 80-х г.г. IX в. нарастает соперничество Абхазского царства с Армянским из-за грузинского княжества Картли, которое было ключом ко всему Закавказью. В 888 г. армянский царь Ашот I Багратуни нанес поражение войску абхазского царя Баграта I у р. Куры, которым командовал осетин Багатар. На протяжении 90-х г.г. IX в. армянские цари умело пользуясь междоусобицами Абхазского царства с грузинскими княжествами, овладели тем временем Картли, чему также способствовал абхазо-армянский "дружественный" военно-политический союз (890-891 г.г.), позднее скрепленный династическим браком армянского царевича с абхазской царевной.

Дружеские отношения Абхазского и Армянского царств сохранились до начала X в., т.е. времени вторжения арабов в Армению, приведшего к распаду Армянского государства, чем незамедлительно воспользовался абхазский царь Константин III (893-929 г.г.) и в 904 г. на время завладел Картли. Позднее после кратковременного пребывания в "почетном" плену у армянского правителя Смбата I он укрепил свои позиции в Картли, о чем может свидетельствовать надпись в Самцеврисской церкви близ Хашури, где говорится о строительстве здесь канала на 20 году царствования Константина III.

В 914 г. восточные границы Абхазского царства были нарушены из-за вторжения арабского эмира Абул Касима, который преследовал укрывшегося в "горах Абхазии" Смбата I. Опасаясь дальнейшего продвижения арабов на запад, абхазская армия была заблаговременно перевооружена по "византийскому обычаю в сплошные латы, в то время, как другие кавказские народы носили кольчужные доспехи и на которые кругом смотрели со страхом и трепетом".

В 920 г. в сложной международной обстановке создается абхазо-армяно-византийская коалиция против арабов, о чем свидетельствует послание константинопольского партиарха Николая Мистика (в его второе патриаршество - 914-925 г.г.) к каталикосу Армении и абхазскому царю, приведенное в "Истории Армении" Иованнесом Драсханакерци. В послании говорится о том, чтобы у них забылись взаимные столкновения и обратились их "взоры к дружбе и единству, согласию и миру друг с другом" и чтоб они объединившись, боролись "против общего врага". В послании также обещалось в подмогу большое византийское войско, чтобы отбить неприятеля, что было потеряно раньше.

Когда армянский царь Ашот II Железный (914-928 г.г.) обратился за помощью к абхазскому царю Константину III, женатому вторым браком на дочери армянского царя Смбата I то его встретили очень дружелюбно и оказали ему большую помощь, "собрав многочисленное войско на конях, словно по воздуху летящих, в железных доспехах и устрашающих шлемах, в скрепленных железными гвоздями нагрудниках и с прочными щитами, снаряженное и вооруженное острыми копьями". В источнике, как видно, описан боевой комплект абхазского воина X в., периода расцвета Абхазского царства.

Другой армянский историк Степанос Таронский, прозванный Асогик, рассказывает далее о событиях X в., очерчивающих сферы влияния этих двух крупнейших государств Закавказья. "Князь абхазов из земли сарматов, что по ту сторону Кавказских гор предпринял поход (на Армению) во главе многочисленного войска... Он явился... на берег реки Кур с намерением опустошить всю страну нашу. Он отправил гонца не освящать церкви по (обрядам) православной веры святого Григория, пока не придет сам и не освятит по постановлению Халкедонского собора". Затем приведены подробности о сражении между конницей армянского царя Абаса (929-953 г.г.) и армией "Князя абхазов" Бера на берегах р. Куры. В результате Бер был пленен и увезен в Карс. Абхазы выкупили своего князя и "клятвенным обещанием утвердили обет мира с Арменией, что отныне впредь не будет войны между обоими народами". Причиной данного конфликта послужила передача крепости Берд (современный Шамшадинский район Армении) абхазским царям, владетель которой был в конфликте с армянским правителем. Бер, скорее всего, являлся одним из вассалов абхазского царя Георгия II. Во второй половине X в. восточная граница Абхазского царства с Армянским проходила в районе современного Ахалкалакского района Грузии, где абхазский царь Леон III (957-964) построил в Кумурдо храм, в парусах которого сохранились рельефные изображения его самого и сестры Гурандухт, матери Баграта III. В армянском источнике (Асогик) содержатся также интересные сведения конца X в. о том, что последнего царя абхазов из династии Леонидов Феодосия III "ослепили вельможи страны" и что в деле воцарения в 978 г. его племянника Баграта III из династии Багратионов в Абхазии оказал поддержку армянский царь Смбат II (977-990 г.г.).

Армянский епископ X в. Ухнатес дает высокую оценку Абхазскому царству: "Развился народ этот и, увеличив свою численность, распространился по разным берегам Понтийского моря дошел до границ Армении и Агвании, стал народом очень многочисленным. Название этой страны Абхазия".

Абхазо-армянские связи (X в.) нашли свое отражение и в историческо⁻ романе Мурацана (Тер-Ованесян) "Геворк Марзпетуни" (1896г.).

*24 мая, 1999 года, №2*

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე?

აი, სეპარატისტული აფხაზეთის სამი თითის კომბინაციის მასაზრდოებელი სითამამე, საყრდენი ქვაკუთხედი, ოცდამეერთე საუკუნის სტრატეგია — აფხაზეთსა და სომხეთს შორის საქართველოსთვის უბრალოდ ადგილი არ იძებნება სამერმისო არსებობისათვის. ჩვენი გმირული წარსულის უნამუსო გაყალბებით, იავარქმნის საუკუნო განაჩენია გამოტანილი სრულიად საქართველოსთვის და ამ დროს მდუმარებენ ბაგენი ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ენათმეცნიერთა, მოკლედ, იმ ინტელიგენციისა, რომელსაც ნამდვილი ჯარისკაცის პასუხისმგებლობით ევალება ნებისმიერი ანტიქართული გამოხდომის ჩანასახშივე ამოშანთვა მამულიშვილური, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან. აქამდე ხომ ვკვებავდით და ვაპურებდით აფხაზურ სეპარატიზმს საქართველოს ისტორიის საბჭოური კონიუქტურით: ფაქტების შეგნებული გამრუდებით ჩასაფრებულ მტერს გულნამცეცობით გადავუხსნიდით ჩვენი უსაფრთხო არსებობის ციხეგოდოლთა კარიბჭეებს. თანაც ისტორიული ხასიათის შემოდავებებს ტერიტორიებზე, დამწერლობისა თუ სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებზე ლოკალური, კამერული ხასიათის გამოხმაურებებით „ვაბათილებდით“ რუსთაველის პროსპექტის დონეზე, „ვაცამტვერებდით“ შინაურულ გარემოში, როცა მსოფლიოს ბიბლიოთეკები, საუნივერსიტეტო წიგნთსაცავები გამოტენილია ინგლისურენოვანი პასკვილებით ჩვენი ქვეყნის უბადლო წარსულზე.

უფალი ბღაჟბას უბადრუკი მცდელობა ხელშეუხებელი პროტექტორი ჰყოვს ჩვენი ისტორიული, ძმისწულების სახით, მორიგი ფანდია, ნიადაგის მომზადებაა ბაგრამიანის სადამსჯელო ბატალიონის გაუგონარი კაცთაკვლის გასამართლებლად. ამ წერილის გამოწვლილვით ანალიზს

გაგრძელება მე-13 გვერდზე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №15,18,19,20

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ „საუბრები ბუნკერში“

ჰიტლერი აშშ-ს შესახებაც გამოსთქვამს თავის აზრს. 24 თებერვლის ჩანაწერი გვამცნობს: „ამერიკის წინააღმდეგ ეს ომი ტრაგედიაა. იგი არალოგიკურია და არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. ერთ-ერთი უცნაური დამთხვევის შედეგად, როგორებიც ხდება ისტორიაში, იმ დროს, როდესაც მე გერმანიაში ვილებდი ხელისუფლებას, ებრაელების მიერ არჩეული რუზველტი აშშ-ს სათავეში მოვიდა. ებრაელებისა და მათი ამ ლაქას გარეშე მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდებოდა. ყველანაირი შეფასებით გერმანიასა და აშშ-ს თუ არ შეეძლოთ გაეგოთ და სიმპათიები ჰქონოდათ ერთმანეთის, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში, მხარდაჭერა მაინც უნდა აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, რაც ორივე მხრისგან დიდ ძალისხმევას არ ითხოვდა. უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანიამ დიდი წვლილი შეიტანა ამერიკის განსახლებაში. სწორედ ჩვენ, გერმანელებმა ჩრდილოეთის სისხლის ყველაზე დიდი ნაკადი მივეცით შეერთებულ შტატებს. ისიც ფაქტია, რომ შტეიბენმა (ფრიდრიხ II-ის ადიუტანტი, შემდეგ გენერალი გ.ბ.) გადამწყვეტი როლი ითამაშა დამოუკიდებლობის ომის გამარჯვებით დამთავრებაში.

ბოლო დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის ერთდროულად და დაახლოებით თანაბრად დააზარალა გერმანია და შეერთებული შტატები. ორივე ქვეყანას ერთნაირად მოუწია შტორმის დაძლევა. ეს უჩვეულოდ ძნელი ოპერაცია ჩვენთან წარმატებით დამთავრდა. ამერიკაში, სადაც, ბოლოს და ბოლოს, ამოცანა დიდ სიძნელეებს არ ქმნიდა, რუზველტისა და მისი ებრაელი მრჩევლების ხელმძღვანელობით მიღწეული წარმატება ერთობ უფერული გამოდგა. ახალი კურსის ჩავარდნა მნიშვნელოვან წილად აიხსნება მათი მისწრაფებით ომისაკენ. თუმცა, შეერთებულ შტატებს რომ ეცხოვრათ და აყვავებულიყვნენ ეკონომიკურ იზოლაციაში, ეს ჩვენთვის სასურველი, მაგრამ აუხდენელი ოცნება იყო. მათ თვალუწვდენელი მიწები აქვთ იმისათვის, რომ ხალხის ენერგია შთანთქონ. რაც შეეხება გერმანიას, მე ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ვუზრუნველყოფ მის სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას იმ ტერიტორიების ფარგლებში, რომლებიც შეესაბამებიან მისი მოსახლეობის ოდენობას. დიდ ხალხს დიდი ტერიტორიები ესაჭიროება.

გერმანია არაფერს მოელის აშშ-სგან და მას არაფრის უნდა ეშინოდეს გერმანიისგან. მთლიანობაში ყველაფერი უზრუნველყოფს ორივე ხალხის თავიანთ ქვეყნებში მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. მაგრამ მთელ საქმეს ის ფაქტი აფუჭებს, რომ საერთაშორისო ებრაელობამ თავისი მთავარი ბასტიონი აშშ-ში ააშენა. ამან და მხოლოდ ამან შეცვალა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და წაახდინა ყველაფერი.

დავწიძლავდები, რომ ოცდახუთი წელიც არ გავა, როდესაც თავად ამერიკელები მიხვდებიან იმას, თუ რა ზიანს აყენებენ მათ პარაზიტი-ებრაელები, მაგრად რომ მიჰკვრიან მათ სხეულს და სისხლს წოვენ. სწორედ ებრაელები ითრევენ მათ იმ ავანტიურებში, რომლებიც ყველა თვალსაზრისით მათ არ ეხებათ და სადაც არანაირად არ ილახება აშშ-ს საარსებო ინტერესები. რა გონიერი მიზეზებით შეუძლია არაებრაელ ამერიკელს გაიზიაროს ებრაელების სიძულვილი და მორჩილად გაჰყვეს მათ? ერთი რამ აშკარაა — საუკუნის მეოთხედიც არ გაივლის, რომ ამერიკელები იქცევიან ან მძვინვარე ანტისემიტებად, ან ებრაელები გადასანსლავენ მათ.

ჩვენ თუ წავაგებთ ომს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენ შეგვმუსრეს ებრაელებმა. მაშინ მათი გამარჯვება სრული იქნება. თუმცა, დავძენ, რომ ეს გამარჯვება დროებითი იქნება მხოლოდ. მათ წინააღმდეგ ომს განაახლებს, რა თქმა უნდა, არა ევროპა, არამედ შეერთებული შტატები. იგი ძალიან ახალგაზრდა ქვეყანაა იმისათვის, რომ სიბრძნე დააგროვოს, წლობით რომ მოდის და მას უკიდურესად არ ყოფნის პოლიტიკური სიმწიფე. ამერიკელებისათვის ყველაფერი უბრალოდ გამოიყენებოდა, თუმცა გამოცდილება და სიძნელეები მათ აიძულებს დავაუკაცებას. ერთი ნახეთ, რანი იყვნენ ისინი, როდესაც მათი ქვეყანა წარმოიშვა — დედამიწის ზურგის ყველა კუთხიდან შეკრებილი ბედნიერების მაძიებელი ადამიანთა ჯგუფები, რომლებმაც შიმშილის დასაოკებლად თავიანთ განუყოფელ მფლობელობაში მიიღეს მთელი კონტინენტი. ეროვნული თვითშეგნება ძალიან ნელა ვითარდება, განსაკუთრებით თვალუწვდენელ მიწებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ადამიანები განსხვავებული რასების წარმომადგენლები იყვნენ და ჯერ კიდევ არ გაერთიანებულიყვნენ ეროვნული სულისკვეთებით. აი, მართლაც იოლი ნადავლი ებრაელებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ებრაელების მიერ მოწყობილი ექსცესები არაფერია ამ ახალ სანადირო სავარგულში წარსულში და ამჟამად მათ მიერ მოწყობილ ექსცესებთან შედარებით. ცოტა დრო გაივლის, როდესაც ამერიკელები, მათ შორის ებრაელების კონტროლქვეშ მყოფი რუზველტის თანამოაზრეები, რომლებიც მას თიხისფეხებზე მდგარ კერპად აღმერთებენ, მიხვდებიან, რომ რუზველტი მართლაც ბოროტგანმზრახველია, როგორც ამერიკელთა, ისე მთელი კაცობრიობის თვალთახედვით. რუზველტმა წაათრია ისინი მათთვის უცხო გზით და პირველ რიგში აიძულა ისეთ კონფლიქტში მონაწილეობა, რომელიც მათ სავსებით არ ეხება. მათ ოდნავადაც რომ ჰქონდეთ განვითარებული პოლიტიკური ინსტინქტები, ისინი შეინარჩუნებდნენ თავიანთ ბრწყინვალე იზოლაციონიზმს და მხოლოდ არბიტრის როლით დაკმაყოფილდებოდნენ ამ კონფლიქტში. ისინი ოდნავ მომწიფებულები და გამოცდილები რომ იყვნენ, ყოველ ეჭვგარეშე მიხვდებოდნენ, რომ მოქმედების საუკეთესო ფორმა მათსავე ძირეული ინტერესებისათვის, ესაა მყარად დამკვიდრდნენ ომის მიერ შერყეული ევროპის წინაშე და შეინარჩუნონ ფხიზელი ნეიტრალიტეტის პოზიცია. ომში ჩაბმით მათ დაუყოვნებლივ დაასხეს წყალი თავიანთი ებრაელი ექსპლოატატორების წისქვილზე, ეს უკანასკნელნი კი ძალიან ბრძენი ხალხია და იციან, თუ რა მოიმოქმედონ თავიანთი ებრაული სპეციფიკური ინტერესებისათვის.

ბედს რომ სდომებოდა ამ კრიტიკულ პერიოდში აშშ-ს პრეზიდენტად აერჩია სხვა ადამიანი და არა რუზველტი, ის ის ადამიანი იქნებოდა, რომელიც ამერიკის ეკონომიკას მიუსადაგებდა XX საუკუნის საჭიროებებს და ლინკოლნის დროის შემდეგ უდიდესი პრეზიდენტი შეიქმნებოდა. 30-იანი წლების კრიზისი უპირველესად საერთაშორისო დონის მზარდმა სიძნელეებმა გამოიწვია. აშკარა გახდა, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი ცარიელი ფრაზა იყო მხოლოდ და მხოლოდ. როგორც კი გაირკვა კრიზისის მნიშვნელობა და არეალი, საჭირო გახდა მისი განმკურნავი საშუალების ძებნა. დიდი პრეზიდენტი მთელ თავის ძალ-ღონეს ამ ამოცანის გადასაჭრელად მიმართავდა და თავის ქვეყანას მსოფლიოში პირუთვნელ ადგილს განუმზადებდა. ბუნებრივია, ბრძენი პრეზიდენტი წაახალისებდა თავისი თანამემამულეების ინტერესებს საერთაშორისო საქმეებში, მაგრამ მათ არ ჩააგდებდა ძალლების ჩხუბში, როგორც ეს გააკეთა ამ დამნაშავე რუზველტმა. მან, რა თქმა უნდა, ისარგებლა ამერიკელების უმეცრებით, მათი გულუბრყვილობითა და მიმნდობლობით, მან ისინი აიძულა მსოფლიოსათვის ეცქირათ ებრაელების თვალით და იმ გზით წაიყვანა, რომელიც მათ კატასტროფამდე მიიყვანს, თუ ისინი დროულად არ გამოფხიზლდებიან.

აი, რას ამბობს ჰიტლერი იტალიის შესახებ: „როდესაც მე ობიექტურად და ემოციების გარეშე ვსჯი წარსულს, — აღნიშნავს ჰიტლერი 17 თებერვალს, — მაშინ უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ურყევი მეგობრობა იტალიასთან და დუჩესთან შეცდომაა. ყოველმხრივ აშკარაა, რომ იტალიასთან კავშირმა უფრო მეტი სარგებელი მოუტანა ჩვენს მტრებს, ვიდრე თავად ჩვენ. ომში იტალიის ჩართვამ მოკრძალებული სარგებელი მოგვცა, ვიდრე მის მიერ გამოწვეულმა უამრავმა სიძნელემ. თუ ჩვენ ამ ომს არ მოვიგებთ, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ იტალიამ ხელი შეუწყო ჩვენს დამარცხებას.

იტალია უდიდეს სამსახურს გაგვიწევდა ჩვენ, თუკი მიმდინარე კონფლიქტის მიღმა დარჩებოდა. ამის მისაღწევად ჩვენ არავითარი მსხვერპლი და არავითარი მჭევრმეტყველება არ გვესაჭიროებოდა. იტალიას რომ მკაცრად დაეცვა თავისი ნეიტრალიტეტი, ჩვენ მას დიდი წყალობით შევამკობდით. გამარჯვებისას მასთან ერთად გავიყოფდით მთელ ნაყოფსა და დიდებას. ჩვენ მთელი გულით მოვიწადინებდით ძველი რომაელების კანონიერი შთამომავლების — იტალიელი ხალხის — აღმატებულების შესახებ ისტორიული მითის შექმნას. ყველაფერს ვამჯობინებდით, ოღონდ კი ისინი არ გვყოლოდა იარაღის ამხანაგებად ბრძოლის ველზე!

1940 წელს იტალიის ომში ჩაბმამ ერთადერთი შედეგი გამოიღო: ლაქა მოსცხო იმ გამარჯვებას, რომელსაც დამარცხებული იმ დროს მზად იყო მიეღო სპორტულ პოზაში. იგი იმ ვირივით მოიქცა, რომელმაც მკვდარ ლომს წიხლი ჩასცხო, იტალიამაც ტლინკი უთავაზა საფრანგეთის არმიას, რომელიც უკვე დაშლილი იყო. საფრანგეთმა აღიარა, რომ იგი დამარცხდა პატიოსან ბრძოლაში რეიხის არმიების მიერ, მაგრამ მას არ უნდოდა ეცნო დამარცხება ლერძის სახელმწიფოებისაგან.

ჩვენი იტალიელი მოკავშირე ყველგან სირთულეს გვიქმნიდა. ამ კავშირმა, მაგალითად, საშუალება არ მოგვცა გაგვეტარებინა ჭეშმარიტი რევოლუციური პოლიტიკა ჩრდილო აფრიკაში. მოვლენების თავისთავად განვითარებით ეს ტერიტორიები ნაანდერძევ მიწად ხდებოდა იტალიისათვის და რაზედაც დუჩეს დიდი პრეტენზიები გააჩნდა. ჩვენ რომ მარტონი ვყოფილიყავით, ჩვენ გავათავისუფლებდით საფრანგეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ისლამურ ქვეყნებს, რაც უზარმაზარ შედეგებს გამოიღებდა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ბატონობენ ინგლისელები და ეგვიპტეში. როდესაც ჩვენი ბედი იტალიელებს დავუკავშირეთ, ასეთი პოლიტიკის გატარება შეუძლებელი შეიქნა. ისლამის მთელი სამყარო თრთოდა ჩვენი გამარჯვების გაგონებაზე. ეგვიპტელები, ირანელები და მთელი მახლობელი აღმოსავლეთი აჯანყების პირას იყო... მაგრამ ჩვენს მხარეზე იტალიელების გამოჩენამ ჩვენი პარალიზება მოახდინა, ისლამის ქვეყნების ჩვენს მეგობრებში გააჩინა მტკივნეული გრძნობა, რომლებიც ჩვენში, ნებსით თუ უნებლიეთ, ხედავდნენ მათი მჩაგვრელების თანამონაწილეებს.

საქმე ისაა, რომ დედამიწის ამ ნაწილში იტალიელები უფრო მეტად სძულთ, ვიდრე ინგლისელები და ფრანგები. კვლავაც ცოცხალია სენუსზე იტალიელების მხეცური ანგარიშსწორების მოგონებები. გარდა ამისა, დუჩეს სიცილისმომგვრელი პრეტენზიები — აღიარებდნენ მას „ისლამის მახვილად“, — დღესაც ისეთსავე აბუჩად ამგდებ სიცილს იწვევს, როგორც ომამდე. ეს ტიტული, რომელიც მიესადაგებოდა მუჰამედს და ომარის ტიპის უდიდეს დამპყრობს, მუსოლინიმ ძალით იჩუქა და ეს გააკეთა მის მიერ დაშინებულმა ან ტერორიზირებულმა რამდენიმე უბადრუკმა ტომმა. ჩვენ ისლამის სამყაროს მიმართ ბრწყინვალე პოლიტიკის გატარების დიდი შესაძლებლობები გვქონდა. თუმცა იტალიასთან ჩვენი კავშირის ერთგულების შედეგად ისინი, ისევე როგორც სხვებიც, ჩვენ ხელიდან გავუშვით!

სამხრ ოპერაციების ამ თეატრზე იტალიელებმა არ დაგვანებეს ჩვენი მთავარი კოზირის გათამაშება — გაგვეთავისუფლებინა საფრანგეთის ქვეშევრდომები და აჯანყების დროშა აგვეფრიალებინა ინგლისელთა მიერ ჩაგრულ ქვეყნებში. ისლამის მთელი სამყარო ასეთ პოლიტიკას ენთუზიაზმით შეხვდებოდა. მუსულმანებისათვის ატლანტის ოკეანიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე დამახასიათებელია ის, რომ ისინი გამოდიან ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

მოამზადა
გიორგი ბეჟუაშვილმა

გაგრძელება იქნება



## გამოვთქვამთ აღშფოთებასა და პროტესტს

გამოვთქვამთ აღშფოთებასა და პროტესტს, პოლიციის წარმომადგენელთა მიერ ამა წლის 31 მაისს სტუდენტთა მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევის გამო, რომლებიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად სამართლიანად მოითხოვდნენ ეროვნული საგანძურის საქართველოდან გაუტანლობის საგარანტიო წერილს ხელისუფლებისაგან. პოლიციის მხრიდან ამგვარი ქმედება მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული ოცდამეხუთე მუხლის უხეშ დარღვევად, ამასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, წერტილი უნდა დაესვას პოლიციის მხრიდან ამგვარ ქმედებებს. ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას და მასში მოცემულ თითოეულ მუხლს, კარგად უნდა ესმოდეთ საქართველოს კონსტიტუციის ორმოცდამეოთხე მუხლი, თუ მართლა ჩვენს ქვეყანას აქვს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ოდნავ მაინც დემოკრატიული ქვეყნის პრეტენზია. თუ არადა, საჯაროდ განვაცხადოთ, რომ ჯერ კიდევ პოლიციური რეჟიმის ქვეყანაში გვიწევს არსებობა და პატივს სათანადოდ არ ვცემთ ქვეყნის კონსტიტუციას და ადამიანის ელემენტარულ უფლებებსა და თავისუფლებას.

**გიორგი თევზაძე**
*ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი*

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტს
## თბილისის მოქალაქეთა მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო პარლამენტარებო!

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის სხვადასხვა მუზეუმებში დაცული ეროვნული საგანძურის ქრისტეშობის ორიათასი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე გამგზავრების პრობლემა საზოგადოების ყველა ფენის ინტერესისა და მსჯელობის საგნად იქცა.

ჩვენის აზრით, ამ განძის გატანის შესახებ საკითხი არც უნდა დასმულიყო საპატრიარქოს ნებართვისა და კურთხევის გარეშე, ვინაიდან ეს ეკლესიის ქონებისა და უფლების ხელყოფა და უდიდესი მკრეხელობაა ერის წინაშე.

რა მიზეზიც უნდა დაგვისახელონ ამ, რბილად რომ ვთქვათ, თამამი განზრახვის გასამართლებლად, ვერც ერთს ვერ დავეთანხმებით:

ქართული კულტურის უფრო ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მოტივი საფუძველს მოკლებულია. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ უნიკალურ საგანძურთა გასაცნობად დაინტერესებული პირები ყოველთვის მონახავენ დროსა და საშუალებებს მათი ადგილზე მონახულებისათვის. ჩვენ ხომ საქართველოში ტურიზმის განვითარება გვსურს! რაც შეეხება რესტავრაციის პრობლემას, თუ ვინმეს დახმარების სურვილი აქვს, საქართველოშიც მოგვარდება ეს საქმე. ისე, ჩვენშიც მოიძებნებიან კომპეტენტური რესტავრატორები, რომლებიც სიხარულით იტვირთავენ ამ ღვაწლს. პოპულარიზაციის პრობლემის მოგვარება კი სხვა საშუალებებითაც შეიძლება, ვთქვათ, ინტერნეტით, ილუსტრირებული ალბომებით. გარდა ამისა, შესაძლებელია მაღალ დონეზე შესრულებული კატალოგებისა და ასლების შექმნა და საგამოფენოდ ორიგინალების ნაცვლად მათი გატანა.

ბოლოს გვინდა, გკითხოთ: რა ღირს გასატანად გამზადებული ჩვენი საგანძური და ვინ შეაფასა იგი?

**სულ 1200 ხელმოწერა**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №35(998).

# ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

ამ ფონზე მოხდა ის, რაც 1991 წლის უსისხლო ეპიზოდებს შორის შეიძლება ყველაზე მწვავედ ჩავთვალოთ. სადღაც სექტემბრის ოცდაორ-ოცდასამში (თრიღები ზუსტად არ მახსოვს და დაზუსტებას არ ვცდილობ, რადგან ცნობილია) ტელევიზიაში არსებულმა ქრონიკულმა კონფლიქტმა, როგორც იტყვიან, გარეთ გამოასხა და საპროტესტო აქციად იქცა. რამდენად ბუნებრივად მოხდა ეს გადმოსხმა, ვერ ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ამ მოვლენის სრულ ბუნებრიობაში არა ვარ. კონფლიქტი იმაში მდგომარეობდა, რომ პრეზიდენტის მიერ დაყენებული ახალი ადმინისტრაცია და თანამშრომლების ერთი ნაწილი, რომლებიც უყოყმანოდ იყვნენ დარწმუნებულნი მისი კურსის და მის მიერ გამოყენებული მეთოდების მიუმცდარობაში, ამის გამო სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულნი დანარჩენ ნაწილთან, რომელიც ცალკე თანამდებობრივი მოტივების გამო, ცალკე — მეტ-ნაკლებად პრინციპული მოტივებით ან, უბრალოდ, პირადი შეურაცხყოფილობის გამო ამ კურსის და ტელევიზიაში მისი გატარების მეთოდების წინაამდეგი იყო. მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ ტელერადიოკომიტეტის (იმ დროს საქართველოს ერთადერთი ტელევიზიის) სათავეში ა. გოგელიას ნაცვლად თ. კვანტალიანი დააყენა, ტელევიზია მის სრულ პირად გამგებლობაში მოექცა. გოგელია კომუნისტური ხელისუფლების ორგანული ელემენტი იყო, მეტ-ნაკლებად „კაი ბიჭობის“ მოთამაშე (შევარდნაძისეული რესტავრაციის შემდეგ, მან როგორც ათასობით მისმა მსგავსმა სხვამ, ეს ნიღაბი მოიხსნა), ამიტომ მასზე ამა თუ იმ სახის „ზეწოლით“ კომუნისტების დროსაც და ზვიადის დროის პირველ ხანებშიც ყველა პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ ეკრანზე თავისი სათქმელის თქმას. სრულებით უცნობ კვანტალიანს რომ ტელევიზიის უფროსად ნიშნავდნენ უზენაესი საბჭოს სხდომაზე, — რაც მოულოდნელი იყო ყველასთვის, ზვიადის ახლობელთა გარდა, — მისდამი ერთგვარი სიმპათია გაჩნდა იმის გამო, რომ საკმაოდ პოპულარულმა რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ მას მხარი დაუჭირა და „ნიჭიერ რეჟისორად“ მოიხსენია. მისი ნიჭიერების ეს ვერსია მალე გაქარწყლდა, ანუ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ქება შენგელაიას მხრიდან მხოლოდ მლიქვნელობის ილეთი იყო. კვანტალიანმა უცბად ალკვეთა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთათვის ეკრანის მიცემის ზემოხსენებული პრაქტიკა და ტელევიზიასა და რადიოში მონოპოლიურად გააბატონა „მრგვალები“. ამ ვითარებას ტელევიზიაში ზოგნი „მეტ-ნაკლებად“ პრინციპული მოსაზრებით ეწინააღმდეგებოდნენ-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ რაიმე არსებითი შენიშვნა პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის მიმართ ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება ამა თუ იმ კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯით მე იქ არ მახსოვს. უფრო ქმედითი გამღიზიანებელი იყო, ჩემი შეფასებით, საკადრო გადაადგილებები, რომელშიც თანამშრომლები ჯანსაღ ლოგიკას ვერ ხედავდნენ, და, ჩემის მიხვედრით, ის, რბილად რომ ვთქვათ, უგემოვნო მეთოდები, რასაც პრეზიდენტის პირადი თაყვანისმცემლები მიმართავდნენ განურჩევლად იმისა, იმსახურებდნენ ამ მეთოდთა მიყენების ობიექტები ამგვარ უსუფთაო მიდგომას თუ არა (მხედველობაში მაქვს იმ სტილის მოვლენები, როგორიცაა წარმოსახვითი „მოწინააღმდეგეებისათვის“ ტყუილის თქმა, დოკუმენტის გაქრობა და ა.შ.). კონფლიქტის მიმდინარეობის გაგებისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს — ტელევიზიის შემოსვლამდე არსებული „რადიოკომიტეტის“ მემკვიდრეს — თავისი საკუთარი ფრიად საჩოთირო „ტრადიციებიც“ ჰქონდა. რადიოში ყველა დიქტორი იმ დროს სუკის კადრი იყო (რათა, ანეკდოტისა არ იყოს, ეთერში არ დაეყვირათ „გვიშველეთო“), სხვას ყველას ეთერში მხოლოდ ჩანაწერით უშვებდნენ. სხვანი, მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში, ამავე უწყებასთან ასე თუ ისე მორგებული პირები იყვნენ ხოლმე. ეს კადრი და, საფიქრებელია, ეს პრაქტიკაც, მეტ-ნაკლები ხარისხით, ახალ ტელევიზიასაც შემორჩა. იქ იყვნენ, როგორც იტყვიან, „ჩასაფრებული“ ადამიანები (ზოგს ეს თვისება, მე მგონი, პირდაპირ შუბლზეც ეწერა), რომლებიც იმთავითვე გეგმაშეწონილად ილვწოდნენ საბჭოური მიმართულებით და იანვარ-დეკემბრის გადატრიალებისთანავე წითელი ცენზურის საქმე დაუყოვნებლივ ააწყეს. იყვნენ ისეთი თავგადაკლული ზვიადისტებიც (ეჭვი რომ შევიტანო ამაში, ეს ჩემი მხრივ, გულუბრყვილობა იქნებოდა), რომლებიც ორსავე ზემოხსენებულ თვისებას ჰარმონიულად ათავსებდნენ თავის თავში. ის არაზვიადისტი და არაჩასაფრებული თანამშრომლები, რომელნიც ტელევიზიის საკუთრივ შემოქმედებით და არა ადმინისტრატორ ნაწილს შეადგენდნენ, მე მგონი, სავსებით გულწრფელად იყვნენ გამზადებულნი კიბეზე ჩამოსაჯდომად, თუმცა ეს, თავის მხრივ, სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ მათს მეთაურობას თუ ვერა, ყოჩობას მაინც გულმოდგინედ ლამობდა ვახტანგ კვარაცხელია — საკმაოდ ჭკვიანი, ამჟამად უკვე, შეიძლება ითქვას, ცალსახად მხილებული კომუნისტური აგენტი. არც იმაში მაქვს საფუძველი შეეჭვებისათვის, რომ ზემოხსენებული „ჩასაფრებულები“ დინჯად და პროფესიულად უთვალთვალებდნენ სამიოდე წლის მანძილზე ყველა ამ პროცესებსა თუ ძალთა გადალაგება-გადმოლაგებას და განწყობილებათა მიდენ-მოდენას, რათა თავის დროზე საჭირო რეკომენდაციები შეემუშავებინათ და საჭირო ნაბიჯები გადაედგათ (ეს, მე მგონი, უკვე მოხდა და ხდება). უნივერსიტეტის კიბეზე მიმდინარე უწყინარ აქციასთან შედარებით ტელევიზიის ეს კიბეობანა, რასაკვირველია, ბევრად უფრო სერიოზული რამ იყო, პოლიტიკურად მკვეთრად შეფერილი იმის გამო, რომ ეს სწორედ ტელევიზია იყო, ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ყველაზე მასობრივი და ქმედითი არხი. ამ აქციას, საკმაოდ უცნაურად და საეჭვოდ, თან მოჰყვა იქვე გვერდით მდებარე რაიალმასკომის ანუ ძირითადი ადმინისტრაციული შენობის დაცლა მის ხუთსავე სართულზე განლაგებული დაწესებულებების მიერ, ქაღალდების ქაოტური მოფანტვა მის დერეფნებში და მისი ოთახების „ვინც მოასწრებს“ პრინციპით დაკავების ბუმი სხვადასხვა ორგანიზაციათა, მათ შორის — პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ. უფუნქციოდ დარჩენილი დარბაზი კარგა ხნით ყველა მსურველთა თავყრილობის უპიროვნო და უპატრონო ადგილი გახდა. საბედნიეროდ, ამ ბუმის ჩაცხრომა, ერთგვარი გონს მოსვლა და იმ შენობიდან მასში დამკვიდრებულ ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი გამოხვეტა მალე მოხდა.



ჩემი მხრიდან ერთი მცდარი, თუმცა, პრაქტიკულად, ვნების მოუტანლად ჩავლილი ნაბიჯი მაშინაც გადაიდგა. სახალხო ფრონტის ყველაზე აქტიურ წევრთა, ანუ ყაზბეგის ქუჩაზე ჩვენს შტაბ-ბინაში ყველაზე ხშირად მყოფ და პროცესებში ყველაზე ინტენსიურად ჩართულ წევრთა ერთხმა ან თითქმის ერთხმა აზრის შესაბამისად (მხოლოდ წევრთა ამგვარი ნაწილის მიხედვით საქმეთა გადაწყვეტა კი თავისთავად შეცდომაა), ჩვენც ტელევიზიის აქციაში მონაწილეობა ან მისდამი მხარდაჭერა თუ არა, „იქ ყოფნა“ ანუ იმის თვალის დევნება, რა მოხდებოდა, მაინც გადავწყვიტეთ და იქ მყოფ ჩვენ წევრთა კოორდინირება ალექსანდრე (ნანატრი) ჩიტიშვილს დავავალეთ, რათა მოვლენათა განვითარების არცერთ ვარიანტს მოუმზადებელი არ შევხვედროდით. ამ ნაბიჯს სახალხო ფრონტის მხრიდან მხოლოდ ერთი, მაგრამ უკმარისი გამართლება ჰქონდა და აქვს. იმ ვითარებაში, როცა მიტინგზე მიტინგის მისვლის ხიფათი, როგორც იტყვიან, ატმოსფეროში ეკიდა, როცა პოლიტიკურ იარაღად გამოყენებული იყო თავისთავზე პასუხისმგებლობის არამქონე და თავისი მიზნის საკუთარი განსჯით არგანმსაზღვრავი მასა, ანუ ე.წ. „ბრბო“, როცა ყოველ წამს არსებობდა იმის მოლოდინი, რომ ამ ობიექტზეც, ტელევიზიაზე, ასეთი მასიმიერი ზემოქმედება განხორციელებულიყო, ყოველივე ცოტა თავისებურად მოჩანს. გამოთქმას „ე.წ. ბრბო“ აქ ბრჭყალებში შეგნებულად ვსვამ, რადგან ამ მასას არ ვთვლი ბრბოდ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მიზეზით შემდეგია: ეს არ იყო ყველასაგან ანუ ქუჩაში პირველ შემხვედრთაგან შედგენილი მასა, არამედ იყო ისეთ ადამიანთა მასა, რომელთაც იმთავითვე მკაფიოდ გამოხატული ელიტარული თვისება — ერთი მაინც — აქვთ. სახელდობრ, ესაა ქვეყნისა და ერის ბედის ფეხებზე არდაკიდება ისეთ ვითარებაში, როცა მრავალი სხვა ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტიპური ვითარებისგან განსხვავებით, ეროვნული ინტერესი და მოცემული მოსახლეობის ან მოცემული პიროვნების მატერიალური კეთილდღეობის ამოცანები ერთმანეთს უშუალოდ არ ემთხვევა. ამ მხრივ (ეს მხარე კი მთავარი გახლავთ) რესტავრირებული კომუნისტური ხელისუფლების გარშემო თავმოყრილი ლიპიანი მასა შეუდარებლად უფრო ბრბოა, ვიდრე მათგან ესოდენ დაწუნებული ქუჩა. მთელი სიძნელე და სირთულე მდგომარეობისა ჩემთვის, პირველ ყოვლისა, ის იყო, რომ მთელი რიგი გამანადგურებელი ეპითეტებისა, რომელიც ბრბოს მართლაც ეკუთვნის და რომელიც განსაზღვრავს პირადად ჩემს დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი, ამ მასას არ მიუდგებოდა, მაგრამ ამავე დროს იმ კურსის გატარება და პოლიტიკური მოქმედების იმ წესის განხორციელების ცდა, რომლებიც ჩემთვის მიუღებელი იყო, როგორც მოქალაქისათვის (ვგულისხმობ მოქმედებას არა მხოლოდ ჩემისთანების მიმართ, არამედ განსხვავებულთა მიმართაც, რომლებიც ჯერ, ასე ვთქვათ, ავანსცენაზე გამოსულნი არ იყვნენ) ამ მასის საშუალებით ხდებოდა.

იმ ატმოსფეროს დასახასიათებლად, რომელიც იმ ხანებში ტელევიზიაში და მის გარშემო სუფევდა, მოვიყვან ერთ ეპიზოდს. ჯერ ტელევიზიის აქციის დაწყებამდე, მაგრამ უკვე გახურებული საპარლამენტო დისკუსიების არსებობის დროს ტელევიზიის დერეფანში მოვდიოდი და ერთ ღია კარებში რომან გოცირიძე, ჩვენი პარტიის ახალგაზრდა წევრი, დავინახე. შევედი, რადგან მისი ნახვა მინდოდა, და შევუსწარი მის ნახევრად სახუმარო კილოზე წარმოებულ პოლიტიკურ დისკუსიას სამ ახალგაზრდა თანამშრომელ ქალთან, ძირითადად ერთთან, რომელიც რომანის ეკონომიკურ ბრალდებებს არსებული კურსის მიმართ პასუხობდა რეპლიკით „არ ვიცი, ზვიადს რომ რამე მოუვიდეს, თავს მოვიკლავო“, ხოლო რომანის შეხუმრებით კომპლიმენტებს — შენიშვნით: „ჩემ ქმარს თქვენი წონის მუშტი აქვსო“ (ჰყავდა თუ არ ჰყავდა სინამდვილეში ქმარი, არ ვიცი. ჩემი შთაბეჭდილებით, ის ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა პიროვნება გაუთხოვარი უფრო უნდა ყოფილიყო). ამ ცოცხალი და საკმაოდ მიმზიდველი დისკუსიის დროს ოთახში მოულოდნელად შემოიჭრა კიბეზე ნარბენი სამი „მრგვალი“ დეპუტატი და დაბნეული გაჩერდა. გამოირკვა, რომ ვიღაცას დაერეკა უზენაეს საბჭოში, ნათაძე და გოცირიძე ტელევიზიაში დებოშს აწყობენ თანამშრომელთა მიმართ და უშველეთო.

რაკი ტელევიზიასთან და ტელევიზიის მიერ ეს აქცია დაიწყო, გვარდიის ხელმძღვანელობამ დრო იხელთა და აუარებელი არხებით, რასაც ძირითადად მასთან შავნაბადაზე ამსვლელი და ამრბენი პოლიტიკური პარტიების მოლვაწენი წარმოადგენდნენ, გამოაცხადა, რომ მთელი შეიარაღებით ქალაქში ჩამოსვლასა და პრეზიდენტის დიქტატურისგან დემოკრატიის დაცვას აპირებს. ეს მშვიდი კონსტატაცია ჩემი მხრიდან რასაკვირველია მწარე ირონიის გამომხატველია, რადგან ამ სიტყვებით გამოთქმული მდგომარეობა, ცხადია, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ყოველგვარ ნორმას,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის განცხადება



საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივ ქმედებათა გამო, გაურკვეველი დროით დაიკარგა აფხაზეთი.

ამ კუთხის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა გაძევებულია თავისი მშობლიური ადგილებიდან.

დევნილმა და ლტოლვილმა მოსახლეობამ გამოიჩინა უმაგალითო სულგრძელობა და მიმტევებლობა — პრობლემის სამართლიანად გადაჭრის იმედით, შეუნდა ხელისუფლებას და მისცა მას უნიკალური შანსი — თვითონვე გამოესწორებინა საკუთარი დანაშაული, აღედგინა სამართლიანობა.

სამწუხაროდ, ამაო აღმოჩნდა დევნილთა იმედი. აფხაზეთის დაკარგვიდან ხუთნახევარი წლის განმავლობაში, ხელისუფლებას არ გადაუდგამს არცერთი რეალური ნაბიჯი პრობლემის მოგვარების გზაზე. პირიქით, 1998 წლის მაისში გალის რაიონში განხორციელებულმა ავანტიურამ კიდევ უფრო ჩახლართა და გაართულა პრობლემის მოგვარების პერსპექტივა.

სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, აფხაზეთის პრობლემის სამართლიან მოგვარებას ხელს უშლის ის, რომ მას არა ჰყავს ნამდვილი ჭირისუფალი. დევნილები არ წარმოადგენენ ერთიან, შეკრულ ძალას, საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოთიშული არიან პრობლემის მოგვარების პროცესიდან. დიდი ხნის წინათ, გაურკვეველ ვითარებასა და საკმაოდ საეჭვო საარჩევნო კანონის საფუძველზე, არჩეული აფხაზეთის დევნილობაში მყოფი უმაღლესი საბჭო და საქართველოს პარლამენტის აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები ვერ გამოხატავენ დევნილთა ინტერესებს, ისინი ვერავითარ რეალურ გავლენას ვერ ახდენენ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე. მათი ფსევდორადიკალიზმი ვერ ფარავს საქართველოს ხელისუფლების დამღუპველი კურსის ფაქტიურ ერთგულებას.

დევნილებს არ ეძლევათ საშუალება, დროებითი განსახლების ადგილებში საკუთარი ინტერესების გამომხატველი და დამცველი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევისა. ამას დევნილთა ერთადერთი წარმომადგენლობითი ორგანოს სტატუსის დაკარგვის შიშით ხელს უშლის აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

უფრო მეტიც, 1995 წელს, დევნილებს „მოპარეს“ პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლების არჩევის უფლება და მათდა დაუკითხავად, კონსტიტუციური ნორმების უხეში დარღვევით, გაუგრძელეს უფლებამოსილება პარლამენტის აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს. მსგავს მცდელობებს დღესაც აქვს ადგილი.

სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ყოველგვარ გონივრულ საფუძველს მოკლებული არგუმენტების მოშველიებით ცდილობენ, კვლავ შეუშალონ ხელი დევნილებს საკუთარ კონსტიტუციურ უფლებათა რეალიზაციაში და არ დაუშვან პარლამენტში მათი სრულფასოვანი წარმომადგენლობის არჩევა, რასაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ აფხაზეთის პრობლემის მიჩუმათებისა და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგიდან მის საბოლოო ამოღებამდე.

„ეროვნული თანხმობის დარბაზმა“, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ აფხაზეთიდან დევნილთა არაერთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები, ამ დღეებში ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებათა შეტანის პროექტი. მისი გარდამავალი დებულებანი „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნებისათვის“ ითვალისწინებენ:

1) აფხაზეთიდან დევნილთათვის მაჟორიტარული წესით 8 დეპუტატის არჩევის უფლების აღდგენას;

2) №2 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან, რომელიც მოიცავს №71-78 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს, დევნილებს მიეცემათ 13 დეპუტატის არჩევის უფლება.

ეს პროექტი იძლევა საშუალებას, დევნილებს აღუდგეთ კონსტიტუციური უფლება პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლობის არჩევისა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს დევნილებს მიიღონ მონაწილეობა საკუთარი ბედის გადაწყვეტაში. თვითონვე უჭირისუფლონ საკუთარ პრობლემებს.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას, სამწუხაროდ, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მათ შორის, აფხაზეთის სახელისუფლო სტრუქტურებშიც.

გამომდინარე ყოველი ზემოთთქმულიდან, ჩვენ ვთხოვთ პარლამენტს, მასში წარმოდგენილ ყველა პოლიტიკურ ძალას, მხარი დაუჭირონ დევნილებს საკუთარი კონსტიტუციური უფლებების აღდგენა-განხორციელებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დევნილთა მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში კარგავს ყოველგვარ აზრს, იქცევა პოლიტიკურ ფარსად, რომელშიც ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

ამ კანონიერ მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევაში, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ იტოვებს უფლებას, მიმართოს დევნილებს საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტის წინადადებით.

**აფხაზეთის დევნილთა კავშირის თავმჯდომარე მურმან ბერია.**

დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ №20

# სტალინის გვერდით

## გიორგი დიმიტროვის გამოუქვეყნებელი დღიურებიდან



მაგრამ ჩვენ მხარს გვიჭერდნენ საშუალო კადრები, უხსნიდნენ მასებს ჩვენს პოზიციებს. ტროცკი კი ამ კადრებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

დიმიტროვი: ... და იმიტომ, რომ ლენინის შემდეგ თქვენ სწორ გზას გვიჩვენებდით და მყარად და ბრძნულად მის საქმეს აგრძელებდით. ხომ იყო ისტორიის მანძილზე შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეებს თავიანთი წინამორბედების საქმე დაუღუპიათ.

ვოროშილოვი და მოლოტოვი: დიმიტროვს უნდა სადღეგრძელო თქვას. დიმიტროვი: მე ვეღარაფერს დავუმატებ იმას, რაც ამხანაგმა სტალინმა თქვა მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა და საშუალო კადრების მნიშვნელობის თაობაზე. ეს პარტიაში გათვალისწინებული იქნება, და მე, პირადად, რამდენადაც ძალა შემწევს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს კომინტერნის რიგებშიც მიიღონ მხედველობაში. უნდა ვთქვა, რომ არა მარტო ჩემი ღრმა რწმენით, რაც მე თვითონ გადავიტანე ციხეში უმძიმესი განსაცდელის პირობებში, რომ სოციალისტური რევოლუციისათვის და საერთაშორისო პროლეტარიატისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ლენინის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა განაგრძო მისი საქმე ასეთი შეურყევლობით და გენიალურობით, ყველა რთულ პერიოდში, და საქმის გამარჯვება უზრუნველყო. შეუძლებელია ლენინზე ლაპარაკი სტალინთან მისი დაკავშირების გარეშე! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

(ყველა სწევს სასმისს.)

სტალინი: მე დიდ პატივს ვცემ ამხანაგ დიმიტროვს. ჩვენ ვართ და დავრჩებით კიდეც მეგობრებად. მაგრამ მე მას არ ვეთანხმები, მას მარქსისტულადაც კი არ გამოუხატავს თავისი აზრი. საქმის გამარჯვებისათვის შესაბამისი პირობებია საჭირო, ბელადები კი მოიძებნება. საკმარისი არაა მხოლოდ ჭეშმარიტი გზის ჩვენება. ინგლისური პარტია ხომ ჩვენებურად სწორ პოლიტიკას ატარებს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, იმიტომ, რომ საშუალო კადრები ლეიბორისტების მხარეზე არიან. საფრანგეთის პარტიაც სწორ პოლიტიკას ატარებს, მაგრამ სოციალისტური პარტია ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ძირითადი — საშუალო კადრებია. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სხვა თანაბარ პირობებში საშუალო კადრები წყვეტენ საქმის წარმატებას.

ხრუშჩოვი: ჩვენ საბედნიეროდ საუკეთესოდ გვაქვს შეხამებული დიადი ბელადიც და საშუალო კადრებიც!

სადილის შემდეგ — კრემლში, ვუყურებდით ფილმს ლენინის შესახებ.

წითელი არმიის მანევრები!“

ამ პერიოდში თვითონ გ. დიმიტროვი წუთი წუთზე ელოდა დაპატიმრებას, შინსახკომში უკვე მზადდებოდა მის შესახებ მასალები — და დღიურს აწარმოებდა აშკარად იმის გათვლით, რომ იგი ლუბიანკაზე აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარეობს ჩანაწერების სიზუსტეც და სტალინის ან მისი ხროვის რომელიმე წევრის მისამართით კრიტიკული შენიშვნის გამოთქმის შეუძლებლობა.

რა თქმა უნდა, სტალინის მიერ დასახელებული „ჯაშუშები“ და „ტროცკისტები“ მხეცურად გაანადგურეს ეჟოვისეული ციხეების კედლების მიღმა. ესენი იყვნენ: ბელა კუნი და ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ბულგარელი ხრისტიან რაკოვსკი, დიპლომატი ბოგომოლოვი და ვილჰელმ კრონინი (ბელორუსიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, შემდგომ — სსრკ-ს ცაკისა და საკავშირო აღმასკომის წევრი); იოსებ პიატნიცკი (კომინტერნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც 1937 წელს ცეკას პლენუმზე თამამად გამოვიდა სიტყვით სტალინის წინააღმდეგ) და „აბრამი“ (ნიკოლაი კრილენკო — რსფსრ-ს იუსტიციის ნარკომი, 1936 წლიდან — სსრკ-ს იუსტიციის ნარკომი); ნიკოლაი ანტიპოვი (1935 წლიდან სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე) და იოსებ ვარეიკისი (სამოქალაქო ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, სსრკ-ს საკავშირო აღმასკომისა და ცენტრალური აღმასკომის წევრი). ვოროშილოვთან სადილზე მყოფთა მესამედზე მეტი მალე სტალინური რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

**„მე თქვენ გაჩვენებთ“.**

უეჭველ ინტერესს იწვევს დიმიტროვის მეორე „სადღესასწაულო“ ჩანაწერიც, რომელიც 1940 წლის 7 ნოემბრითაა დათარიღებული. ეს უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევაღწიოთ „ოფიციალური ქმედების“ კულისებში, იმის თვალებით შევხედოთ, თუ რა ხდებოდა „უმაღლეს სფეროებში“, ვინც რჩეულებს განეკუთვნებოდა.

„7.11.40 წელი. წითელ მოედანზე.

დემონსტრაციის შემდეგ ვსადილობდით იოსებ ბესარიონის ძესთან. სადილს ესწრებოდნენ: მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ბუდიონი, ანდრეევი, კაგანოვიჩი, ბერია, მიქოიანი, შვერნიკი, ბულგანინი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, მოსკოვის ოლქის სარდალი ტიულენევი (არმიის გენერალი), დიმიტროვი (ბოლოს გამოიძახეს ტიმოშენკოც).

რიგ-რიგობით ყველა მოწვეულის სადღეგრძელო დაილია. საუბარი გაიმართა სამხრეთის ფრონტზე გამართული სამოქალაქო ომის შესახებ (უთანხმოება სტალინსა და ტროცკის შორის).

ი.ბ.-მ იკითხა, თუ რა ნიშნის მიხედვით ხდებოდა ხელმძღვანელი კადრების შერჩევა.

ი.ბ.: „ტროცკი ენდობოდა და ემხრობოდა ძველ ოფიცრებს, სპეციალისტებს, რომლებიც ხშირად ღალატობდნენ.

ჩვენ, პირიქით, ვაგროვებდით რევოლუციის ერთგულ ადამიანებს, რომლებიც მასებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ძირითადად უნტეროფიცრებს დაბალი ფენიდან, თუმცა ნათლად გვესმოდა პატიოსან სპეციალისტთა უდიდესი მნიშვნელობაც.

ვლადიმერ ილიას ძე თავიდან ფიქრობდა, რომ მე სპეციალისტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება მექნებოდა, მან მოსკოვში გამომიძახა. ტროცკი და პატკოვი ამის დამტკიცებას ცდილობდნენ და ჩემს მიერ განთავისუფლებულ ორ სპეციალისტს ექომაგებოდნენ. ზუსტად ამ მომენტში ფრონტიდან მოვიდა შეტყობინება, რომ ერთმა მათგანმა გვიღალატა, მეორე კი დეზერტირი იყო. ილიჩმა წაიკითხა რა ეს შეტყობინება, ამხილა ტროცკი და პატკოვი, აღიარა ჩვენი ქმედებების სისწორე“.

სადილზე ვისხედით 5.30სთ-დან 9 საათამ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №7

# „ჩუმა“ თავის თავგადასავალს მიყვება




## წარსულის გახსენება

ბოლო ჟამში გარდაცვლილი სხეულის სასიცოცხლო მოლეკულებისგან (მომავალი არსების დასაბადებლად) წარმოიქმნება სამი რამ: — მიწის წიაღიდან საკვები, ატმოსფეროდან ჟანგბადი, წყალთა სამყაროდან სასმელი წყალი, ჩვენ ვიკვებებით მიწიერი საკვებით, ვსვამთ წყალს, ვსუნთქავთ ჟანგბადს იმიტომ, რომ სხვაგვარად არსებობა არ შეგვიძლია, მაგრამ ძირითადში რა დანიშნულებით გვაწვდის ყოველივე ამას განგების ძალა, ეს ჩვენთვის ამოუცნობი სუბიექტია.

აი, ახლა შენ ექიმმა ხომ დაგალევინა წამალი, მაგან მთელი შენი სხეული უნდა მოიაროს და ავადმყოფობა განდევნოს, ესაა მისი დანიშნულება. ასევეა ჩვენთვის საკვები, წყლის მარაგი და ჰაერიც. მათაც გააჩნიათ პირადი დანიშნულება. მათივე საშუალებით უნდა შეაღწიოს მომავალი არსების ჩამსახველმა მოლეკულამ ცოცხალ ორგანიზმში, რათა დასაბამი მისცეს ამა თუ იმ სიცოცხლის განმეორებით დაბადებას.

ასეთია ჩემი შეხედულება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების მიმართ!

ჩუმას მსჯელობაზე კინაღამ გულიანად გამეცინა, მაგრამ როგორღაც შევიკავე თავი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასაკით ჩემზე საკმაოდ უფროსი იყო, მეორეც არის და ის ისე დარწმუნებული ჰყვებოდა თავის სათქმელს მეორედ თუ მესამედ დაბადების შესახებ, რომ მართლა უადგილო იქნებოდა შემეჩერებინა იგი. ხოლო როდესაც შევატყე, რომ თავისი სათქმელის ფინალში გავიდა, მაშინ კი ვუთხარი.

ეხ, ძმაო, იუსუფ, კარგია, როცა ადამიანი მომავლისადმი ოპტიმისტურად არის განწყობილი, პესიმიზმი ეს იგივე თვითმკვლელობაა. მე კი ასე ვიტყოდი: —

პატიმრობა ადამიანისათვის ისეთი სატანჯველი ყოფილა, რომ ყოველნაირად სპობს მასში სალი აზროვნების უნარს, ამიტომ ათასგვარი მოჩვენებებით ვართ შეპყრობილნი, მაგრამ როგორც შენ მსჯელობ პირადი ინტუიციის ნიადაგზე, რომ გარდაცვლილი არსება განმეორებით უბრუნდება სიცოცხლეს, ადამიანი რომ დარწმუნდეს მაგ საკითხის სინამდვილეში, მაშინ ის არავითარი დანაშაულიდან აღარ დაიხევს უკან, თუკი სიკვდილით დასჯის შემთხვევაში კვლავ ამქვეყნად დაბრუნების შანსი ექნება. ჩვენ კი, მე და შენ, მეორედ დაბადების შემთხვევაში ალბათ აქვე, ტაიგაში მოგვაყუჩებენ კომუნისტები, მაგრამ ვიმეორებ, რომ შენი ასეთი ფიქრები მეტისმეტი ნერვიულობისა და ჰალუცინაციების ბრალია-მეთქი.

ო, არა, არა, შალვა ყონაღ მოი, რომელ პატიმრობაზე, ნერვიულობაზე და ჰალუცინაციებზეა ლაპარაკი, როცა ბავშვობის დროსაც მქონდა რამოდენიმე მსგავსი შემთხვევა: — ერთხელ მასწავლებლებმა სადღაც მთაში, ექსკურსიაზე წაგვიყვანეს მოსწავლეები. გზად წყალი მოგვწყურდა. მე დაუინებით მივუთითე იქით მხარეს, საითაც წყარო მეგულებოდა. უფროსები ენდნენ ჩემს რჩევას და მართლაც სულ მალე მთის ანკარა წყაროს მივადექით.

მასწავლებლები დაინტერესდნენ, თუ საიდან ვიცნობდი იმ ადგილებს, მინდოდა მეპასუხა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი ვერაფერი გავიხსენე, რაღაცამ დამიბინდა გონება.

რაღა უნდა მეთქვა? მას ასე სწამდა და რატომ უნდა შემერყია მისი რწმენა, ეგები, რა საკითხში სულდგმულობდა იგი ასეთი გაგებით.

აღარ გავაწბილე და ასე ვუთხარი:

— ჩემო იუსუფ, ღმერთმა ქნას, რომ ყოველივე ისე იყოს, როგორც შენ თქვი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს მეორედ თუ მეათედ დაბადებას, თუკი ყოველი დაბადების შემდეგ თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი, მაგრამ შენ მაინც ისე დამაჯერებლად მოყევი შენი სათქმელი, გარეთ რომ იყო, ალბათ დისერტაციასაც დაიცავდი მაგ საკითხში-მეთქი.

რუსი ერი თუ გიყვარს? — მკითხა ერთ საღამოს ჩუმამ.

— მიყვარს, ისე როგორც გერს დედინაცვალი, უფრო სწორად, პატივს ვცემ პიროვნებას მისი ღირსებით და არა ეროვნების მიხედვით — მივუგე მე.

— ჩემგან ხუთიანი! მითხრა მან და იქვე გააგრძელა, — სიმართლე გითხრა, მე ვერ ვიტან რუსების ყოყლოჩინობას, — ყველაფერი თავისი მოსწონთ და სჯერათ; ვაჟკაცობაც, კულტურაც, ჭკუა-გონებაც, ისტორია და ეროვნებაც, ყველაზე წინ აყენებენ პირადს, სხვა ეროვნებისას არაფერს არ სცემენ პატივს ისე, სიმართლე რომ ითქვას, გერმანელები ხალხად არც სთვლიდნენ ამათ, ღორებს უწოდებდნენ. ან რა ჭკვიანად მიაჩნიათ თავი, რომ ჭიქა არაყს თუ დაალევინებ, რასაც მოისურვებ, იმას აკისრებინებ.

— მრავლობითში მაინც არ ითქმის ასე! — შევაწყვეტინე სათქმელი.

— მეტი წილი მაინც ასეთია, თავისივე ყოყლოჩინობა სვრით ტალახში ამ უტვინოებს, სხვამ უნდა თქვას დადებითი მხარე, შენ კი არ უნდა ყვიროდე, ესა ვარ და ისა ვარო. ერთ ჭიქა არაყში გაყიდიან საკუთარ მშობელ დედას, მაშ, ეს არის კულტურა და ადამიანობა? ჩვენ, ყველა კავკასიელს ველურებს, მხეცებს გვიწოდებენ, მაშინ, როცა ამათზე მდიდარი კულტურაც გაგვაჩნია და ტრადიციებიც. ესენი მომენტის ხალხნი არიან, თუ რამეს ხედავენ შენში, ვაჟკაცობას ან ეკონომიკურ გამორჩენას, მაშინ დაგიახლოვდებიან, თუ არა და, თოფის სასროლზეც არ მოგეკარებიან. აი, თუნდაც შენი ბრიგადირი, ლიხაშეპირსტოვი?, მაგან დაინახა შენში რაღაც განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნება და ამიტომ დაგიძმაკაცდა, ასე არ არის? მიპასუხე ერთი.

— სხვათაშორის, მაგას ქურდებმაც დაავალეს ჩემზე მეურვეობა, მივუგე მე.

— კი მაგრამ, შენ რა საქმე გაქვს ქურდებთან? დაინტერესდა ჩუმა.

— ეგ რომ გითხრა, მაშინ მთელი ჩემი თავგადასავალი უნდა მოგიყვე და ბოლოს ქურდებთან მივიდეთ. ასე უფრო გარკვეულად გასაგები იქნება ყველაფერი.

— მაგაზე უკეთესს რაღას მომიყვები, შე დალოცვილო. აქ რა ცხვარ-ძროხა დაგვრჩება მოსავლელი. აბა, მოყევი, საუბარში დროც შეუმჩნევლად გაივლის. მითხრა მან, თავის ნარზე მხარ-თეძოზე წამოწვა და მოსასმენად მოემზადა.

მეც დავიწყე და მოვყევი ყველაფერი (რაც მკითხველმა უკვე იცის), თუ როგორ იმსხვერპლა მამაჩემი ბოროტი მეზობლის ენამ და რამდენი სიმწარე გადავიტანეთ მის შემდეგ ჩვენს ოჯახში. მოვყევი, თუ როგორ ვცადე კალამი ლექსების წერაში, როგორ მოვხვდი წითელ არმიაში და როგორ შევხვდი ლავრენტი ბერიას და ალექსანდრე ვასილევსკის, რომელთა „წყალობით“ ამიყვანეს პატიმრობაში მოსკოვში, ჟუკოვსკში და ბოლოს უნჟლაგში მომიყვანეს. აქ ქურდები დაინტერესდნენ ჩემი საბრალდებო საქმით და როცა დარწმუნდნენ ყველაფერში, დიდი ყურადღება გამოიჩინეს ჩემს მიმართ, მათვე დაავალეს ბრიგადირს ჩემზე მზრუნველობა.

— კი, მაგრამ, ეს ყველაფერი სინამდვილეა, რაც ახლა შენ მოყევი, თუ ზღაპარი, გამაგებინე წესიერად, თუ ძმა ხარ? თითქოს მუდარით მითხრა ჩუმამ.

პასუხის ნაცვლად ჩემი საბრალდებო დასკვნა და განაჩენი ამოვქექე და გავუწოდე, — წაიკითხე და გინდ ზღაპარი დაარქვი და გინდ სინამდვილე-მეთქი.

თითქმის ძალით წამგლიჯა საბუთები ხელიდან, საწოლზე წამოჯდა და კითხვას მოყვა. კითხ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №17

# საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა

საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე (ამჟამად მის ნაწილზე) მცხოვრები ქართველი ხალხი, ერთ-ერთი უძველესია დღემდე მოღწეულ ხალხთა შორის.

ქართველი ერი შენივთებულია სამი ძირითადი ქართველური ტომისაგან: ქართველებისაგან, სვანებისაგან და მეგრელ-ზანებისაგან. ქართველ ერს, ისევე როგორც სხვა კულტურულ ერებს, გერმანელებს, იტალიელებს და სხვა, გააჩნია ეთნიკური განშტოებები (თუმცა ზემოთ დასახელებულ ერებთან შედარებით გაცილებით ცოტა), რომელიც წარმოქმნა ძირითადად მრავალფეროვანმა ქართულმა მიწა-წყალმა, რომლის ზოგიერთი მიუვალი ხეობა-კუთხე წინათ თვეების მანძილზე იკეტებოდა და ჭირდა კავშირები. აღნიშნული კი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია კლასიკური ხეობების ქვეყანაა. მთლიანად საქართველო ერთიანი ხეობაა, კავკასიონის ქედსა და საქართველოს სამხრეთ მთიანეთს შორის, რომლის ყელის ერთი მხარე ებჯინება შავ ზღვას, ხოლო მეორე მხარე გაშლილია კასპიის ზღვის მიმართულებით. ამ ერთიან ხეობას ვერტიკალურად უკავშირდება შედარებით პატარა ხეობები, (მდინარეთა წყალგამყოფები), განსაკუთრებით ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის მხრიდან, რომლებიც, ქმნიან ქართულ ლანდშაფტს და პატარ-პატარა „პროვინციებს“, კუთხე-ხეობებს. ხეობების ერთმანეთთან კავშირი მხოლოდ ბარიდან ხდება. ფაქტიურად საქართველოს გრძივი პარალელური სატრანსპორტო ხაზები არ გააჩნია და ამ ძირითად ხაზზე, როგორც ხერხემალზე, აკინძულია (ხეობებიდან) შემაერთებელი სატრანსპორტო ხაზები, რაც ურთულეს პირობებს ქმნის საქართველოსთვის სატრანსპორტო კავშირების თვალსაზრისით და შესაბამისად ეკონომიკისათვის.



საქართველოს ასეთი აგებულების გათვალისწინება სავალდებულო პრინციპია საქართველოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის დროს.

ამასთან, საქართველო უნდა განიხილებოდეს არა როგორც ამიერკავკასიის ქვეყანა, არამედ კავკასიური ქვეყანა. დღევანდელ ტერიტორი??? ამჟამად მთელი რიგი ქართული პროვინციები მდებარეობს კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე (თუშეთი, ხევი, პირიქითა ხევსურეთი), ხოლო ისტორიული ქართული ტერიტორიისათვის, კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე იყო განფენილი აგრეთვე სვანეთის ჩრდ. ??? მიწები და დვალეთი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველო კლასიკური ხეობების ქვეყანაა. შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის ყველა ნაწილი შედგება მთიანი მხარით, მთის წინეთით და ბარით (რომლებიც ერთმანეთზეა მიბმული „იარუსების“ სახით), რომლის ნაწილიც ზღვამდე დადის. ეს ერთიანობა ციკლური მონაცვლეობის ხასიათისაა, რომელზეც მიბმული იყო ქართველი კაცის ცხოვრების ისტორიაც ქართულ მიწაზე. კერძოდ, როდესაც ბარის ქართველობა შეთხელდებოდა ან მთლიანად ისპობოდა აურაცხელ მტერთან ბრძოლაში, მისი შევსება ხდებოდა მთისწინეთიდან, ხდებოდა მთიდან ჭარბი მოსახლეობის ჩამოსახლება. (საქართველოს უბედურება მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოში გამოჩნდა მთის ისეთი რეგიონები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო, ძირითადად ომი და ჩრდილ-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მერვე გვერდიდან

# ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

არამედ ჯანსაღი გონებისა და ადამიანური ურთიერთობის ყველა სხვა ნორმასაც, მათ შორის, ქუჩური ურთიერთანგარიშსწორების ყოველგვარ წესსაც. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთის მხრივ. მეორეს მხრივ პრეზიდენტი და მისი უშუალო გუნდიც არანაკლები ირონიის ალმძვრელ საქმეებს იქმოდნენ, როცა პრეზიდენტი თავისთავს თავისი რეზიდენციის წინ მუდმივი მიტინგით და იქვე ლამის არჩევნებში გამარჯვების დღიდანვე გაშლილი უზარმაზარი კარვებით იცავდა, რომლებშიც მისი მხარდამჭერი მოქალაქეები (ძირითადად, ქალები) იყვნენ დაბანაკებულნი. (ეს ანეკდოტური ხერხი მას, როგორც ფიქრობენ,, იმ მიზნით ჰქონდა მოგონილი, რომ იქ კარვები ედპ-ს არ დაედგა). პრეზიდენტის უმოქმედობა ამ ეპიზოდში, ისევე როგორც მის არაადექვატურ მოქმედებათა მთელი სერია (კარვებზე დაიმედება ამ ქმედებათა მხოლოდ ერთი მაგალითია), უეჭველია, იმით იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტი თავისთავში ვერ გრძნობდა იმ ძალას, რომ სახელმწიფოს პრესტიჟისა და სიმყარის მოტივთა დამოწმებით კანონდარღვევის შემთხვევები, „მტკიცე ხელით“ აღეკვეთა, ხოლო მისი არდარღვევის შემთხვევაში, უგულებელეყო დისიდენტური სტილის საპროტესტო ქმედება ტელევიზიასთან და მტკიცე ტონით გაკეთებული განცხადებით გაებათილებინა გვარდიის მეთაურობის მხრიდან ზემოხსენებული მუქარა, უკიდურეს შემთხვევაში — ძალიან დიდ რისკზე წასულიყო და თანამდებობიდან გაენთავისუფლებინა კიტოვანი მისი ზემოხსენებული განცხადების გამო. (შეეძლო თუ არა მას ეს ამ დროს, ხოლო თუ არ შეეძლო — რატომ არ შეეძლო, ამაზე ქვემოთ კიდევ გვექნება ლაპარაკი).

კიტოვანის ამ ბრძნულმა განცხადებამ ერთი-ორი დღე იტრიალა მოვლენებთან ახლოს მდგომთა შორის და ნელ-ნელა საზოგადოებაში გავრცელდა. მისი აბსურდულობისა და თვითმარქვიობის მიუხედავად, თანდათან გამოიკვეთა ის გარემოება, რომ იგი ლიტონად წამოსროლილი არ იყო. ამ უკვე რეალობას სახიფათოდ მიახლოებულ აბსურდულ ვითარებაში მე სისხამ დილით (რათა ამ გადაწყვეტილების შესრულება ვერ მოესწროთ) ავედი მარტო შავნაბადაზე და კიტოვანი შევანამუსე, თბილისში შეიარაღებული ძალა არ ჩაიყვანო-მეთქი. ამის სათქმელად ჩემი საყრდენი პოზიცია ის იყო, რომ რკონში ბევრჯერ ვიყავი ასული, გვარდიის დაცვის ამოცანას კონტექსტში, და, გარდა ამისა, კიტოვანი, როგორც ვთქვი, თავისთავს ასე თუ ისე, ოპოზიციონერი დეპუტატებისგან დამოკიდებულად გრძნობდა, რის გამოც მათთვის ანგარიში უნდა გაეწია.

„არა, არაო, მხოლოდ მცირე რაზმს ჩავიყვანო“, მიპასუხა, მაგრამ იმავე დღეს მთელი თავისი ძალით ჩავიდა და ჩადგა ტელევიზიის შენობაში და მის წინ. ეს იყო რამდენიმე ასეული კაცი (ჩემი ანგარიშით), თუმცა შეიძლება ვცდებოდე. საიდანღაც გაჩნდა „მხედრიონის“ რაზმიც, რომელსაც ძველი მეთაური არ ჰყავდა (ჯაბა იოსელიანი დაპატიმრებული იყო). მის რიცხოვნებაზე ვერ ვიმსჯელებ. ჩემი აზრით, იგი გვარდიის ერთ მეოთხედზე ან მერვედზე მეტი არ იქნებოდა. შემდეგში, როცა გვარდია ტელევიზიიდან გავიდა, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ტელევიზიის კუთვნილი ძვირფასი დანადგარები ბევრი გაქრა ან გაოხრდა. რა იყო რეალობა, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ საზოგადოება თვლიდა, რომ თუ ეს მართალი იყო (რაშიც, ცხადია, ეჭვი ეპარებოდათ), ეს „მხედრიონისათვის“ უნდა მიეწერათ და არა გვარდიისათვის.

გვარდიას თან ახლდა „იმედის“ დაახლოებით ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც მასთან რკონში იყო გასული (იხ. ზემოთ) და იქიდან მასთან ერთად შავნაბადაზე დაბრუნდა. ეს იყო მთელი ასე თუ ისე ორგანიზებული სამხედრო ძალა, რომელიც იქ იმყოფებოდა. მაგრამ ამის გარდა, მალე გამოჩნდნენ ვიღაცა შეიარაღებული მოხალისეები, რომლებიც უფორმოდ ტრიალებდნენ იქვე. მათ რაოდენობას ვერ დავაზუსტებ შეიძლება სულ ოციოდე კაცი იქნებოდნენ, შეიძლება ორჯერ ან ხუთჯერ მეტნიც, თქვეს (თუმცა მე პირადად არ მინახავს), რომ იქ ავტომატით გამოცხადდა პეტრე ჩხეიძე, ყოფილი დიდი კომუნისტი ფუნქციონერი და ამჟამად საქართველოს წარმომადგენელი გაეროში, რომელსაც კანონი, ლოგიკურად, უნდა სცოდნოდა. თანდათან მოიკრიბნენ და ვარაზის ხევისა და ზოოპარკის მიდამოებს მოედვნენ პრეზიდენტის მხარდამჭერი ასეთივე შეიარაღებული უფორმო მოხალისენიც. ორი-სამი დღის შემდეგ უკვე იყო იმ სივრცეში ღამღამობით ერთმანეთის „შეყენება“ და იარაღის წართმევა, მაგრამ სისხლი არ დაღვრილა. კიტოვანის გვარდიის ჩამოსვლამ მკვეთრად შეცვალა მთელი სიტუაცია უარესობისკენ, მაგრამ არა იმ მხრივ, რომ მისგან პრეზიდენტისა ან მისი ხელისუფლების ხელყოფას ელოდა ვინმე (ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: არსად, საზოგადოების არცერთ ფენაში ამის მსგავსი არაფერი თქმულა და, რამდენადაც ვიცი, ამის მსგავსი აზრი არ გაფაჩუნებულა), არამედ სულ სხვა მხრივ. საქმე ის იყო, რომ სანამ რკონიდან მობრუნებული გვარდია შავნაბადაზე იდგა (მის მისვლამდე ეს „კომკავშირული ქალაქი“, სადაც მხედრიონზე რუსების თავდასხმა იყო, მანამდე მომხდარი, ცარიელი იყო), მასზე რუსების თავდასხმა მოსალოდნელი იყო და მის დაცვას ყველანი რუსებისგან დაცვად ვთვლიდით. ამიტომ ყოველი ღამე, მათი აქ ჩამოსვლის შემდეგ, — ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად, — შიშისა და გაურკვევლობის ღამე იყო. ერთ ღამეს, როცა შიში განსაკუთრებით დიდი იყო, მეც ვიყავი ასული და შავნაბადის გადასახვევთან მანქანაში ღამე ვათიე სხვა რამდენსამე მანქანასთან ერთად, რომლებშიც გვარდიელთა მშობლები და პატრონები იყვნენ. გვარდიის თბილისში ჩამოსვლით რუსებისგან დარტყმის ხიფათი და, შესაბამისად, რუსებისგან გვარდიელთა დაცვის მოტივიც შენელდა და თითქოს დავიწყებას მიეცა. თბილისის შუაგულში რუსების კანონსაწინააღმდეგო და წესრიგსაწინააღმდეგო აქცია ნაკლებ ალბათი იყო, ვიდრე ქალაქის გარეთ. ამიერიდან ხიფათი, რომელიც გვარდიას ელოდა(და მასთან ერთად — საქართველოსაც საერთოდ) რუსების მხრიდან კი არა, ხელისუფლების მხრიდან დარტყმა იყო, რაც, არსებითად, სამოქალაქო ომის საშიშროებას ნიშნავდა (გვარდიის მხრიდან დარტყმაზე რომ ლაპარაკი არ იყო, ეს ზემოთ ვთქვი). ამასთან ერთად, იყო სხვა ხიფათიც, რომელიც წესით არც უნდა არსებულიყო, მაგრამ არსებობდა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხელისუფლების მოქმედების ზემოხსენებული თავისებურების გამო: იყო ხიფათი ხელისუფლების ხელის წაცდომისა ზემოხსენებული მასის გამოყენებაზე ამ ფუნქციით, რასაც ისტორიაში პრეცედენტი არ ჰქონდა, და, რაც, ამდენად, არც კონკრეტულ პროგნოზს ექვემდებარებოდა.

ამ უმისოდაც მძიმე ვითარებაში იყო ერთი სხვა ფაქტორი, რომელიც მდგომარეობის დამძიმებისკენ მოქმედებდა. დაახლოებით ამ დროს ხელისუფლებამ დაიწყო ახალი, კიტოვანის გვარდიისადმი დაპირისპირებული ძალის შეგროვება, რომლის ერთი ნაწილი იყო ლოთი ქობალიას ბატალიონი (ზემოთ ვთქვით, რომ იგი რკონში მიდიოდა დანარჩენ გვარდიასთან შესაერთებლად, მაგრამ გზაში დაარწმუნეს, რომ რკონისკენ არ გადაეხვია და პირდაპირ თბილისში წამოსულიყო), ნაწილი იყო ისევ და ისევ გვარდიის აბრით შემოკრებილი და ნახევრად შეიარაღებული, გაუწვრთნელი რაზმები პროვინციიდან, დანარჩენები — ისევ ის არაორგანიზებული, ნაწილობრივ აგრეთვე პროვინციიდან მოყვანილი მასა.

ამ მასამ თანდათან შეავსო ქალაქის ის სივრცე, რომელზედაც კიტოვანის გვარდიას არანაირად ხელი არ მიუწვდებოდა (ე.ი. ფაქტობრივად მთელი ქალაქი, როგორც ასეთი). მან



ჯერ კიდევ ტელევიზიის აქციის დროს აქა-იქ დაიწყო, შემდეგ კი უფრო და უფრო განავრცო ქალაქში საბარგო მანქანებით უსისტემოდ და უბრძანებოდ სიარულის, არასასურველი პოლიტიკური და მოპოლიტიკო ფიგურების გზის შეკვრის, მათი გამოძებნის, აბუჩად აგდების და უმსხვერპლო-უტრავმო გადალახვის პრაქტიკა.

კიტოვანის გვარდიის მოქმედება ტელევიზიასთან, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან თავისებური იყო. მას ეკავა ტელევიზიის შენობა ისე, რომ არც მის პირდაპირ მდგარი ექვს-რვა სართულიანი შენობები, არც მის ზემოთ სპი-ს კორპუსი და ვარაზის ხევს გადაღმა მდგარი კერძო სახლების სახურავები ფიქრის გორაზე არაფრით დაცული არ ჰქონდა. ეკავა ცირკი მისი გორიანად და ქუჩაში ტელევიზიის წინ ქვემეხი ჰქონდა დაყენებული, რომელიც დროის უმეტეს ხანს უმეთვალყუროდ იყო, ასე რომ მისი მოტაცება უბრალო თვითსაცლელზე გამობმის გზით ორ-სამკაციანი ოდნავ მომზადებული ჯგუფისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ეს ქვემეხი ერთხელ რატომღაც სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ გაისროლეს (რითაც დაფიქსირდა, რომ ქალაქში არტილერიის ცეცხლია) და ხეს მოარტყეს (მე იმასაც ვფიქრობ, რომ ეს ფუჭი ჭურვი იყო, ვინაიდან იმ მიდამოში რაიმე აფეთქების შედეგი არავის უნახავს). ამ დროს „იმედის“ წინ ერთიმეორისგან ორმოცდაათიოდე მეტრით დაშორებული ორი ბარიკადა იდგა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ისეთი კვეთის მთლიანნაგლინი მილების შემცველი, რომელთა ხელით მიტანაც არავის შეეძლო. ერთი ედპ-ეს და ჭანტურიას ეკუთვნოდა, ერთი — ირაკლი წერეთელს და მის პარტიას. ამათი აღება ყოველდღე და ყოველ საათს მოსალოდნელი იყო, თუკი ხელისუფლება რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციიდან ამწის, ბულდოზერის ან სხვა რამ ტექნიკის გამოყვანას შეძლებდა. შავნაბადაზე კიტოვანის დატოვებული გვარდიელები იყვნენ (როგორც ცნობილი იყო — (კოტიანი). უნივერსიტეტის ხან ერთ, ხან მეორე აუდიტორიაში ოპოზიციონერი დეპუტატები იკრიბებოდნენ (ჩემი ჩათვლით) და განცხადებებს იღებდნენ. ეს განცხადებები, თუ არ ვცდები, ყველა გამოქვეყნებულია მაშინდელ გაზეთებში. ზოგჯერ ამ დეპუტატთა შეკრების ადგილი ტელევიზიის შენობაშიც იყო ხოლმე მეორე სართულის დარბაზში, სადაც ადრე საწარმოო თათბირები ტარდებოდა ხოლმე. დანარჩენი ქალაქი ხელისუფლებას ეკავა. უფრო ზუსტად, ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმში იყო, რომელშიც ქუჩის ბატონი მილიციაა, ოღონდ, ჩვეულებრივი მდგომარეობისგან განსხვავებით, იმ დროიდან და ცოტა უფრო გვიანდელიდან დაწყებული, ქალაქში საბარგო მანქანებით დაქროდნენ პრეზიდენტის გვარდიელთა ის უიარაღო ჯგუფები, რომლებიც ზემოთ ვახსენე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს პრაქტიკა სრული მასშტაბით ცოტა შემდეგღა გაიშალა, ტელევიზიიდან გვარდიის გასვლის შემდეგ, რაც პრეზიდენტის მხარის გამარჯვებად ჩაითვალა, მაგრამ მისი დაწყება ამ დროს მოხდა. ყველაზე დიდი კრიტიკული შენიშვნა ამ, ძირითადად, რაიონებიდან მოსული მოხალისე „დამცველების“ ან, ყოველ შემთხვევაში, თავის უფლებამოსილებათა გადამჭარბებელი „დამცველების“ მიმართ მოსახლეობის მხრიდან ის იყო, რომ მათ რუსთაველის გამზირის ახლო-მახლო მიდამოები შარდის სუნით გაულინთეს (რაც გარდუვალი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამდენი ხალხისთვის ამ პროსპექტზე საჭირო ოთახები გათვალისწინებული არ ყოფილა). მაგრამ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის გაღიზიანებისათვის ხელისუფლების წინააღმდეგ ესეც კმაროდა. სხვა არსებითი შენიშვნა არ არსებობდა. ამაში, რასაც ვამბობ, მისხლისოდენა ჰიპერბოლა არ არის. შუა ქალაქში ქვემეხის დგომისა და გავარდნის მიუხედავად, ამწეკრანების გარეშე ვერდასაშლელი ორი ბარიკადის არსებობის მიუხედავად, მთელი ეს უსისხლო გართულება, ჯერჯერობით, რაღაცა არასერიოზულ მოძრაობათა კორიანტელად, რაღაცა ანჩხლსა და ჭორიკნობის დონეზე მდგომ თამაშად აღიქმებოდა, რომელშიც ხიფათი ხიფათი არ იყო, კანონი — კანონი და პასუხისმგებლობა — პასუხისმგებლობა. სისხლი მალე დაიღვარა — ჯერ კიდევ ტელევიზიის ამ აქციის დროს — და ამან ის თითქოსდა ინფანტილური უდარდელობით და წვრილმეზობლური ღვარძლით შექმნილი კინკლაობა უცებ იმ გამოუვალ ხაფანგად აქცია, რომლიდანაც თავის დაღწევა მონაწილეებს აღარ შეეძლოთ. ეს სისხლი დაიღვარა თითქოს შემთხვევით (თუმცა ამ შემთხვევითობაში დარწმუნებული არ ვარ) და მასზე ქვემოთ ვიტყვი. მაგრამ მანამდე მოვყვები რამდენიმე კერძო შემთხვევას, რომელიც იმ ეპიზოდში, ჩემი აზრით, მოვლენათა აზრსა და შინაარსს ყველაზე უკეთ ხატავს.

ღამე, რა თქმა უნდა, ძირითადად ტელევიზიასთან ვიყავი ხოლმე, რადგან „იმედის“ ერთი ჯგუფი ამ ორგანიზაციის თავკაცის (ასე ეწოდებოდა იქ მეთაურს) დავით ხომასურიძის მეთაურობით იქ იმყოფებოდა, ხოლო „იმედის“ ჯგუფი, როგორც უკვე ვთქვი, იქ იმიტომ იმყოფებოდა, რომ გვარდიის დანარჩენ ნაწილს შავნაბადიდან მოჰყვა და ჯერ კიდევ რუსების თავდასხმას მოელოდა. შენობაში არ ვათენებდი, რადგან ეს სულის ძირამდე მეხამუშებოდა, მაგრამ ვიძინებდი ჩემს მანქანაში, რომელიც ტელევიზიის შენობის კედელთან, ზოოპარკის მხარეს მეყენა. გამონაკლისი სულ ერთი-ორი ღამე იყო, როცა ამა თუ იმ მიზეზით მშვიდი ვითარება იყო მოსალოდნელი და შინ წავედი. ერთი ასეთი „მშვიდი“ ღამის შემდეგ დილით ადრე მივედი ტელევიზიასთან და შესასვლელთან დავინახე სრული აღჭურვილობით გასასვლელად მოწყობილი 30-35 კაცი, ე.წ. ქუთაისის ბატალიონი („ბატალიონები“ გვარდიაში ამ ზომისა იყო საერთოდ), კადრის კაპიტან რეზო ჭაკვეტაძის მეთაურობით. „რაშია საქმე-მეთქი?“ გამოირკვა, რომ სპორტის სასახლეში პრეზიდენტის „ომონი“ (მილიციის სპეცდანიშნულების რაზმი) შესულიყო და ამ მცირე ნაწილს იქ მის საწინააღმდეგოდ გზავნიდნენ. ამაზე დიდი უაზრობა (თუნდაც უგულვებელყოფილიყო ის, რომ მისით ჯერ არმომხდარი სისხლისღვრა იწყებოდა) წარმოუდგენელი იყო, რადგან დაიკავებდა თუ ვერ დაიკავებდა ეს 30-35 კაცი სპორტის სასახლეს, ამით არც ერთი მხარის პოზიცია არ იცვლებოდა: ქალაქის მასშტაბით იგი არც უმჯობესდებოდა, არც უარესდებოდა. პრეზიდენტის ომონის ზურგს უკან მაინც მთელი ქალაქი რჩებოდა, ტელევიზიის მცველებისათვის კი ერთი შენობისგან და ორი შენობისგან შემდგარი ტერიტორია ორივე შემთხვევაში ერთნაირად უმნიშვნელო პოზიცია იყო. მიუხედავად ამისა, იქ ტრიალებდა ორი კაცი (თუმა, მართალი ვთქვა, აქ ამ სიტყვის ხმარება მიჭირს კიდეც) და ბრძოლაში მიმავლებს აგულიანებდა „მიდით, მიდითო!“ (განა, „მევიდეთ, მივიდეთო“! არა, თქვენ „მიდით, მიდითო“). ერთი იყო რეჟისორი გიორგი შენგელაია, მეორე მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი (ამის მოწმედ ვასახელებ რეზო ჭაკვეტაძეს და იმ რაზმის სხვა მონაწილეებს, რომლებიც, იმედია, ცოცხლები არიან). „თქვენი ჭირიმე, მოიცადეთ-მეთქი“, ვუთხარი ჭაკვეტაძეს და მებრძოლებს. დამიჯერეს, რადგან წასვლა არავის უნდოდა, და შეუთახმებლად პატარა დრო მომცეს. ავირბინე მეორე სართულზე და კიტოვანს ვუთხარი „ რა აზრი აქვს სპორტის სასახლისთვის ომს, ტყუილად სისხლი უნდა დაიღვაროს-მეთქი“. „კარგი, კარგი, უთხარი, ნუ წავლენო“ (პროცესთა „მართვის“ ამგვარი ფორმა იმ ვითარებაში უჩვეულოს არაფერს წარმოადგენდა). ჩამოვირბინე ისევ და გადავეცი ქუთაისელებს კიტოვანის ამ ზეპირი წესით გაცემული ბრძანება. „კიტოვანმა თქვა, არ წახვიდეთ-მეთქი“. კვლავ დაიჯერეს, იმავე მიზეზის გამო, რაც ზემოთ ვახსენე, და იმ დღეს ის სისხლი დაიზოგა.

სისხლის დაღვრა რომ ვახსენე, ის, მე ასე მახსოვს, ამ ეპიზოდზე უფრო გვიან მოხდა. ღამით გვარდიის რამდენიმე ოფიცერი ცოლ-შვილის სანახავად იარაღით წამოსულიყო დიდუბის უბანში (იარაღით, ალბათ იმიტომ, რომ დაკავებისა ეშინოდათ). გასაგებია ისიც, რომ ღლისით ქალაქში სიარულს ერიდებოდნენ. თელასის შენობის მახლობლად რაღაც გაუგებრობით თუ წინასწარგამიზნულად მილიციას შეხვდნენ. მილიციამ (შესაძლოა) დაკავება მოუნდომა და ერთმანეთში სროლა მოუვიდათ. დაღუპული იყო გვარდიელი და ორი მილიციელი (თუ ზუსტად ვამბობ). ეს იყო საზღვარი, რომლის გადალახვით ვითარება სულ სხვა თვისობრიობაში გადავიდა. სისხლმა მანამდე გამეფებული უპასუხისმგებლო აღვირახსნილობის ატმოსფერო ავბედითი სიმკაცრით შეკრა და იგი გულში ჩაკეტილი მწარე გაბოროტებით შეცვალა. რაკი სისხლი ჩამოვარდა, ამის შემდეგ ფიზიკური პირისპირ დგომა — თუნდ ქუჩის სხვადასხვა მხარეს და თუნდ ქალაქის სხვადასხვა ბოლოში — უკვე დაპირისპირება იყო, ხოლო დაპირისპირება — ომი.

კიტოვანის გვარდიას მკვლელობა ჰბრალდებოდა იმიტომ, რომ მილიციის მხრიდან მსხვერპლი მეტი იყო, პრეზიდენტის მილიციას კი იმიტომ, რომ შეტაკება, ასე იყო ცნობილი, მისი ინიციატივით დაიწყო. იმას, თუ რამდენად კანონიერი იყო ან გვარდიელების შეიარაღებული სიარული ქუჩაში, ან მილიციის მხრიდან მათთვის ცეცხლის გახსნა, არავინ კითხულობდა, რადგან ის, რაც ხდებოდა, მაყურებელი საზოგადოების თვალშიც და მონაწილეთა დიდი ნაწილის თვალშიც ჯერჯერობით ჩანდა როგორც სამსახურებრივი ქიშპისა თუ ინტრიგის მსგავსი რამ და არა როგორც შიგნისახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტი.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

## ღია წერილი
### საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ქრისტეშობის 2000 წლის მიჯნაზე, საქართველოსათვის უკიდურესი ძნელბედობის ჟამს, ცოდვათა გამო მრავალტანჯული ქართველობა, წმინდანთა მეოხებითა და ღვთის მადლით დღევანდლამდე მოღწეული, ამჟამად დიდი გამოცდის — ერის სულიერი საგანძურის მადლის განშორების წინაშე დგას, იმ სიწმინდეთა, რომელთა ღვთივმოსილი ძალით, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით, აღმავლობა-გაძლიერების მომსწრე იყო.

დღეს, ცივილიზაციის სპონტანური განვითარების წიაღში, უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე საქართველო ყოფნაარყოფნის ზღვარზეა და მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენა, ყველა ჩვენთაგანის ძალისხმევა თუ გადაარჩენს.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის საფუძველზე მართლმადიდებელ მორწმუნეთა კანონიერი მოთხოვნით მოგმართავთ, დაუბრუნდეს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მისი კუთვნილი სიწმინდეები და არ დაიშვას ერის სულიერი საგანძურის საზღვარგარეთ გატანა საქართველოს მომავალი კეთილდღეობისათვის.

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი**

*1200-ზე მეტი ხელმოწერა.*
*(ხელმოწერა გრძელდება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე გვერდიდან

# „ჩუმა“ თავის თავგადასავალს მიყვება

ულობდა და ხშირად თავს აქნევდა, ზოგჯერ კი ჩემსკენ გამოიხედებოდა ხოლმე.

წაკითხვას რომ მორჩა, საბუთები უკანვე დამიბრუნა, გაკვირვებით ხელიხელს გაჰკრა და ასე მითხრა: — ბიჭოს, ეს რა ამბები ჩაგიდენია, შალვა ალექსანდროვიჩ, ყირაზე დაგიყენებია მთელი ხელისუფლება, კარგია, დახვრეტა გაუქმებულია, თორემ დაგხვრეტდნენ ეგ ძაღლის შვილები. მაინც საიდან შესძელ, როგორ გადაიტანე ამოდენა ხათაბალა საქმე. ჯერ მარტო ბერიასთან მისვლა, მისი სახელის ხსენებაც კი აცახცახებს ხალხს, მერე ექვსი თვე სამხედრო ტრიბუნალის გამოძიების ქვეშ ყოფნა. ყოჩაღ, ძმაო, მართლა სწორად შეუცვნიხარ ქურდებს.

ეხ, რა ვქნა, ძმაო იუსუფ. ჩემი ფეხით და ნებით არც ბერიასთან მივსულვარ და არც სხვა ვინმესთან, თვითონ მიმიყვანეს და შემაძლებინეს ყველაფერი ისე, როგორც თვითონ სჭირდებოდათ. და თუ მაინც დამხვრეტდნენ, ჯანდაბას მაგათი თავი და კისერიც. დახვრეტა არ ჯობდა იმ ტანჯვა-წამებას, რაც დღემდის ამ პატიმრობაში გადავიტანე, და ჯერ კიდევ რამდენს გადავიტანმეთქი.

არაფერია, გულს ნუ გაიტეხ. სამი წელიც აღარ დაგრჩენია, მაშ, მე რაღა ვქნა, ამხელა სასჯელის შემყურემ, — გული გამიმაგრა მან, მერე მამაჩემის ამბით დაინტერესდა და მკითხა: — აქ, ტაიგაში, ახლაც არიან შემორჩენილნი (ერთეულები) ტროცკისტი პატიმრები და ხომ არაფერი ნიშან-კვალი აღმოაჩინეო მამის შესახებ — არა, მეთქი, ვუპასუხე.

— მერე და, შური ვერ იძიეთ იმ ბოროტ მეზობელზე, ვინც ასეთი ტანჯველისთვის გაიმეტა მამათქვენი და ასევე თქვენი ოჯახიც?

— ვერა, ჩვენ პატარები ვიყავით ძმები, და აბა, რა შეგვეძლო, მერე ის მეზობელი ომში წავიდა, იქ დაიკარგა, აღარ დაბრუნებულა, ჩაძაღლდა სადღაც.

— კი მაგრამ, არავინ დარჩა, შვილი ან ისეთი ახლობელი, რომ შური გეძიათ და მშობლის წინაშე პირნათელნი ყოფილიყავით?

— შვილი რა შუაშია მშობლის დანაშაულზე, რომ დასაჯო, ან სხვა ვინმე ახლობელი, მათ რა ბრალი მიუძღვით? — ვკითხე უაზროდ.

— აბა, შენ ყოფილხარ მართლა ვაჟკაცი და სხვა არავინ, მაგარი მემკვიდრეები შემორჩენილხართ მამას. შვილი რა შუაშიაო, რომ ამბობ, მამაშენი რაღა შუაში იყო იმ ქოფაკი მეზობლის წინაშე, ვინც ასე დასაღუპავად გაიმეტა უდანაშაულო პიროვნება. თავისი ავკაცობით გასწირა იგი, ამიტომ შენც სამაგიერო უნდა მიუზღო მასეთ ბოროტ სულს და არ ათქმევინო: — რა ფეხები მომჭამაო. თვითონ არ არის, შვილი უნდა გაიმეტო, ან ძმა, ერთი სიტყვით, ვალში რომ არ უნდა დარჩე, სამაგიერო უნდა მიუზღო ბოროტმოქმედს, — აი, ასეთი ვაჟკაცობა მწამს. შენი ძმების არ ვიცი, მაგრამ პირადად შენ ისეთი ძლიერი და საინტერესო თავგადასავალი გქონია, რომ მასზე მთელი რომანი დაიწერება, ჯერ მარტო ბერიასთან დაპირისპირება რას ნიშნავს, თუნდაც ექვსი თვე სამხედრო ტრიბუნალის გამოძიებაში ყოფნა, ეს პატარა ამბავი არ არის, მაგრამ შენს ვაჟკაცობას მთლად აბათილებს და ხაზს უსვამს ის სილაჩრე, რომ მტერს აპატიე დანაშაული და სამაგიერო არ მიუზღე, — მისაყვედურა ჩუმამ.

მისმა საყვედურმა საშინლად გამკენწლა და გაგულისებულმა ვუპასუხე: — კი, მაგრამ, მე თუ ჭკუას მარიგებ, ვაჟკაცობას მიძრახავ და სტიმულს მაძლევ ასეთი მოქმედების მიმართ, რა არის მიზეზი, რომ სიტყვაც არ დაგცდენია შენს წარსულზე, ან რა ვაჟკაცობა გაქვს საიმისო ჩადენილი, რომ სხვას მაგალითი მისცე-მეთქი?

ამ სიტყვებზე ჩუმამ ერთი ისეთი ამოიგმინა, გეგონებოდათ, გული თან ამოაყოლაო. მცირე ხანს გაჩუმდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, შემდეგ გაბზარული ხმით მითხრა:

— შალვა, მე კი არ გიმალავ ჩემს ამბავს, არა, ეს არ იფიქრო არასოდეს, ჩვენ ერთმანეთს იმდენად დავუახლოვდით და დავმეგობრდით, რომ დაფარული არ უნდა იყოს არაფერი ჩვენს შორის. ან რაღა აზრი აქვს მის დამალვას, რისი გულისთვისაც აგერ ამხელა სასჯელი მხრებზე მაწევს, და რაც მთავარია, ისიც რის გულისთვის...

აქ ჩუმა უცებ გაყუჩდა, თითქოს ყელში ბურთი გაეჩხირა, ხმას აღარ იღებდა, ოღონდ ნაღვლიანი თვალებით სადღაც შორეთში, ალბათ წარსულის სიღრმეში იმზირებოდა.

თავი უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენი, მივხვდი, რომ ჩემი ნათქვამი წინადადებით სადღაც მის მტკივნეულ მხარეს შევეხე, ამიტომ უმალ ბოდიში მოვუხადე, — მაპატიე, თუ რამე გაწყენინე-მეთქი.

— არა, ძმაო შალვა, — რა მაწყენინე, როგორ შეიძლება მაგის თქმა, პირიქით, ვიდრე შენ მკითხავდი, მე უნდა მეთქვა ჩემი თავგადასავალი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეშინია ვილაპარაკო იმ ამბავზე, რისი გახსენებაც სიკვდილის ტოლფასია ჩემთვის. ვნახოთ, თუკი როდესმე მოვერიე ჩემს ნერვებს, სანამ ერთად ვართ, ალბათ, გიამბობ ყველაფერს, რაც ასე გაინტერესებს, თუ არადა, ძმურად გთხოვ, ეგ ამბავი აღარ გამახსენო...

ეს რომ თქვა, უბოდიშოდ გადაბრუნდა საწოლზე და ძილს მისცა თავი. მისი უცნაური საქციელით ჩაფიქრებულს მეც ჩამეძინა მოგვიანებით.

შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ მისმა ღრიალმა ზეზე წამომაგდო, — ვაი, ლო დეიშა, ბეერ დადაჰქიშა, ბეერ! (ვაი, მიშველეთ, ბავშვი მომაშორეთ ბავშვი!) გაჰყვიროდა იგი თავის ენაზე და თან ლოგინში ისე ბორგავდა, თითქოს გაქცევას ლამობსო.

მივხვდი, რაღაც ცუდი სიზმარი ეზმანა, ხელი ვკარი, გავაღვიძე, მის ყვირილზე თითქმის ყველა ავადმყოფს გაღვიძებოდა. ნამძინარევნი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. დაფეთებულნი აქეთიქეთ აცეცებდნენ თვალებს.

გაღვიძებული ჩუმა ლოგინში წამოჯდა. არეული თვალებით სტაციონარში მიმოიხედა, მერე ორივე ხელი სახე აიფარა და ყელში ამოიხრიალა: — ვაი, ნანა, ვაი, დელა ჰუ დიირადე თიეშა! (ვაიმე, დედავ, ვაი ღმერთო, რა ვქნა?).

გულმა რეჩხი მიყო, რომ მისი აფორიაქების მიზეზი მე ვიყავი, მაგრამ საკითხავი ის იყო, თუ რა სჭირდა ასეთი ამ კლდე კაცს, რომ ძილშიც არ ასვენებდა გარდასულ დროთა რაღაც კოშმარი. როგორ არ ვეცადე, როგორმე დამემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერი გავაწყე, საერთოდ არ მისმენდა არაფერს. ბოლოს ვურჩიე: — მეორე გვერდზე დაწექი და ის სიზმარი აღარ განმეორდება-მეთქი. მაგრამ აქაც არაფერი გამომივიდა, ხელისკვრით მომიშორა და ღრენით მითხრა:

— თავი დამანებე! შენ დაწექი, დაიძინე, მე ეს ღამე ასე უნდა გავათიო, ჩემს სატანჯველს არც გვერდის შეცვლა უშველის და არც ადგილისა, ღმერთმა თუ ეშმაკმა ასე დამიწესა და ასე უნდა ვეწამო სიკვდილამდის, ჩემი ცოდო იმის სულს მოეკითხოს, ვისი მიზეზითაც ასე ვიტანჯებიო.

უადგილო იქნებოდა კიდევ რამე მეთქვა მისთვის, არადა, იქ ყველას თავისი თავი უჭირდა. სხვის საქმეს არავინ გადაჰყვებოდა, ამიტომ მეც გავეხვიე საბანში და ძილს მივეც თავი.

დილით რომ გამეღვიძა, ჩუმა უკვე ზეზე იყო, სტაციონარის დერეფანში მიდი-მოდიოდა. სხვა ავადმყოფებსაც გაღვიძებოდათ.

წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე და საუზმეც შემოიტანეს, ვისაუზმეთ, მაგრამ ჩუმამ არაფერს არ დააკარა პირი. მაგიდასთან არც დამჯდარა.

საუზმის შემდეგ ზოგი ნარებზე წამოწვა, ზოგმა დომინოს თამაშში ჩარგო თავი. მე ჩემ საწერ მასალებს მივუბრუნდი.

ჩუმა ძალზე უხასიათოდ იყო. დიდხანს მოძრაობდა ხმაამოუღებლივ, მერე მოვიდა, საწოლზე წამოწვა და დაბალი ხმით მკითხა:

— შალვა, თუ გახსოვს, რას ვყვიროდი წუხელ?

როგორც დამახსომდა, მეც ისე ვუთხარი მოსმენილი ამბავი. მან სიმწრით გააქნია თავი და მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა:

— ოი, ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა გაგრძელდეს ჩემი ასეთი წამება? ეს თქვა და ისევ გაჩუმდა. ცოტა ხანს იყუჩა, მივხვდი, რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის და ვერც გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა. მერე თვითონვე წამოიწყო საუბარი, უფრო სწორად, მთხოვა, მისმინე, თუ ჩემი ამბავი გაინტერესებსო, ოღონდ წინდაწინვე გაფრთხილებთ, გთხოვ, თუკი ოდესმე ჩემს შესახებ რამეს დაწერ, როგორც მოგიყვები, ყველაფერი ისევე დაწერე, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, მისი მხატვრული თუ ლიტერატურულად გაფორმება არ მჭირდებაო. უმალ მივხვდი, რომ თავის თავგადასავალს მომიყვებოდა, საწერი მასალა ხელთ მქონდა, ნარზე მოხერხებულად მოვეწყე და მოსასმენად მოვემზადე.


შ. ჭოლიკაური ჯარის მეგობრებთან

### თავი მეთოთხმეტე

— ჩემი სამშობლო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკაა, მას აღმოსავლეთით დაღესტანი ესაზღვრება, დასავლეთით — ოსეთი და ჩრდილოეთით — რუსეთი.

— მთელს ავტონომიაში მცხოვრებთა რიცხვი ომამდის (1941-1945წწ.) დაახლოებით 620000-დე აღწევდა. მათ შორის ჩეჩნები 510000, ხოლო ინგუშები — 110000 კაცი. ჩვენი საერთო ენა იბერიულ-კავკასიური ოჯახის ვეინახურ ჯგუფს მიეკუთვნება.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხების საერთო სახელწოდება ჩვენივე ენაზე არის „ვეინახ“. მათ შორის ჩეჩნებისა „ნახჩო“ (ნოხჩი), ინგუშების „ღალღაი“; რუსული სახელწოდება „ინგუში“ და „ჩეჩენი“ შედარებით გვიანდელია და ვარაუდობენ, რომ ეს ტერმინები ამ ხალხთა ადრინდელი სოფლების ინგუშეთისა და ჩეჩენ-აულის სახელებიდან არის წარმოქმნილი.

ჩვენი ხალხი, მათ დეპორტაციამდის (1944წ.) ძირითადად მთებში და ხეობებში ცხოვრობდა, მდ. არღუნის, სუნჯის პატარ-პატარა შენაკადებისა და კასპიისპირა ტრამალებისაკენ მიმდინარე სხვა წყლების ხეობებში და ბარშიც, მდინარე თერგის მარჯვენა მხარეს გადაჭიმულ ველებზე, ისე კი, ჩვენი ოჯახის გენეალოგია ძირითადად ქ. გროზნოში ცხოვრებით იწყება. მამაჩემის მშობლები სოფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ გროზნოში ჩამოსახლებულან, საკუთარი სახსრებით აუშენებიათ კარგი ორსართულიანი სახლი და თანდათან მხარი აუბიათ ქალაქური ცხოვრებისათვის.

ორი შვილი შესძენიათ ჩემს წინაპრებს, ქალ-ვაჟი, მამიდაჩემისათვის სალიმათი დაურქმევიათ, ბიჭისთვის, ე.ი. მამაჩემისთვის კი — მუსა.

მამიდაჩემი სალიმათი სამი წლით უფროსი ყოფილა მამაჩემზე, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩარიცხულა ქ. როსტოვის ინსტიტუტში სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე, იქვე დამეგობრებია თავისივე კურსელს, ეროვნებით ოსს, იბრაჰიმ ხუგაევს და ცოლად გაჰყოლია.

როგორც ჩემი მშობლების გადმოცემით ვიცი, იბრაჰიმი ძალზე ნიჭიერი და ამავე დროს კარგი ვაჟკაციც ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, ობოლი, უთვისტომო და უსახლკარო, ამიტომ მამაჩემის მშობლებს საკუთარ ბინაზე შეუკედლებიათ ქალი და სიძე, რომლებსაც შეუღლებიდან წლისთავზე ვაჟიშვილი შესძენიათ და მისთვის სახელად მაგნეზი დაურქმევიათ.

მაგნეზი ოთხი წლის ყოფილა, როდესაც მისი მშობლები ქ. ვლადიკავკაზის მთებში საბადოების შესასწავლად გაუგზავნიათ, სამსახურებრივი მივლინებით. იქ მათ სამუშაო საკვლევ უბანზე მოულოდნელად დაქანებულ მეწყერს ცოცხლად დაუმარხავს მთელი ჯგუფი, მაშველი რაზმი მისულა, მაგრამ ცოცხალი ველარავინ გადაურჩენიათ და მხოლოდ დასახიჩრებული გვამები ამოუთხრიათ დამეწყრილი მიწიდან. მამიდაჩემის და მისი მეუღლის ჭირისუფლობა ჩვენს ოჯახს გაუწევია. მიცვალებულები მიწისთვის მიუბარებიათ და უდროოდ დაობლებული პატარა მაგნეზის გაზრდაც თვით მამაჩემის მშობლებს უკისრიათ.

მამაჩემს სარკინიგზო სასწავლებელი დაუმთავრებია გროზნოში და იქვე დაუწყია მუშაობა ორთქლმავალზე, მემანქანის თანაშემწედ, 1919 წელს დაქორწინებულა, 1921 წლის ოქტომბერში კი მე დავბადებულვარ. მაგნეზი იმ დროს თერთმეტი წლის ყოფილა უკვე. ჩემზე მშობიარობისას დედაჩემს რაღაც ქალური ავადმყოფობა დამართნია და მეტი შვილი აღარ შესძენია. ასე რომ, ჩვენს ოჯახში ბავშვები ორნი ვიყავით, მე და მაგნეზი, ვიზრდებოდით ერთად, როგორც ერთი დედ-მამის შვილები.

სამი წლის ვიყავი, მამაჩემის მშობლები რომ დაიხოცნენ, ერთ წელს აღესრულნენ ორივენი.

მაგნეზმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, მამა ხშირად იტყოდა: — იუსუფმა (ჩემზე) რომც არ ისწავლოს, იმას ავიტან, მაგრამ მაგნეზს კი არავითარ შემთხვევაში უსწავლელს არ დავტოვებო.

ასეც მოხდა, მაგნეზმა სასწავლებელი დაამთავრა და იქვე, გროზნოში ერთ-ერთ წარმოებაში დაიწყო მუშაობა თავისივე სპეციალობით. მალე მამაჩემმა მოზდოკელი ქალი უთხოვა და დააოჯახა კიდეც. ბინად კი კვლავ ჩვენ სახლში ცხოვრობდნენ. წლისთავზე მაგნეზსა და მის მეუღლეს ბიჭი შეეძინათ. მშობელი მამის პატივსაცემად მაგნეზმა მისი სახელი, იბრაჰიმი დაარქვა ახალშობილს.

**გაგრძელება იქნება**

მეცხრე გვერდიდან

# სტალინის გვერდით

## გიორგი დიმიტროვის გამოუქვეყნებელი დღიურებიდან

დე.

ყველა წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც ი.ბ.-მ თქვა: — მე ვითხოვ სიტყვას — და ხელში ბოკალი აიღო:

— ჩვენ ისტორიამ გაგვანებივრა. ჩვენ შედარებით იოლად მივიღეთ ბევრი წარმატება. სწორედ ამან გაუღვივა ზოგიერთს, სახიფათო თვითკმაყოფილების გრძნობა. ხალხს სწავლა არ უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სწავლის შესანიშნავი პირობები გვაქვს. ფიქრობენ, რომ რადგანაც ისინი მუშათა და გლეხთა ფენიდან არიან, რადგან დაკოჟრილი ხელები აქვთ, მათ უკვე ყველაფერი შეუძლიათ, აღარ სჭირდებათ სწავლის გაგრძელება და თავის თავზე მუშაობა. ამ დროს კი ნამდვილი გონებაჩლუნგები არიან.

ჩვენ ბევრი პატიოსანი, მამაცი ადამიანი გვყავს, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მარტო სიმამაცე არ არის საკმარისი, უნდა იცოდე, შეგეძლოს. „სწავლა სიკვდილამდეო“, საჭიროა მუდმივად სწავლა და ყოველ 2-3 წელიწადში ხელახლა ათვისება. მაგრამ ჩვენთან არ უყვართ სწავლა, არ სწავლობენ ფინეთთან ომის გაკვეთილებს, ევროპაში ომის გაკვეთილებს.

იაპონელები ხალხინ-გოლთან დავამარცხეთ, მაგრამ ჩვენი თვითმფრინავები იაპონურთან შედარებით ნაკლებად სწრაფი აღმოჩნდა, ნაკლებ სიმაღლეზეც დაფრინავდნენ.

ჩვენ მზად არ ვართ ისეთი საჰაერო ომისათვის, როგორიც გერმანიასა და ინგლისს შორის მიმდინარეობს.

აღმოჩნდა, რომ ჩვენს თვითმფრინავებს ჰაერში მხოლოდ 35 წუთით შეუძლიათ ფრენა, გერმანულ და ინგლისურ თვითმფრინავებს კი — საათობით!

თუ ჩვენი საჰაერო ძალები, ტრანსპორტი და აშ. არ იქნებიან ჩვენი მტრის სადარ სიმაღლეზე (მტერი — ყველა კაპიტალისტური ქვეყანაა და ის ქვეყნებიც, რომლებიც მეგობრებად გვაჩვენებენ თავს), ისინი ჩვენ მოგვინელებენ (სტალინური კონცეფცია: სსრკ-ს ფარგლებს გარეთ ყველა მტერია — ა.ლ.).

მხოლოდ თანაბარი მატერიალური ძალების შემთხვევაში შევძლებთ გამარჯვებას იმიტომ, რომ ჩვენ ხალხს ვეყრდნობით, ხალხი ჩვენთანაა. ამისათვის კი სწავლაა საჭირო, უნდა ვიცოდეთ, უნდა შეგვეძლოს. თუმცა სამხედრო უწყებიდან არავის გადმოუცია სიგნალი თვითმფრინავების შესახებ. არცერთ თქვენგანს ამაზე არ უფიქრია.

მე გამოვიძახე კონსტრუქტორები და ვკითხე: შესაძლებელია თუ არა, რომ ჩვენი თვითმფრინავები რამოდენიმე საათით გაჩერდნენ ჰაერში? მიპასუხეს: „შესაძლებელია, მაგრამ ჩვენთვის ასეთი დავალება არავის მოუცია!“ ახლა კი ეს ხარვეზი სწორდება.

ახლა ჩვენთან ქვეითი ჯარის გარდაქმნა მიმდინარეობს, კავალერია ყოველთვის კარგი გვყავდა, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის საქმეს. ყოველდღე ამით ვარ დაკავებული, ვილებ კონსტრუქტორებს და სხვა სპეციალისტებს.

მაგრამ მხოლოდ მე ერთი ვარ ამ საკითხებით დაკავებული. არცერთი თქვენთაგანი ამაზე არ ფიქრობს. მე ერთი ვდგავარ...

მე ხომ შემიძლია სწავლა, კითხვა, ყოველდღე თვალყურის მიდევნება, თქვენ რატომ არ შეგიძლიათ ამის



გაკეთება? არ გიყვართ სწავლა, თქვენთვის თვითკმაყოფილად ცხოვრობთ. ფანტავთ ლენინის მემკვიდრეობას. (კალინინი: „საჭიროა დროის განაწილებაზე დაფიქრება, როგორღაც დრო არ გვყოფნის!“).

არა, საქმე ეს არ არის. უდარდელ ადამიანებს სწავლა არ უნდათ. მომისმენენ და ყველაფერს მაინც ძველებურად დატოვებენ.

მაგრამ, მე თქვენ გაჩვენებთ, თუ გამოვედი მოთმინებიდან. თქვენ იცით, ამას როგორ ვაკეთებ. მსუქნებს ისე დავარტყამ, ყველაფერი ზანზარს დაიწყებს. მე იმ კომუნისტებს, იმ ბოლშევიკებს ვადლეგრძელებ — პარტიულებსაც და უპარტიოთაც (უპარტიო ბოლშევიკები ჩვეულებრივ ნაკლებად თვითკმაყოფილნი არიან!) — ვისაც ესმის, რომ სწავლა და სწავლაა საჭირო. (ყველა გამართული იდგა და მდუმარედ უსმენდა, ალბათ არანაირად არ მოელოდნენ ი.ბ.-სგან ასეთ leviten (მორალის კითხვას — გერმანულად). ვოროშილოვს თვალებში ცრემლი მოადგა. გამოსვლის დროს ი.ბ. განსაკუთრებით ბერიას და კაგანოვიჩს მიმართავდა. არასდროს მინახავს ასეთი ი.ბ., როგორიც ამ საღამოს, სამახსოვრო საღამო იყო“.

რა შეიძლება ითქვას ამ ჩანაწერის შესახებ?

შინაარსის მიხედვით — ეს სიტყვა თითქოს პროფესიონალიზმის, პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელთა კომპეტენციის დაცვა იყო.

ფორმის მიხედვით — იგი გონებაჩლუნგებს ტუქსავდა, რომ ბეჯითად არ ილვწოდნენ, მაგრამ მე თქვენ გაჩვენებთ, თუ გამოვედი მოთმინებიდან“.

ამ ჩანაწერის პირველი ნაწილი მორიგი „სიმღერაა“, თუ როგორ გააშავა მან ოპორტუნისტები ლენინის წინაშე.

რაც შეეხება მეორე ნაწილს — სტალინი სინამდვილეში იღებდა ზომებს, სისხლიან ზომებს, რასაც მოწმობს გიორგი დიმიტროვის დღიურში მოგვიანებით გაკეთებული ჩანაწერი:

„11.4.41 წელი. სკპ (ბ) პოლიტბიუროს მკაცრი დადგენილება საჰაერო ფლოტში მოდუნებულობის შესახებ (გახშირებული ავარიებისა და უბედური შემთხვევების გამო). საჰაერო ფლოტის უფროსი რიჩაგოვი მოხსნეს, მისი მოადგილე გაასამართლეს. ტიმოშენკომ, რომელიც რიჩაგოვს ეხმარებოდა, ცეკას წინაშე ავიაციაში ცუდი მდგომარეობის მიჩუმათებაში, საყვედური მიიღო“.

შემდგომში, რიჩაგოვს, ისევე როგორც მის მოადგილეს და საჰაერო ავიაციის სამმართველოს სხვა მუშაკებს, ასევე სამხედრო-საჰაერო დანაყოფების მეთაურებს, დახვრეტენ. ნებისმიერ საქმეში სიძნელეებს და ხარვეზებს სტალინი მხოლოდ ერთი მიზეზით — „ხალხის მტრების“ ძიებით ხსნიდა. და საბოლოოდ საბჭოთა ავიაცია იქამდე მიიყვანა, რომ ფაშისტთა თავდასხმის პირველივე საათებში იგი თითქმის განადგურდა არა საჰაერო ბრძოლებში, არამედ აეროდრომებზე.

დ. დიმიტროვის დღიურების გამოქვეყნებამ, ბოლოს და ბოლოს, თვალები უნდა აუხილოს იმ ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებიც სტალინის „შეცდომების“ გარდა, რაღაც მითიურ „დამსახურებებსაც“ პოულობენ.

**მოამზადა ირინა გოჩაშვილმა**

# ვის აშინებს ლუსტრაციის კანონის მიღება?

მეოთხე გვერდიდან

ამოისუნთქავს, სხვასაც ნიშნს მოუგებს და საკუთარ თავშიც ღრმად ჩაიხედავს. ვენდეტას ინსტიტუტის ასამოქმედებლად ნიადაგი არ არის ჩვენს საზოგადოებაში. რაც ამ ბოლო ათ წელიწადში ჩვენმა ხალხმა მსხვერპლი გაიღო და გაპარტახება განიცადა, ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არც არავის გადამტერებია და არც არავისთვის ნიშნი მოუგია.

გარდა ამისა ხალხი, რომელიც ევროპას ელტვის, მედასავლეთეობაზე დებს თავს, შურისგების ნაბიჯს არ გადადგამს. მეორეც, — დასავლეთ ევროპა და ცივილიზებული მსოფლიო არ დაგვანებებს მასობრივ მკვლელობებსა და ტერორს. დღე არ გავა, რომ რესპუბლიკაში არ მოხდეს მკვლელობა, გაუპატიურება, სხვა უმძიმესი დანაშაული, კრიმინალური შინაარსის გაზეთები გადავსებულია ასეთი ინფორმაციებით. მაგრამ ძალიან იშვიათად, როდესაც შევიტყობთ, რომ სადმე ლინჩის წესით „აღასრულეს" სამართალი. „შაოსანი" დედები ხელისუფლება-სამართალდამცავებთან დღესაც კარი-კარ დადიან და თავიანთი ტრაგიკულად დაღუპული შვილების გამო სამართალს

— მაინც და მაინც საძრახისი არაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, ამ ქვეყნებიდან ხომ დარეგულირებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ვსწავლობთ, ქვეყნის მშენებლობის ორიენტირებას ვიღებთ, მათ მრავალ საკაცობრიო ღირებულებას ვითვისებთო, თანაც გადაჭრით ვემიჯნებით რუსულ-აზიურ ორბიტასო. როგორც არ უნდა დადებითი შედეგები მოჰქონდეს დასავლეთთან დაახლოების პროცესს, არანაირად გამართლებული არ იქნება ამ არგუმენტით მათ სპეცსამსახურებთან ნებისმიერი ფორმით ჩვენი მოქალაქეების თანამშრომლობა. საზოგადოებაში იმ აზრმაც გაიჟღერა, რომ შპიონაგენტობა თითქმის მთლიანად, რომლებიც ადრე მოსკოვზე მუშაობდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთიანად დასავლეთის მხარეზე გადაბარგდაო. ეს ასეც რომ იყოს, მას არავითარი გამართლება არა აქვს, ჯერ ერთი, შპიონობა შპიონობაა, ანუ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და სადაც არ უნდა წახვიდე, მას ყველგან ცალსახა უარყოფითი შეფასება ეძლევა. მეორეც, ხვალ, ზეგ ჩვენი მეზობლები თურქეთი, ირანი, თუნდაც იგივე რუსეთი უმაღლეს დემოკრატიულ,

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ჩეხეთში და პოლონეთში, ბალტიისპირეთის ორ რესპუბლიკაში, გერმანიაში. აპირებენ სხვაგან მიღებასაც. ასე რომ ჩვენ არც პირველი ვიქნებით და არც უკანასკნელი. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ლუსტრაციის კანონის მიღების მოთხოვნით მიმდინარე კამპანიამ ერთგვარი რადიკალური ხასიათი მიიღო. იქ უშუალოდ უშიშროების კადრის მუშაკებს დაემუქრნენ ოჯახის წევრებზე ანგარიშსწორებას. ბევრმა პროფესიონალმა მართლაც თავისი ნებით დატოვა ორგანოები. მაგრამ მუქარა არ ეხებოდა იმ კატეგორიას, ანუ შპიონაგენტებისა და შიდა ინფორმატორ-დამბეზღებლებს, რომლებზედაც ჩვენ სტატიაში ვსაუბრობთ. ლუსტრაციის კანონის მიღების შემდეგ ამ ქვეყნებში, რა თქმა უნდა, არავითარ ანგარიშსწორებას ადგილი არ ჰქონია და არც არავინ შეუვიწროვებიათ. უბრალოდ ამ ხალხს აეკრძალა პოლიტიკური და სახელმწიფო პოსტების დაკავება. ამ ნაბიჯით მათაც მოისვენეს და ქვეყანამაც.

უფრო საინტერესო რამ მოხდა გერმანიაში. ამ წერილის ავტორს ორი წლის წინ ქ. ზალცგიტერში შეხვედრა მოუწია გერმანიაში მომქმედ სტალინიზმის პოლიტიკურ ტუსაღთა კავშირის ხელმძღვანელებთან. ლუსტრაციის კანონი გერმანელებს უკვე მიღებული ჰქონდათ. მის მიხედვით ჰიტლერიზმისა და სტალინიზმის პერიოდის ყველა პოლიტიკური ციხე და ბანაკი მუზეუმებად ან ხსოვნის ადგილებად გადააკეთეს. ყოფილი გდრ-ის უშიშროების სამინისტროს გიგანტური შენობა, ტოტალიტარიზმის, დევნისა და დასმენის კომუნისტური ეს მონსტრი ევროპაში, გადაკეთდა დიდ მუზეუმად და არქივად. დღეს აქ თანამშრომელთა დიდი ნაწილი ყოფილი პოლიტპატიმრებია. ისინი ყოველდღიურად ატარებენ ექსკურსიებს, იძიებენ და სწავლობენ უშიშროების დოკუმენტებს, გამოსცემენ წიგნებს, კრებულებს, მათ შორის ორთვიურ ჟურნალს „მავთულხლართს". კავშირის ხელმძღვანელებმა სინანულით აღნიშნეს, რომ ბერლინის კედლის აღების დროს სიჩქარისა თუ საერთო ეიფორიის მიზეზით უშიშროების სამინისტროდან გაქრა რამდენიმე ათასი აგენტის კარტოთეკა, სხვა მასალები. ეტყობა ვიღაცამ ისარგებლა სიტუაციით და აღნიშნული დოკუმენტები გაიტანაო, რადგან ადგილზე განადგურების არავითარი კვალი არ დარჩენილაო. გამოდის, რომ დღესაც გერმანიაში, და ალბათ არა მარტო იქ, თავისუფლად დაიარება და შეიძლება ძველ საქმესაც აგრძელებს მრავალი აგენტი თუ ინფორმატორი, რომლებიც ადრე უშიშროების ორგანოებზე და მოსკოვზე მუშაობდნენ. ყოფილმა პოლიტპატიმარმა, 70 წელს გადაცილებულმა ინჟინერ-გემთმშენებელმა ჰარტმუტ რურდანცმა, რომელიც ამ კავშირის გამგეობის წევრია, აღნიშნა, რომ ჩემი „მეთვალყურე" და საქმის გამომძიებელი ადამიანი დღეს თადარიგში გსული პოლკოვნიკის ჩინით ჩემი ქუჩის გადაღმა ცხოვრობსო. ჰ. რურდანცი თავის დროზე ზურგზე მოსაკიდი თვითნაკეთი საფრენი აპარატით აპირებდა საზღვრის გადალახვას, მაგრამ იგი გასცეს და დააპატიმრეს. პატიმრობის წლებში იგი უშუალოდ ერიხ ჰონეკერისათვის აგებდა იახტებს. როდესაც შევახსენეთ შურისძიების შესახებ, მან გვიპასუხა, რომ პოლკოვნიკიც ჩვეულებრივი გერმანელია, როგორც სხვები, მის უფლებებს, როგორც მოქალაქისას, სახელმწიფო ყველანაირად იცავსო. ქუჩაში შეხვედრისას ჩვეულებრივ ვესალმებით ერთმანეთსო. სინანულით მხოლოდ ის თქვა, რომ პოლკოვნიკი ჩემზე ორჯერ ბევრ პენსიას ღებულობსო.



ჰოჰენშონჰაუზენის პოლიტიკური ციხის პატიმართა საკნები

ითხოვენ, ხალხიც პირდაპირ ადებს ხელს მკვლელებს, მაგრამ შემთხვევა არ ყოფილა, რომ შურისძიება აღსრულებულიყოს. 20 და 40 წლის წინ მაბეზღარ-ინფორმატორის მიერ ჩადენილ დანაშაულზე შურისძიებისათვის თავს არავინ გამოიდებს.

სულ სხვანაირი იყო ამ 8 წლის წინ მიდგომა იმ შპიონაგენტების მიმართ, ვინც უცხოეთის სპეცსამსახურებზე მუშაობდნენ და სულ სხვანაირია ეს მიდგომა დღეს. წინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომუშავე აგენტი საქართველოს სს რესპუბლიკის მტრად აღიქმებოდა და პირიქით. ასევე შიდა დამსმენები, რომლებიც მოსკოვზე მუშაობდნენ და თუ ისინი დღესაც აგრძელებენ ძველი კალაპოტით მუშაობას, დღეისათვის საქართველოს მტრებად აღიქმებიან. საქართველოში პირველი თავისუფალი არჩევნების დროიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საგრძნობი რაოდენობით მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით იქითკენ გვიბიძგებენ, რომ ვიფიქროთ, — ისინი ან ფარულად თანამშრომლობენ უცხოეთის სპეცსამსახურებთან, ან მათი კარნახით მოქმედებენ. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება კაცს, რომ ქვეყანას საიდუმლო აღარაფერი აქვს, ყველა სამსახური, სტრუქტურა და ორგანო ძირფესვიანადაა გაშიფრული და შესწავლილი შინაგანი თუ გარეშე მტერ-მოყვარის მიერ. ოფიცერთა ახალ კორპუსს ფაქტიურად საზღვარგარეთ ვამზადებთ, იქნება ეს თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, გერმანია თუ აშშ. თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ნატოს წევრი ქვეყნების ექსპერტები მონაწილეობენ. იარაღი, საბრძოლო საშუალებები, სამხედრო გემები, ჩეხეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან შემოგვაქვს. ერთი სიტყვით, შეიარაღების სფერო განტერნაციონალიზებულია თავისებურად. ამის შემდეგ ძნელია ლაპარაკი სამხედრო საიდუმლოებებზე. არც ისაა გამორიცხული, რომ უცხოეთში მოსამზადებლად გაგზავნილ ზოგიერთ ჩვენს კურსანტსა და ოფიცერს იმავე ქვეყნების დაზვერვამ არ დაადგას თვალი.

შეიძლება ვინმეს ჰქონდეს აზრი,

სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოებად რომ გადაიქცნენ, ამიტომ ზევით ნახსენებმა აგენტებმა პირი ახლა მათკენ უნდა იბრუნონ? სახელმწიფოების ერთი ერთმანეთზე მჯობინების პრინციპით მათ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გამართლება მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. არადა ჩვენს საზოგადოებაში ეს სინდრომი თვალნათლივ შეიმჩნევა, სიმპათიები გამოკვეთილად დასავლეთისაკენ იხრება. ჩვენ მათთან უნდა ვითანამშრომლოთ ღიად, გამჭვირვალედ, გადმოვიღოთ საზოგადოებისთვის, ხალხისათვის სადაგი ღირებულებები, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ვითანამშრომლოთ მათთან საიდუმლო არხებით. ლუსტრაციის კანონის მთავარი დანიშნულებაც ის იქნება, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს საზოგადოებაში ვინ ვინ არის და აქეთკენ გამხედვარე პოტენციურ ხალხს ილუზიები გაუქარწყლოს.

რომ არა უზომოდ გართულებული პოლიტიკური ბატალიები, ამ კანონის მიღება შეიძლება ოდნავ დახანებულიყო, თუნდაც შემდგომი პარლამენტის ხელში. მაგრამ მდგომარეობის განმუხტვის, შიდა სიმძაფრის შენელების, რიგი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით გადაუდებელ ამოცანად დგებს მისი განხილვა და მიღება ამ ზაფხულის, ანდა ადრე შემოდგომის პერიოდში. საქმეს ისიც აადვილებს, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას მისი პროექტი მზად აქვს. რჩება მხოლოდ მისი პარლამენტის დღის წესრიგში შეტანა, განხილვა და მიღება. ლუსტრაციის კანონი სულზე მიუსწრებს საშემოდგომო საპარლამენტო არჩევნებს, მის დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარებას, მის ყოველმხრივ გამჭვირვალობას. უდავოა, მას გარკვეული ვნებათაღელვა მოჰყვება და ბევრი პოლიტიკოსის უკმაყოფილებას გამოიწვევს, უფრო კი მათი, ვინც გრძნობს, რომ ეს ლონისძიება მათი პოლიტიკური საქმიანობის შანსებს გადაწურავს. მაგრამ, ნათქვამია, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

რაიმე სერიოზულ მოსალოდნელ ექსცესებს აქარწყლებს ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში ლუსტრაციის კანონები მიიღეს

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ფაქტიდან არავის არ მოვუწოდებთ, ლუსტრაციის შემდეგ ყოფილ თუ მომქმედ აგენტებსა და ინფორმატორებს ჩვენს მოქალაქეებთან შედარებით ორჯერ მეტი პენსია დაუნიშნეთ ან სხვა შეღავათებით მიეცით-მეთქი, მაგრამ თუკი გერმანელ ხალხს ასეთ დიდ პატივს ვცემთ და სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისით ბევრ რამეს მათგან ვსწავლობთ, იქნებ ამ საქმეშიც მივბაძოთ მათთვის?

**გიორგი ბიჭუაშვილი.**

მერვე გვერდიდან

# საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა

ოეთიდან არაქართული ტომების მოწოლა, დაცარიელდა ქართული მოსახლეობისაგან, ქართული მთიელი ტომებისაგან. (შიგა ჯავის რეგიონი; აფხაზეთის კავკასიონის დასავლეთი ნაწილი და სხვა).

შესაბამისად, ცირკულაციური ურთიერთობა ხდებოდა ეკონომიკური ურთიერთობის, შრომითი რესურსების, ტრანსპორტის და სხვა თვალსაზრისით. მთის, მთისწინეთის და ბარის ტერიტორიის მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

საქართველოს ასეთი აგებულების გათვალისწინება სავალდებულო პრინციპია საქართველოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის დროს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ხეობების ქვეყანაა, ასეთი აგებულება კიდევ უფრო ანაწევრებს ქართულ ლანდშაფტს, და შესაბამისად ქმნის ამ პატარა ტერიტორიაზე ძალზე მრავალფეროვან და პატარ-პატარა „დამოუკიდებელ" მიწის ნაკრებს, შესაბამისად პატარ-პატარა, ეთნოგრაფიულ კუთხე-პროვინციებს, თავიანთი ტრადიციებით, კილოთი, საყოფაცხოვრებო განსხვავებით და სხვა.

თისაკენ და საპირისპიროდ, ხალხების დიდი მასების გადაადგილებებს და შემოსევებს.

სხვათა შორის, ქართული ისტორიული მიწა-წყლის ერთიანი ორგანული „მთლიანობა" არის მიზეზი იმისა, რომ დღეს ძალზე რთულია საქართველოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობა, რადგან დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია (69,7 ათასი $კმ^2$) არის ყოველმხრივ ჩამოჭრილ-დაჩეხილი ტერიტორია, რითაც ფაქტობრივად მთელი რიგი ქართული პროვინციები, საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო ტერიტორიაში შემოდის, როგორც ნაწილი — აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და სატრანსპორტო, ეთნოგრაფიული და ისტორიული მთლიანის ნაწილი. შესაბამისად, დაირღვა ეკონომიკურ-სატრანსპორტო და სხვა ერთიანობის ჰარმონია.

მაგალითად, მესხეთიდან ტაოკლარჯეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების თურქეთის მხრიდან ანექსიამ განაპირობა მისი ერთიანი და შესაბამისად, საქართველოს ერთიანი ეკონომიკური და სატრანსპორტო ურთიერთობის (რომ აღარა ვთქვათ სხვაზე)



საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი, რომელზეც ცხოვრობდა და ვითარდებოდა ქართველი ერი, არის ერთი მთლიანი ტერიტორია ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, ეთნიკურად. ეს არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

პ. ინგოროყვას სრულიად სამართლიანი განმარტებით, „საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა — შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია".

ქართული მიწა-წყლის საზღვრების ბუნებრივმა დამთავრებამ გეოგრაფიულ-ისტორიულ საზღვრებზე განსაზღვრა საქართველოს ერთიანი ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და ისტორიულ-კულტურული ორგანული მთლიანობა.

**ქართული ტერიტორიის ასეთი „მთლიანობა" არის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი პრინციპი საქართველოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის დროს.** ამასთან ეს არის ძირითადი მიზეზი ქართველი ერის შემართებასთან ერთად, საქართველოს დღევანდლამდე მოღწევისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია მსოფლიოს ერთ-ერთი გზაჯვარედინია, სადაც საუკუნეების მანძილზე იკვეთებოდა სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული და სხვა ინტერესები. ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთიდან სამხრე-

ჰარმონიის დარღვევა-დასახიჩრება; ასევე, შეიძლება ითქვას საინგილოს, კახეთის, ჯიქეთის, სამეგრელო-აფხაზეთის, ლორე-ტაშირის, ქვემო ქართლისა და შესაბამისად საქართველოს მიმართებაში და სხვა.

ამასთან, როდესაც ჩვენ ვამბობთ ერთიანი „ჰარმონიის" დარღვევას — ეს არის ტერიტორიის დაკარგვა, შიდა სატრანსპორტო მიმოსვლის მოშლა, ეკონომიკური კავშირების მოშლა და შესაბამისად, იძულებით ახალზე, ნაკლებად ოპტიმალურზე მიბმა და სხვა (აღარ ვლაპარაკობთ ფსიქოლოგიურ, ეროვნულ ტრადიციაზე მაგალითად, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ლორე-ტაშირი იყო ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავების ადგილი. შესაბამისად, მასზე იყო აწყობილი იმ დროს ეკონომიკურ-სატრანსპორტო კავშირები და სხვა. მისი დაკარგვით ძნელი არ არის წარმოიდგინო, რომ მოხდა ქვემო ქართლის გახლეჩა ეკონომიკურად და ყოველ მხრივ, რაც მეტასტაზივით გადავიდა მთელ საქართველოზე, როგორც ერთ მთლიან სხეულზე.)

უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ტერიტორიები გარდა XII-XIII საუკუნეებისა, არასოდეს მოიცავდა მთლიანად ქართველური ეთნოსით დასახლებულ მიწებს. ქართული სახელმწიფოებრივი ტერიტორიები, დაწყებული ანტიკური ხანიდან, რუსეთთან შეერთებამდე, ყოველთვის იყო 135,0 ათასი $კმ^2$-დან 145 ათას $კმ^2$-მდე. მხოლოდ XII-XIV სს იყო საქართველოს სახელმწიფოს ფართობი 220,0 ათ. $კმ^2$.

გაგრძელება მე-13 გვერდზე

მეექვსე გვერდიდან

გური ოტობაია

# საქართველოს ისტორიის „მოუხელთებელი“ ქურდები

ნამდვილად არ შევუდგები, ვინაიდან მიყვარს ხალხური შეგონების მოშველიება ყველგან და ყველაფერში: თოფი მეთოფეს! იგი ქართველი ისტორიკოსებისთვის დამითმია გულამბოხების სასაპარეზოდ. მომავალ სამშაბათამდე ველოდები ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის, ბატონების: ლევან სანიკიძის, როინ მეტრეველის, ნოდარ ლომოურის, ოთარ ლორთქიფანიძის თუ სხვათა გამოხმაურებებს. არადა, ახალი „ქვათა ღაღადის“ ამქუხარებას წინ ალარაფერი დაუდგება.

აი, სეპარატისტული აფხაზეთის ბრანწის ქვეტექსტი თურქული ვიზიტიდან:

ფეხებსაც ვერ მოგვჭამთ თქვენი ნადარეიშვილის „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიითა“ და ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის კოსოვური მეხთაცვენის შემუქრებით, სანამ ჩვენი მფარველი სომეხი ერია, რომელიც ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში იმყოფებოდა აფხაზეთში მოკავშირედ, ქომაგად და ძმადო. ჩვენი მეგრელოფობიის ფონზე, ვფიქრობ, ფრიად შორსმიმავალი არგუმენტია ბლაუბასეული ისტორიოგრაფიული ბოჩოლას კუნტრუში!

კმარა-მეთქი, ჩვენი გონებადაბინდული ორიენტაცია საქართველოს წინსვლისა და ალმშენებლობის „შემაფერხებელი“ ბარიერების „გამოაშკარავების“ გზაზე. როდესაც ქუჯიმ სამეფო რეგალიები ფარნაოზს გადაულოცა მონოლითური სამშობლოს სახელით, გაკეთდა ისტორიული არჩევანი და სამუდამოდ განისაზღვრა კოლხეთის უშუალო მემკვიდრის — სამეგრელოს როლი საქართველოს უდასასრულო არსებობისათვის. სამეგრელო ეს ის გალავანია, საიდანაც სამშობლოს არათუ დაუძინებელი მტერი, უბრალო ზღვაურიც ვერ გადმოფაჩუნდება ჩვენი საერთო მომავლის სავნებლად. ჩვენ უმჯობესია მამულის სხვა გალავნებს მივხედოთ, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით და აქედან, ამ გადასახედიდან დავარქვათ საგნებს, მოვლენებს სათანადო გვარ-სახელები. გვარნაცვალ ქართველს აღიზიანებს სამეგრელოს ერთსახოვანი დემოგრაფიული შემადგენლობა. აქ ვერ ჭაჭანებს, აქ ვერ ბოგინებს მათი პირატული ჯილაგი სხვის საგანძურის მითვისების ტენდენციებით, მრავალი კუთხისაგან განსხვავებით.

მახსენდება აფხაზ-სეპარატისტების ენგურის ნაპირებთან განმუხურში ექვსი წლის წინანდელი მოხროვება. ეს სოფელი ტერიტორიულად აფხაზეთის არეალშია მოქცეული, მაგრამ იურიდიულად ზუგდიდის რაიონის ქვეშევრდომია. ბაგრამიანის ბატალიონის ბიჭები მზვაობრობდნენ მაშინ. დაცარიელებულ სოფელში სამად-სამი ოჯახი გადაწვეს, სამივე ახალაიასი. მსხვერპლად კი ორი სიცოცხლე შეიწირეს, გულად მორგოშიისა და გოჯო ოგანესოვისა. ამ უკანასკნელზე მოგახსენებთ უფრორე. ეს კაცი სისხლით-ხორცამდე ქართველი გახლდათ მიუხედავად თავისი ჰაიკური გვარისა. ცოლად გაგიდელი ქალი ესვა — ბაბუცა ახალაია. სამი ასული და ერთი ვაჟკაცი გაზარდა. დაოჯახებულებს კვლავაც მიაშველებდა მამობრივ მზრუნველობას და აი, ბაგრამიანის, ვამპირულ ღრეობას ნაჩვევი ბოევიკები, როცა გამოელაპარაკნენ „თვისტომს“ და ამ უკანასკნელმა თავანკარა მეგრულით სინდის-ნამუსი შეურცხვინა თითოეულს, არ დაინდეს, ავტომატის ჯერით მოცელეს საკუთარ სამზადში. ესეც გასათვალისწინებელი შტრიხია სამეგრელოს დემოგრაფიული კონცეფციის ასპექტით. მეგრელისთვის საქართველო ავგაროზია, რადგანაც მყარად აქვს შეგნებული, მამულის ერთიანობის, სამშობლოს უკვდავების გარანტია დიახაც სამეგრელოს მთრთოლვარე სულშია გადანახული. ამიტომაც არის გვარნაცვალი „ქართველების“ წასისინებით მის ასაოხრებლად დაიძვრებიან ხოლმე ტალიკ-ტალიკი „სასიძოები“ აჟღურებული სიმღერით: „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“! ამიტომაც არის ხოლმე მკლავებს რომ წაიკაპიწებენ და გაიკრეფენ ენას პროზაული სიტყვის ოსტატნი სადიაცოდან: „ზვიადისტებმა სამეგრელო სამუდამო მოღალატეებად გადააქციესო“; ხოლო გვარნაცვალი და იერითაც ვერანაირი ქვიშით გაუხეხავი ზოგი, „ტაკუნა-ტაკუნაიათი“ მიმართავს ჩვენი ოდაბადეს ხერხემალ კუთხეს; არ გამოვედევნები სხვათა ქირქილს და ქილიკომანიას, ჩამოხრჩობილის სახლში ხომ თოკზე არ საუბრობენ, მაგრამ ამთავითვე მიბრძანებია: გვეყოფა-მეთქი თითებიდან გამოწოვილი მეგრული თემა, როგორც საქართველოს ერთიანობის დაუსრულებელი შეფარვითი წინალობა.

სამეგრელომ, მეგრელმა მშვენივრად იცის, რომელი ათასწლეულიდან მოედინება მისი სულიერება. ჯერ კიდევ აიეტ მეფის დროიდან, როცა მუხის ხეზე ცხვრის ოქროცურვილი ტყავი ეკიდა ეზოტერიკულ ცნებათა შემნახავად, წაილო, წარგვტაცა იგი ინდოევროპულმა ტალღამ და მიაჯაჭვა აურაცხელ ტომად დაშლილი მისი მონოლითური სხეული კავკასიონის მწვერვალებს პრომეთე-ამირანის სიმბოლიკით; სამეგრელომ, მეგრელმა მშვენივრად იცის სანამდე წვდებოდა მისი სამფლობელო: „სომხეთის მთიანეთსაც“ მოიცავდა იგი ჰაოსის მეხუთეკლასელი ბავშვების ყოყლოჩინა ისტორიის სახელმძღვანელოდან და თვით ე.წ. მცირე სომხეთსაც, დროთა ვითარებაში მუსრი რომ გაავლო, შერყვნა, გააცამტვერა მისი ისტორიული ძეგლები, შეიწოვა მისი ტოპონიმები ცბიერი მოძალადის თვისებით.

ახლა ლაზებთან, ჭანებთან და მეგრელებთან წინაპრების მენტორული პრეტენზიებით წარმოჩინდებიან აქა-იქ, იმ მწირი კოლხიზმების არსებობით, დღესაც რომ იძებნება მათ მეტყველებაში: „ჭანჯი“ — ბუზი, „ლაკოტი“ — ლაკვი, ლეკვი და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ქართველი ენათმეცნიერების მიუკერძოებელი კვლევა-ძიებების გადაუდებელი ამოცანაა. ინდოევროპულ ტალღას ჩამოყოლილ ჰაოსის ხალხს რანაირად შეეძლო მის გამოჩენამდე რამდენიმე ათასწლეულით მაცხოვრებელი კოლხისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა, როცა მძლეთამძლე ამირანის სამშობლო უკვე ფოლადსაც აწრთობდა მომთაბარე ინდო-ევროპელთაგან განსხვავებით, მზის საგალობელს აღავლენდა „ლილეოთი“, „კვირიათი“ და „ოდოიათი“, ცხვრის ტყავზე, ოქროს საწმისზე, იგივე კირბებზე წარეწერა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ანი და ჰოე, ალფა და ომეგა? ამისთანა კუთხე ჩაიკეტება ვითომ თხილისოდენა ნაჭუჭში — სამეგრელოში და ზურგს შეაქცევს საქართველოს საშვილიშვილო ინტერესებს? ჭორები მოაშორეთ მეთქი, მიხსენებია მერამდენედ! უმჯობესია გვარნაცვალი ქართველების ტუტუნს ყური დავუხშოთ, თვალი დავუბრიალოთ და დავდგეთ საქართველოს ნამდვილი ხერხემლის გარშემო, როგორც ეს წესით გვევალება, იგივე დედაბოძის გარშემო, რანაირადაც განხორციელდა ორათასწლეულის წინ, როცა ბლაუბების აფსუები უფალმა უწყის სად მომთაბარეობდნენ. ხოლო აფხაზეთი, დღეს რომ მისი ყოველი ისტორიული საგანძური ასე პირატულად მიუთვისებია სოხუმში გუშინწინ ჩამოვაკებულ აფსუას, ქართველი ხალხის გონიერებისა და სულიერების ოფლგადადენილი მუშაკობის ნაყოფია და არავითარ შემთხვევაში თითებიდან გამოწოვილი ისტორიოგრაფიული ბოდვების შედეგი.

ნუ შევქმნით „ერთი წვეთი თაფლის“ სიტუაციასო, ჩაგვაგონებენ მენტორულად, ამას რა სჯობია, მაგრამ მაშინ გვარნაცვალი ქართველის დაკრულზე ნუ ვიცეკვებთ ბატონებო, ბოლოს და ბოლოს დროა ბლაუბების „ისტორიული ექსკურსებს“ თუ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოთა „სომხეთის მთიანეთს“ მივაპყროთ ჯეროვანი მზერა, აქეთკენ მივმართოთ ჩვენი გაერთიანებული ძალისხმევა და არა უგუნური უარისმთქმელობით კოლხეთის გმირული ისტორიისაზე — დღევანდელი საქართველოს ბალავარზე. ამას მომავალი არც გვაპატიებს მოკვეცილი ჭანეთის, ლორეს კონტურებით თუ კიდევ აწმოსალოდნელი ზოგი რეალობით.

ველით გამოხმაურებას და აქვე წერილს ვამთავრებ ერთ-ერთი მეგრული ლექსის „გვიმარას“ — გვიმრას ჩემეული თარგმანით, რომელიც ამ ოციოდე წლის წინ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ და მიუხედავად ესოდენი „ხანდაზმულობისა“, ვფიქრობთ, რამდენადმე ეხმაურება ჩვენეულ, ფრიად დამაფიქრებელ ვითარებას:

**გვიმრა**

თურმე ძველისძველ მითთაყამინდელ, უხსოვრობისდროინდელ კოლხეთში გვიმრის გიგანტი ხეები ხარობდნენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში, ჟამთა ტრიალში ნელ-ნელა გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და ცელითაც ითიბება.

კოლხური მითოლოგიიდან

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია,
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
როს ურჩხულის მოკარებით
თრთოლავდი.
იმ საწმისზე ჩაშანთულა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოპოვების წესებიც,
გაილვიძე, ჯერ არ გადაშენებულა,
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
მუხლი რად მეკეცება
ქართულ ჰანგის გამგონეს,
სულს რომ გეასკეცება
იმ ქარებში ჩამკონე!
გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგულო გვიმარა!
ჭრილობიდან სისხლი მოგდის
ტბორებად?!
ძველ დიდების ლანდილა იზმორება?!
კვდომა ისევ ყოფნით აიშორება,
უსულგულო, გვიმარა!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია.
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
გაილვიძე, შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე გვიმარა!

*1979 წ.*

მე-13 გვერდიდან

# საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რევოლუციამდე (ბოლშევიკური წყობის დამყარებამდე) საქართველოს ტერიტორია რუსული ადმინისტრაციული დაყოფით შეადგენდა 102,0 ათას კმ²-ს. აქედან თბილისის გუბერნიის ტერიტორია შეადგენდა 41,6 ათას კმ²-ს (რომელშიც შედიოდა თბილისის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს (მარნეულის), გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრები); ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია შეადგენდა 21,5 ათას კმ²-ს (რომელშიც შედიოდა ქუთაისის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, რაჭის, სენაკისა და შორაპნის მაზრები).

სოხუმის, ბათუმის, ართვინისა და ზაქათალის ოლქები — სულ 19,6 ათასი კმ². ყარსის მხრიდან — ყარსის, ყალიზმანის, არდაგანის და ულთისის ოლქები — სულ 19,2 ათასი კმ².

1921 წლიდან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოს ტერიტორია ძირითადად შეადგენდა 69,7 ათას კმ²-ს, დაყოფილს 65 რაიონად (იყო პერიოდი, ნ. ხრუშჩოვის დროს, როცა ადგილი ჰქონდა რაიონების გამსხვილებას) და 14 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის შექმნის შემდეგ, საქართველო ტერიტორიულად მოეწყო ფაქტობრივად 14 ადმინისტრაციულ ერთეულად; აქედან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე ჯერჯერობით ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება; ხოლო დანარჩენი 12 წარმოადგენს 2 ქალაქს, თბილისს და ფოთს, და 10 ტერიტორიალურ რეგიონს, ე.ი. თითოეული სარწმუნებულო ტერიტორია საშუალოდ შეადგენს 5,0 ათას კმ²-ს. საშუალო მოსახლეობა 0,39 მლნ კაცს.

თითოეული რაიონი საშუალოდ შეადგენს ფართით 1,1 ათას კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 0,08 მლნ კაცს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობა შეადგენს 80 მილიონამდე ადამიანს, ხოლო ტერიტორია 353,6 ათას კმ²-ს, და არის ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო (მოსახლეობით), დაყოფილია 16 მხარედ. აქედან 3 ქალაქია (ბერლინი, ჰამბურგი, ბრემენი); საშუალოდ თითოეულის ტერიტორია შეადგენს 22,3 ათას კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 5,1 მლნ ადამიანს.

დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყანა საფრანგეთი (551,0 ათასი კმ²), რომლის მოსახლეობაა 58,1 მლნ კაცი, დაყოფილია 96 დეპარტამენტად. საშუალოდ თითო დეპარტამენტი შეადგენს 5,7 ათას კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 0,6 მლნ კაცს. თავის მხრივ 96 დეპარტამენტი ერთიანდება (1959-60 წლებიდან) 22 რეგიონად.

აქ და სხვაგანაც საშუალო მონაცემები შესადარებლად არის აღებული, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის დიდი სხვაობაა, როგორც ტერიტორიულად, ასევე მოსახლეობით.

მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბავარიის ტერიტორია შეადგენს 70,5 ათას კმ²-ს, ანუ მთელი ქვეყნის 19,7%-ს. ხოლო მოსახლეობა 11,5 მლნ კაცს ანუ 14,1%-ს.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის დროს უნდა დავეყრდნოთ ძირითადად ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს (რომელიც ეფუძნება ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა მრავალ ასპექტს, და არავითარ შემთხვევაში ეთნიკურს) და დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობას.

ამასთან, საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად, ამჟამად არსებული პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით (რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). პერსპექტივაში ამავე ტერიტორიაზე (69,7 ათასი კმ²), 20-25 წლის შემდეგ და მომავალში ქართული მიწების შემოერთების კვალობაზე.

წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ თუ საქართველო ამ ეტაპზე უნდა მოეწყოს ფედერალურ საწყისებზე, მაშინ 14 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად დაყოფა ჩვენი ქვეყნისათვის დიდი ფუფუნებაა და ამასთანავე, ყველანაირად გაუმართლებელი.



თუ საქართველო ამ ეტაპზე რაიონული პრინციპით მოეწყობა, მაშინ 65 რაიონად დაყოფა ასევე გაუმართლებელია. ამ შემთხვევაში, რაიონების გამსხვილება უფრო გონივრულია. კერძოდ, აბაშის, ქარელის, ყორნისის, ჩხოროწყუს და სხვა მრავალი რაიონის ცალკე ერთეულად არსებობა ყოვლად მიზანშეუწონელია, მართვის ხარჯების და სხვა თვალსაზრისით.

საერთოდ, საქართველოსათვის, ყველაზე ოპტიმალურია უნიტარული სახელმწიფოებრიობა, მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების დეცენტრალიზირებული მართვით.

ამასთან, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები უნდა ჩამოყალიბდეს აუცილებლად ჩვენს მიერ, განხილული პრინციპების საფუძველზე და იყოს არსებული ოპტიმალური ეკონომიკის, სატრანსპორტო, დემოგრაფიული და სხვა ასპექტების გათვალისწინებით.

**თ. ტეტუნაშვილი**

# სატირისა და იუმორის კუთხე



## სპექტაკლი

რაც მოხდა და ხდება, ნაღდი სპექტაკლია,
მუსიკით, გრიმასით, ყველა რეკვიზიტით,
წარმოდგენილია, რაც ჩვენი ნაკლია
და ჰქვია ამ სპექტაკლს „ნამუსის დეფიციტი".
დაიდგა ნატურაში „ომი და მშვიდობა",
ტანკებით, ზარბაზნით, ნგრევით და გვამებით,
დამთავრდა ომი და გრძელდება ქიშპობა,
ვერ დაკმაყოფილდნენ ყველანი სკამებით.
„ოტელოს" მონოლოგს დღეს ბევრი ღაღადებს
და ხალხის გულებში ნაკვერჩხალს აჩაღებს,
პიესა არ რჩება მარტოდენ ქაღალდებს,
ცხოვრების სცენაზეც ვუყურებთ „ყაჩაღებს".
ვუყურებთ „ღალატს", „ყვარყვარეს",
„მამის მკვლელს"
და „გლახის ნაამბობს" ყურს ვუგდებთ ქუჩაში,
მაქვს წინა პირობა გული რომ გამისკდეს,
სამშობლოს ჰყიდიან, როგორც ყველს დუქანში!

*ნიკოლოზ იოსებიძე.*

## დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი, გავუფრთხილდეთ ჟანგბადის მარაგს

ბევრი მოქალაქე სარგებლობს რა, რომ შესაბამისი სამსახურები მათ მიმართ სრულ უყურადღებობას იჩენენ, არ უფრთხილდება ჟანგბადს, სუნთქავს ხარბად (განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა ჰაერს), რითაც ეჭვქვეშ აყენებს ატმოსფეროში ჟანგბადის შენარჩუნების საკითხს და ლახავს პატიოსნად მსუნთქავთა ინტერესებს.

მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით ჰაერის ბრაკონიერთა მიმართ დაწესებული იქნება მკაცრი კონტროლი, დაწესდება სუნთქვის გრაფიკი, რითაც უფლება გვეძლევა დღე-ღამეში 18 საათი ვისუნთქოთ უფასოდ. ყოველ ზედმეტად დახარჯულ წუთზე გადავიხდით 5 თეთრს.

შემოღებული იქნება ჰაერმრიცხველი, რომელიც მოთავსდება ცხვირის ღრუში, შეუერთდება საყლაპავ მილს და ზუსტად დააფიქსირებს უფასოდ ჩაყლაპული ჰაერის დოზებს.

ურჩი გადამხდელები მოთავსებული იქნებიან ჰაერიზოლატორში. პატიმრობის ვადა შეფარდებული იქნება მუქთად ჩასუნთქული ჰაერის რაოდენობასთან.

იმ რაიონებს, სადაც მასობრივად ფლანგავენ სახელმწიფო ჰაერს, შეუწყდებათ ჟანგბადის მიწოდება და მის ნაცვლად ნახშირორჟანგს მიიღებენ.

ძალზე ნუ გადატვირთავთ ცხვირს, გახსოვდეთ, რომ იგი ყნოსვის და დაცხიკების მოვალეობასაც ასრულებს, ამიტომ სუნთქვის დროს გაადიდეთ ინტერვალები, ე. ი. ისუნთქეთ ეკონომიურად. დიასახლისებს კი ვთხოვთ, ძალზე ფართოდ ნუ გააღებენ საცხოვრებელი ბინების კარ-ფანჯრებს.

ყურადღება, № ოფისში გახსნილია სუნთქვის შემსწავლელი კურსები, სადაც თქვენ დაეუფლებით მომჭირნეობით სუნთქვის ხელოვნებას.

ამა წლის 12 ივლისს ვაკის პარკში ჩატარდება მოწინავე მსუნთქავთა ტურნირი. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც რეკორდული დროით შეაჩერებს სუნთქვას. საპრიზო ადგილებზე გამოსულები დაჯილდოვდებიან აირწინაღებით და ჟანგბადის ბალიშებით. დანარჩენები კი მაყურებელთა ტაშს და სიმპათიას დაიმსახურებენ.

ვინც სამუდამოდ შეწყვეტს სუნთქვას, ამით უზომო სამსახურს გაუწევს ეკოლოგიურ სამსახურს, მიენიჭებათ თავდადებულის წოდება (სიკვდილის შემდგომ), მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან გადიდებული პრემიით, ხოლო დაკრძალვა სახელმწიფო ხარჯზე მოხდება.

ჰაერის ბრაკონიერთა პარპაშს ბოლო უნდა მოეღოს, მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

**ალმანზორ თავაძე**






# აკაკი ასათიანი: ჩვენ მალე ვიტყვით იმის შესახებ, თუ რას ვაპირებთ



ტრადიციონალისტთა კავშირის მორიგ პრესკონფერენციაზე ბატონმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, რომ მათ პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას გადასცეს მიმართვა ლუსტრაციის კანონის განხილვისა და მიღების შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ ჟვანია პასუხისმგებლობით მოეკიდება მათ მოთხოვნას, თუ მას გულწრფელად სურს სახელმწიფოს კეთილდღეობა და ალმშენებლობა. საბჭოთა სივრცეში ეს კანონი მხოლოდ ბალტიელებმა მიიღეს, რადგან ჩათვალეს, რომ ეს აუცილებელია, განაცხადა აკაკი ასათიანმა. ჩვენ ვთვლით, რომ რაც კი რამ უბედურება დაატყდა ბოლო წლებში საქართველოს — სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, ცხინვალის კონფლიქტი, ქვეყნის ძარცვა — ეს ყველაფერი ასეთი ხალხის მიერ გაკეთდა. ისინი ადრეც, ეროვნული მოძრაობის დროსაც მტრობდნენ ქვეყანას და დღესაც განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. ტრადიციონალისტთა ლიდერმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ კანონის მიღება დიდ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, მას არ სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება და მხოლოდ კეთილი ნების გამოვლინებაა საჭირო პარლამენტის ხელმძღვანელობისა და უმრავლესობის მიერ. არგუმენტი ამ კანონის საწინააღმდეგო არ არსებობს. ეს კანონი არ ერჩის უშიშროების თანამშრომლებს, რადგან ისინი მუშაობდნენ უშიშროებაში და აგენტები არ იყვნენ. არავინ ერჩის ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებიც გარკვეული იძულების გამო თანამშრომლობდნენ უშიშროების ორგანოებთან. ლაპარაკია მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებსაც გარკვეული პრეტენზიები აქვთ ხელისუფლებაში ყოფნისა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებისა. ლაპარაკია იმაზე, რომ ასეთი ადამიანები არ უნდა იყვნენ თანამდებობებზე, არც არმიაში. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უგულისყუროდ მოეპყრობა ჩვენს მიმართვას, მაშინ ჩვენ მაინც გავხდით იძულებულს კენჭი უყაროს ამ კანონს, რადგან 30 ათასი ხელმოწერის შეგროვება ნამდვილად არ გაგვიჭირდება საკანონმდებლო ინიციატივის წარსადგენად, ამაზე სულ ერთი კვირა გვეყოფა. მე მგონი, ამ კანონს მიიღებენ კიდეც, რადგან იქნება სახელობითი კენჭისყრაო. 7%-იან ბარიერს რაც შეეხება, ჩვენ უკვე გამოვთქვით თანხმობა მის მხარდაჭერაზე, მაგრამ ამ ამბებმა გამოავლინა ედპ-ს და მოქალაქეთა კავშირის ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ორივე მხარემ, რომ ეს ასე არ არის. ჩვენ ერთი რამ გვენიშნა, უკვე პროცედურის ვადა იწურება თბილისის მერის არჩევის შესახებ ჩვენი მიმართვისა, რომელსაც 36 ათასი ხელმოწერა ახლდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ საკითხში წინსვლა არ იგრძნობა.

პრესკონფერენციაზე ტრადიციონალიტთა ლიდერის მხრიდან ყურადღება გამახვილდა აფხაზეთის საკითხზე. კერძოდ, ითქვა, რომ ეს საკითხი თავისი მნიშვნელობით ყველა სხვა საკითხს ჩრდილავს. ამ საკითხის სიმწვავე უფრო შეიგრძნობა პრეზიდენტის განცხადების შემდეგ, რომ პრაქტიკულად ჩიხშია მოქცეული პოლიტიკური მოლაპარაკებები და გამოსავალს ვერ ხედავს, როცა ვილაცეებს ახლა სტამბულის დათვალიერება მოუნდა, როგორც ადრე ჟენევის. ნადარეიშვილი ბრიუსელში არკვევს, თუ რა პოზიცია აქვს ნატოს, მაშინ როცა ნატოს სამიტზე შევარდნაძეს მოახსენეს ამის შესახებ და აქ ჩამოსულმა სესტანოვიჩმაც გამოთქვა ნატოს პოზიცია. ამერიკის საელჩოც ხშირად აცხადებს, ვისაც აინტერესებს, რომ ეს პრობლემა არის ჩვენი მოსაწესრიგებელი, ამ პრობლემის ომით მოგვარების შანსი ჩვენ გავუშვით იმით, რომ არ შევქმენით არმია და ვითარებაც შეიცვალა საერთოდ მსოფლიოში, ხოლო კოსოვომ ვითარება შეცვალა არა ჩვენს სასარგებლოდ, როგორც აქ ბოდავენ, არამედ ჩვენს საზიანოდ. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს ესმის ეს.

ჩვენს პარტიას აქვს თავისი გეგმა ამ პრობლემის გადაწყვეტის. სხვათაშორის, დევნილთა ნაწილშიც გვყავს მომხრეები და ამის თაობაზე მოძრაობის მაგვარსაც აყალიბებენ. ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას აფხაზური პოლიტიკური წრეების ნაწილთან, მათ გვთხოვეს, რომ დრო სჭირდებათ საჯაროდ წარსადგომად, ჩვენ დიალოგში რაღაც კომპრომისს ვაღწევთ და მალე ვიტყვით იმის შესახებ, თუ რას ვაპირებთ და რას გავაკეთებთ. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს ამ საქმიანობას პერსპექტივა აქვს და როგორც ზოგიერთი ბრალს გვდებს, რომ ეს არის პოლიტიკური ქულების მოპოვებისათვის დაწყებული, ეს ასე ნამდვილად არ არის, თანაც ვაცხადებთ, რომ ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, ძალიან სანატრელი რამ იქნება ქართველებისათვის, ამიტომ არა გვგონია, რომ ამას დიდი საარჩევნო დივიდენტები მოჰყვება, მაგრამ ეს არის სიმართლე, თუნდაც მკაცრი, მაგრამ სიმართლე. ჩვენ გვაქვს მარტივი პრინციპი, რომ თუ შენ გწამს შენი თავის, შენი ხალხის, შენი საქმის და შენი ქვეყნის, ვინც მომავალში დარწმუნებულია, ის ტაქტიკურ სვლას აღარ აქცევს იმხელა ყურადღებას სტრატეგიული გამარჯვების მოპოვებისათვის. ეს არის ცნობილი პრინციპი, რომელიც სამი ათასი წელი მაინც მოქმედებს, თუ მეტი არა ნებისმიერი სახელმწიფოსა და ნებისმიერი საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე. ჩვენ ვატყობთ, რომ ხელისუფლებაც დადარაჯებულია და ელოდება ჩვენს ნაბიჯებს, რადგან თვითონ არის აბსოლუტურ ჩიხში და ამ შემთხვევაში შევარდნაძე იქცევა პატიოსნად, რადგან აფხაზეთთან დაკავშირებით გააკეთა გულწრფელი და პატიოსანი განცხადება და მე ამას მივესალმები. მან ღიად თქვა, რომ მის პოლიტიკურ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყვა, თუმცა 5 წელიწადი კიდევ მოითხოვა. რაც შეგვეხება ჩვენ, შეხვედრებს ვგეგმავთ ივლისაგვისტოში, სხვათაშორის, ხელისუფლებამ, უბრალოდ, დაგვასწრო და სრულიად უსარგებლო შეხვედრა მოაწყო სტამბულში.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო პოზიცია ჩვენს მხარეზე უნდა გადმოვხაროთ იმ ორი კოზირის გამოყენებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ერთია ის, რომ აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე არავინ ცნობს და მეორე, ჩვენ გვყავს დევნილები და არა მათ. ჩვენ აფხაზებს ვეტყვით იმას, რაც გვსურს საჯაროდ და გამოვაცლით იმ არგუმენტს, რომ თითქოს მათ სურთ პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ ქართველები არიან წინააღმდეგი, რადგან საქართველოს ხელისუფლება ღიად არ ამბობს სათქმელს და არ ვიცით, რა სურსო. აი, ჩვენ კი ვიტყვით, რა გვსურს, ეს იქნება მძიმე და კომპრომისული წინადადება, მაგრამ აუცილებელი ჩვენი მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 15 – 20 ივნისი

## 15 ივნისი, სამშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 მესაკუთრე. 18.35 „პერსონა". 18.55 ექიმის მოსვლამდე... 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 რეტროსპექტივა. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ასპარეზი. 22.30 კამერა-ტონი. 22.45 საქმე. 23.10 ინტელექტ-კლუბი. 0.15 მო-TV. 0.25 ფეხბურთში უეფას ტურნირის მოყვარულ გუნდებს შორის თბილისის ტური: საქართველო-თურქეთი.

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.40 კონტრასტი. 20.05 ოქტაგონი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 „თბილისის დროით..." 22.30 მხ.ფ. „ლომი ზამთარში". I ნაწ. 23.50 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.35 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. „ვიკინგების საგა". 23.00 ანალიტ. პროგრამა „Перекресток". 0.50 მხ.ფ. „სინათლის სიჩქარე". 2.45 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.35 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 „ილია". 11.55 მხ.ფ. „ბრწყინვალება". 18.20 მხ.ფ. „შეუბრალებელი ხალხი". 20.35 მხ.ფ. „გმირი". 22.40 მუს.ლაბირინთი. 22.45 მხ.ფ. „ძალზედ ცუდი საქმეები". 0.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: გერმანია-მექსიკა. 2.15 სერიალი „მენტები-13".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 18.10 დოკ.ფ. 20.20, 21.35 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 21.45 მხ.ფ. „თამაში". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 ტელესერიალი „საჰარას საიდუმლო". 14.15 მხ.ფ. „რეპენდორფის ტომი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.45 მუსიკა. 18.30 დოკ.ფ. 18.40 ბიზნეს-კურიერი. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუს.სამშაბათი. 22.30 მხ.ფ. „ჭეშმარიტი ფასეულობანი".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.40, 12.20, 19.00, 20.30, 22.20, 0.25 მუსიკა. 10.30 „გაქცეული მატარებელი". 12.30 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 19.10 მხ.ფ. „აეროპლანი-2". 20.40 მხ.ფ. „ანტიკურ ღმერთთა საგანძური". 22.35 მხ.ფ. „თვითმკვლელთა კლუბი". 0.40 მხ.ფ. 2.50 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.15 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Взгляд". 12.00 Мультфильм. 12.25 "Здоровье". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 "Вместе". 14.00 Сериал "КАПИТАН ТЕНКЕШ". 15.30 Мультсериал. 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Угадай мелодию". 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Тема". 20.45 Х/Ф "ТИТАНИК". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.55 Х/Ф "ИХ ЗНАЛИ ТОЛЬКО В ЛИЦО". 00.30 Музыкальная программа. 01.35 Сериал "БАГЗ-3".

**НТВ КИНО** 11.35, 19.05 Сериал "КРАСАВЧИК" (Испания). 12.30 Х/Ф "ДАЛЕКО ОТ СЕБЯ" (Польша). 14.10, 20.05, 01.00 КиНовости. 14.20 Х/Ф "НАМЕРЕНИЕ УБИТЬ" (США). 15.55 Х/Ф "ВОИНЫ-РОБОТЫ" (США). 17.25 Х/Ф "ОСВОБОЖДЕНИЕ" (США). 20.15 Х/Ф "АНГЕЛ-ХРАНИТЕЛЬ" (США). 21.50 Х/Ф "ШТОРМОВЫЕ ВОЛНЫ" (США). 23.30 Х/Ф "ОПАСНЫЕ ПРИСТРАСТИЯ" (Испания). 1.10 Х/Ф "НЕВЕРНЫЕ ЖЕНЩИНЫ" (Мексика).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Пробившие осаду. 13.50 Кабина экипажа. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Воздушные силы. 15.40 Австралиец. 16.10 Анангард. 16.35 Животное Х. 17.05 Экология-96. 18.00 Нова. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Лучшее из Британии. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Профили природы. 23.30 Самолеты и автомобили Колтрейна. 0.00 Шторм.

## 16 ივნისი, ოთხშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 პრეს-სტუდია. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ამერ-იმერი. (გად.II). 22.40 ტელესინე-ვიდეო. 23.20 ხეირი. 23.30 თუთიყუში მარჩელო. 0.15 მო-TV. 0.25 მხ.ფ. „მამაცი ქალები".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.05 ოქტაგონი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 „ახლო ხედი". 23.00 ქართ.მხ.ფ. „მხოლოდ ერთხელ". 0.10 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.55 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ „განძორცინება იტალიურად". 0.50 მხ.ფ. „შუაღამის ექსპრესი". 3.05 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. „საზოგადოების №1 მტერი". 13.25 „ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. „რაშმორის აკადემია". 19.50 მუსიკა. 20.35 მხ.ფ. „ალისა აქ აღარ ცხოვრობს". 22.35 მუს.ლაბირინთი. 22.40 მხ.ფ. „მერაკეტე". 0.25 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: პოლანდია-იუგოსლავია. 2.10 სერიალი „მენტები-14".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 18.10 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „სასაუზმე ბორბლებზე". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 ტელესერიალი „საჰარას საიდუმლო". 14.15 მხ.ფ „ჭეშმარიტი ფასეულობანი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.50 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „სტუმარი". 22.30 მხ.ფ. "გაიცანით ჯო ბლეკი".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 18.45, 20.35, 22.15, 1.05 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „თვითმკვლელთა კლუბი". 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 18.55 მხ.ფ. „ორასი სიგარეტი". 20.45 მხ.ფ. „თავისუფალი მსროლელი". 22.30 მხ.ფ. „ამადეუსი". 1.20 მხ.ფ. 3.25 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.00 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Тема". 11.55 Мультфильм. 12.10 В мире животных. 12.50 Домашняя библиотека. 13.15 "Вместе". 13.50 Сериал "КАПИТАН ТЕНКЕШ". 15.15 Мультсериал. 15.45, 22.40 "Однако". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Классная компания". 17.05 Зов джунглей. 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Маски-шоу". 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Человек и закон". 20.45 Х/Ф "ТИТАНИК". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.55 Х/Ф "СЕМЬЯ ПОЛИЦЕЙСКИХ". 00.30 К 70-летию чемп. мира по шахматам. 01.20 Сериал "БАГЗ-3".

**НТВ КИНО** 11.35, 19.10 Сериал "КРАСАВЧИК" (Испания). 12.30 Х/Ф "НЕВЕРНЫЕ ЖЕНЩИНЫ" (Мексика). 14.00, 18.55, 1.00 КиНовости. 14.10 Х/Ф "АНГЕЛ-ХРАНИТЕЛЬ" (США). 15.45 Х/Ф "ОПАСНЫЕ ПРИСТРАСТИЯ" (Испания). 17.15 Х/Ф "ШТОРМОВЫЕ ВОЛНЫ" (США). 20.10 Х/Ф "ЛУНА НАД ЛАКОТОЙ" (США). 21.40 Х/Ф "НОЧНОЙ ОХОТНИК" (США). 23.15 Х/Ф "ПОВОД ДЛЯ ВЕРЫ" (США). 1.10 Х/Ф "ГИБРИД" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Вдох и выдох. 13.50 Кабина экипажа. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Ариан-5: за несколько секунд до катастрофы. 15.40 Австралиец. 16.10 Анангард. 16.35 Животное Х. 17.05 Век войн. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Лучшее из Британии. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Морские чудовища. 23.30 Самолеты и автомобили Колтрейна. 0.00 Суперконструкции.

## 17 ივნისი, ხუთშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 „ოქროს გასაღები". 18.45 პიგია. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 მთავარ როლში - სანდრო მრევლიშვილი. 22.00 ვესტნიკი. 22.20 რამპა. 22.25 ტელეხიდი: თბილისი-ბრიუსელი. 22.50 ეკო-დაიჯესტი. 23.10 ხეირი. 23.20 „მრავალსახეობა". 0.15 მო-TV. 0.25 რუს.მხ.ფ. „ადამიანი ამფიბია".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.05 საუბრები მართლმადიდებლობაზე. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 შვიდეული. 22.25 მხ.ფ „მოცურება". 0.10 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.15 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. „ნიჟი". 23.55 „მაშველები". 0.50 მხ.ფ. „კამილა კლოდელი". 3.55 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.45 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. „გუშინდელი სამიზნე". 18.20 მხ.ფ. „ეის ვენტურა-1". 20.35 მხ.ფ. „არამზადას სიკვდილი". 22.50 მუს.ლაბირინთი. 22.55 მხ.ფ. „პირად საქმეში ჩარევა". 0.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: რუმინეთი-ხორვატია. 2.15 სერიალი „მენტები-15".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 18.10 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.50 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „პუდრა". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 ტელესერიალი „საჰარას საიდუმლო". 14.15 მხ.ფ. "გაიცანით ჯო ბლეკი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03 მუსიკა. 18.30 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.30 პოლიტიკური პორტრეტი. 22.30 ფეხბურთის ლეგენდები. 23.30 მხ.ფ. „მებრძოლი თევზი".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე. 20.50 მხ.ფ.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 13.10, 18.55, 20.35, 22.15, 0.10 მუსიკა. 10.30 „ამადეუსი". 13.20 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 18.55 მხ.ფ. „პარასკევი". 20.45 მხ.ფ. 22.30 მხ.ფ. „ორი დღე ველად". 0.25 მხ.ფ. 2.20 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.40 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Человек и закон". 12.00 Клуб путешественников. 12.45 Домашняя библиотека 13.15 Программа "Вместе". 14.00 Сериал "КАПИТАН ТЕНКЕШ". 15.15 Мультсериал. 15.45, 22.40 "Однако". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Волшебный мир, или Синема". 17.00 "Улица Сезам". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Угадай мелодию" 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "В поисках утраченного". 20.45 Х/Ф "ТИТАНИК". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.55 Х/Ф "РЕБРО АДАМА". 00.10 "Собрание заблуждений". 01.00 Х/Ф "СТРАННИКИ".

**НТВ КИНО** 11.35, 19.00 Сериал "КРАСАВЧИК" (Испания). 12.35, 21.30, 0.45 КиНовости. 12.45 Х/Ф "ГИБРИД" (США). 14.10 Х/Ф "НОЧНОЙ ОХОТНИК" (США). 15.40 Х/Ф "ЛУНА НАД ЛАКОТОЙ" (США). 17.10 Х/Ф "ПОВОД ДЛЯ ВЕРЫ" (США). 20.00 Х/Ф "ВОИНЫ ИЗ ВОСТОЧНОГО ЛОС-АНДЖЕЛЕСА" (США). 21.40 Х/Ф "ПРИКОСНОВЕНИЕ" (США). 23.15 Х/Ф "ПОЙДЕТ ЛИ СНЕГ НА РОЖДЕСТВО?" (Франция). 00.55 Х/Ф "ЖЕЛАЮ УДАЧИ" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Экология-97. 13.50 Кабина экипажа. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Ночные бойцы. 15.40 Австралиец. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Животное Х. 17.05 Взаимосвязи с Джеймсом Берком. 18.00 Элиза-лотус: проект М1:11. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Лучшее из Британии. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Территория крокодила. 23.30 Классические велосипеды. 0.00 Детективы-медики

## 18 ივნისი, პარასკევი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 გივი ბერიკაშვილი. 21.40 „კავკასიური სამკუთხედი". 22.00 ვესტნიკი. 22.20 ასპარეზი. 22.30 ამერ-იმერი. (გად. III). 22.50 თV-მობილი. 23.10 დოკ.ფ. „ევროსაბჭო 50 წლისაა". 23.40 „დვრიტა TV წარმოგიდგენთ... 0.15 მო-TV. 0.25 მხ.ფ. „ძმები ბლუზები-2000".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 რაგბი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.30 მხ.ფ. „მფატრავი". 0.10 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.35 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „მაშველები". 10.20, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. „ანგელოზთა ქალაქი". 0.50 „სიმფსონები". 1.20 „ფანტაზიები". 1.50 მხ.ფ. „მირანდა". 3.45 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. „რომანი რბილ ყდაში". 18.20 მხ.ფ „ეის ვენტურა-2". 19.45 მუსიკა. 20.35 მხ.ფ. „მედისონის ოლქის ხიდები". 22.35 თიკო ვირტუალურ სამყაროში. 22.40 მუს.ლაბირინთი. 22.45 მხ.ფ. „შანტაჟი". 0.25 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: არგენტინა-ინგლისი. 3.05 სერიალი „მენტები-16".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 18.05 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „საზრაური". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 ტელესერიალი „საჰარას საიდუმლო". 14.15 მხ.ფ. „მებრძოლი თევზი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.05 მუსიკა. 18.30 დოკ.ფ. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 22.30 მხ.ფ. „კერინგტონი".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.15, 19.05, 20.50, 22.40, 0.40 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „ორი დღე ველად". 12.25 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.15 მხ.ფ. „აგენტი". 21.00 მხ.ფ. „დეზორგანიზებული დამნაშავეობა". 22.55 მხ.ფ. „ლომის გული". 0.55 მხ.ფ. 2.50 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Человек в маске". 12.00 "В поисках утраченного". 12.40 Смак. 13.15 "Вместе". 14.00 Сериал "КАПИТАН ТЕНКЕШ". 15.45 "Однако". 16.15 Х/Ф "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ". 19.15 "Джентльмен шоу". 19.45 Док. детектив "Укус скорпиона". 20.15 "Здоровье". 20.45 "Поле чудес". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ИЗ ЛЮБВИ К ИСКУССТВУ". 00.30 "Тема недели". 00.50 Х/Ф "ЗОЛОТО".

**НТВ КИНО** 11.35, 19.10 Сериал "КРАСАВЧИК" (Испания). 12.35 Х/Ф "ЖЕЛАЮ УДАЧИ" (США). 14.10, 20.10, 1.15 КиНовости. 14.20 Х/Ф "ВОИНЫ ИЗ ВОСТОЧНОГО ЛОС-АНДЖЕЛЕСА" (США). 15.50 Х/Ф "ПРИКОСНОВЕНИЕ" (США). 17.25 Х/Ф "ПОЙДЕТ ЛИ СНЕГ НА РОЖДЕСТВО?" (Франция). 18.55 Х/Ф "ЦЫПЛЕНОК, ЦЫПЛЕНОК, ЦЫПЛЕНОК" (Италия). 20.20 Х/Ф "ГОЛЛИВУДСКОЕ САФАРИ" (США). 21.45 Х/Ф "ТАЙНАЯ МИССИЯ" (США). 23.20 Х/Ф "ЛЮБОВНАЯ СТРАСТЬ" (Италия). 1.25 Х/Ф "ЧАС УБИЙСТВ" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 С днем рождения. 13.50 Кабина экипажа. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Орудия войны. 15.40 Австралиец. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Животное Х. 17.05 Крылья над Африкой. 18.00 Маршрутами Нового Завета. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Лучшее из Британии. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Рожденные побеждать. 23.30 Классические велосипеды. 0.00 Ядерная зима 1957 года.

## 19 ივნისი, შაბათი

**1** 10.00 დილის პროგრამა. 12.00 XXI. 12.20 ცეკვავს „მზექალა". 12.45 მხ.ფ. „ფრთხილად, დენის". 13.55 „ივერიონი". 14.20 „...და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.15 კვალი. 15.45 კონცერტი. 16.05 ილია ტაბაღუა. 16.25 ანსამბლი „კელეპტარი" 20 წლისაა. 17.15 „საქართველო და გარე სამყარო". 17.45 მესაკუთრე. 18.15 საოჯახო ლოტო. 18.50 მო-TV. 19.00 აჭარა. 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 „პიროვნული მომენტი". 21.30 „მაესტრო". 22.30 დედაქალაქი. 22.45, 0.15 „ილუზიონი" - მხ.ფ. „ძმაო ჩემო მზევ".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.50 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 21.10 ავტოსპორტი. 21.30 ჯაზ-სპრიტი. 22.00 მხ.ფ. „მისი თამაში". 0.20 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 1.20, 4.05 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 „სიმფსონები". 12.30, 19.40 „მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 „მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.35 სპორტ.პროგრამა. 21.50 ფსიქო - მხ.ფ. „როზმარის ჩვილი" 1.50 „ფანტაზიები". 2.00 მხ.ფ. „თმები". 4.15 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 17.05, 20.05, 23.50 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. „სპეციალისტი კამელოტისათვის". 18.45 დოკ.ფ. 19.20 ვარსკვლავი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 მხ.ფ. „ძაღლის სურნელი". 23.55 „ბედნიერი ერი". 0.00 ესპანეთის ჩემპიონატი.

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.0 მხ.ფ. „ავტორიტეტი". 0.15 ჯაზ-პარნასი.

**ევრიკა** 11.00 "სტუდია-25". 11.30, 18.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 მხ.ფ. "ძვირფასო, მე შევამცირე ბავშვები". 13.30, 18.30, 20.15 მუსიკა. 14.00 ლიტ.გადაც. "პეგმანი მწერალთან". 15.00 თქვენი ადვოკატი. 16.00 კვირის სპორტი. 17.00 დოკ.ფ. 19.00 „შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 „სტილი". 20.30 აქტუალური თემა. 21.30 „ილია". 21.35 სცენის ოსტატები. 22.05 მხ.ფ. "კაპიტანი კონანი".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.20, 13.45, 15.35, 19.30, 21.20, 23.00, 0.55 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „ლომის გული". 12.15, 18.00 მულტფილმი. 13.55 მხ.ფ. 15.45 კლიპ-მიქსი. 19.40 მხ.ფ. „ბოროტების ბადე". 21.30 მხ.ფ. „დამცველი". 23.15 მხ.ფ. „გაქრდვა". 1.10 მხ.ფ. 3.20 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 8.55 Х/Ф "ПО ВОЛЧЬЕМУ СЛЕДУ". 10.25 Слово пастыря. 10.45 "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 17.40, 18.50 Новости. 11.15 "100 %". 11.45 "Утренняя почта". 12.20 Каламбур. 12.50 Смак. 13.10 "История одного шедевра". 13.40 КВН-ассорти. 14.10 Х/Ф "АВТОПОРТРЕТ НЕИЗВЕСТНОГО". 15.25 "Цивилизация". 16.15 В мире животных. 17.00 "Как это было". "Покорение Эвереста". 18.00 Футбол. Чемп. России. "Торпедо" - "Ротор". 20.10 Х/Ф "ПЕРЕХОД". 22.00 Время. 22.50 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.30 Церемония вручения премии "Стопудовый хит от радио "Хит-FM". 02.35 Х/Ф "ЭЛЕКТРОШОК".

**НТВ КИНО** 11.35, 19.50 Сериал "КРАСАВЧИК" (Испания). 12.35, 22.25 Календарь "Мира кино". Кэтлин Тернер. 12.50 Х/Ф "ЧАС УБИЙСТВ" (США). 14.50 Х/Ф "ГОЛЛИВУДСКОЕ САФАРИ" (США). 16.15 Х/Ф "ТАЙНАЯ МИССИЯ" (США). 17.55 Х/Ф "ЛЮБОВНАЯ СТРАСТЬ" (Италия). 20.50 Х/Ф "БЕЛЫЕ ВОЛКИ" (ГДР - Югославия). 22.40 Сделано в Голливуде. 1959 г. 23.15 Х/Ф "СЕРДЦЕ СПРАВЕДЛИВОСТИ" (США). 00.45 Х/Ф "БОСТОНСКИЙ РЫВОК" (Великобритания). 02.30 Х/Ф "НОЧНАЯ ОДЕРЖИМОСТЬ" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Динозавры. 13.50 Секреты физики. 14.45 Первые полеты. 15.40 Королева скалы. 16.45 Крылья над морем. 17.35 Военные корабли. 18.25 Катастрофа. 19.20 Первые полеты. 20.00 Танки и их история. 21.00 Войны Сталина с Германией. 23.00 Суперконструкции. 0.00 Шторм.

## 20 ივნისი, კვირა

**1** 10.00 დილის პროგრამა. 12.00 სპა. 12.30 რეიტინგი. 12.45 საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ... 13.45 „ხელთ უფალნი". 14.00 სოფლის ქრონიკები. 14.30 „მხიარული რიტმები". 15.00, 17.45, 0.00 მოამბე. 15.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა. 15.25 „ეძიე ქალი..." 15.45 ქორეოგრაფი - გია მარღანია. 16.20 „მსოფლიოს ახალი ამბები". 16.40 „გლობუსი". 17.20 „რენომე". 18.00 ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალები - რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 19.00 ლატარია ყველესათვის. 19.20 აფხაზეთის ტელევიზია. 19.45 „ენერგია". 19.20 ტოტო-ლოტო. 20.15 „დიდების ზღაპარი". 20.35 „შოკოლადის მიკროფონი". 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 „ფორტუნა". 22.40 ტელესკოპი. 22.55 „სატ.კინოდარბაზი" - „არტისტი". 23.05 ხეირი. 23.15 მო-TV. 23.45, 0.15 მხ.ფ. „საიქიო პირები".

**2** 19.00 „კვირადღე": მულტფილმი, გაილიმე, ანტრაქტი, სტუმარი, სუპერ-მატჩი, კინოფანტაზია, "შვიდეული", მხ.ფ., ღამის ქალაქი, ჰიტ-პარადი, ანტრაქტი.

**რუსთავი 2** 8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 1.20, 3.00 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 0.00 „სიმფსონები". 12.30, 19.40 „მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 „მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.30 სპორტ.პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ.ფ. „პარადიგმ". 1.30 მხ.ფ „განრული". 3.10 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.05, 21.40 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. „განძის კუნძული". 18.50 კალათბურთი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 „ავტოპილოტი". 21.45 მხ.ფ. „უკვდავი შეყვარებული". 23.30 გასართ.პროგრამა. 23.50 მხ.ფ. „ორგაზმო".

**კავკასია** 17.00 მულტფილმი. 18.10 „კოკროჭინა". 19.00 მხ.ფ. „ლადარი". 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 21.00 ვარსკვლავები. 21.45, 23.50 მუსიკა. 22.00 მხ.ფ. „მთასვლელი". 0.15 ჯაზ-პარნასი.

**ევრიკა** 11.00 - 0.00 პროგრამა „ჩემო საქართველო".

**ს** 10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ.მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.15, 13.35, 15.00, 19.15, 21.00, 22.50, 0.40 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „გაქრდვა". 12.25, 18.00 მულტფილმი. 13.45 მხ.ფ. „სალამი მესაყვირე ჩარლისგან". 15.10 კლიპ-მიქსი. 19.25 მხ.ფ. „სიყვარული და სიკვდილი ლონგ-აილენდში". 21.10 მხ.ფ. „გაუნადგურებელი". 23.05 მხ.ფ. „ეშმაკის არითმეტიკა". 1.55 მხ.ფ. „ვნების კოცონი". 3.40 ნონ-სტოპი.

**ОРТ** 9.00 Мультфильмы. 09.10 Х/Ф "ДЕВОЧКА ИЗ ГОРОДА". 10.30, 17.35, 18.00 Дисней-клуб. 11.00, 16.00 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.30 "Пока все дома". 12.10 "Утренняя звезда". 12.55 "Служу России". 13.30 "Играй, гармонь любимая!". 13.55 "Все путешествия команды Кусто". 15.25 "Смехопанорама". 16.15 Клуб путешественников. 17.05 Футбольное обозрение. 18.30 "Колесо истории". 19.15 "Помню... Люблю...". 19.45 "Ералаш". 20.00 Х/Ф "КРЕСТОНОСЕЦ". 22.00 Время. 22.35 Х/Ф "В ПОИСКАХ ПРИКЛЮЧЕНИЙ". 00.15 Новости культуры. 00.35 "Тихий дом". 01.05 Сериал "ЗОЛОТЫЕ ГОДЫ СТИВЕНА КИНГА".

**НТВ КИНО** 11.35 Х/Ф "НОЧНАЯ ОДЕРЖИМОСТЬ" (США). 13.00 Сделано в Голливуде. 1959 г. 13.30 Х/Ф "БЕЛЫЕ ВОЛКИ" (ГДР - Югославия). 15.10 Х/Ф "БОСТОНСКИЙ РЫВОК" (Великобритания). 16.55 Х/Ф "СЕРДЦЕ СПРАВЕДЛИВОСТИ" (США). 18.25 Х/Ф "ДЖОРДАНО БРУНО" (Италия - Франция). 20.25 Сериал "КРАСАВЧИК" (США). 7-я серия. 21.25 Х/Ф "ГОРБУН" (Франция - Италия). 23.10 Х/Ф "МЕЧТА КАЖДОЙ ЖЕНЩИНЫ" (США). 00.40 Х/Ф "ПОВЕЛИТЕЛЬ РЫБ" (США). 2.15 Х/Ф "ДНЕВНИК НОСФЕРАТУ, ИЛИ ОБЪЯТИЯ ВАМПИРА" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Элиза-лотус. 13.50 Красивое решение. 14.20 Мир будущего. 14.45 Маршрутами Нового Завета. 15.40 Поворотные моменты истории. 16.10 Животное Х. 16.35 Охотники на призраков. 17.30 Век войн. 19.20 Загадочное животное. 20.00 Корабли-ракеты. 21.00 Экстремальные машины. 22.00 Все, что вы хотели знать о... 23.00 Охотник на крокодилов. 0.00 Небесная археология.

# ჰოროსკოპი

## 15 — 21 ივნისი, 1999 წელი.

**ვერძი**

დიდი უსიამოვნებები, რომელიც წინა პერიოდში გქონდათ, დამთავრებულია. ბედის ფორტუნა თქვენთვის სასიკეთოდ შემოტრიალდა, თუმცა უფულოდ სიამოვნება არ ჩაივლის. სანამ რაიმეს გააკეთებთ, ორშაბათ დღეს უნდა დაფიქრდეთ. ოთხშაბათს ყველაფერი ნელა გააკეთეთ — კარგი დღეა. ხუთშაბათს მიენდეთ თქვენს ინტუიციას. შაბათს შეგიძლიათ ეწვიოთ მაღაზიებს, ოღონდ ბევრად ნუ დაიხარჯებით, რადგან კვირას ფული ძალიან დაგჭირდებათ.

**კურო**

ამ კვირას საჭიროა თავიდანვე ყველაფრის მიმართ სასიკეთოდ განეწყოთ. ორშაბათი კარგი იქნება იმით, რომ მეგობრებთან, კოლეგებთან ნაყოფიერი ურთიერთობები მოგიწევთ. სამშაბათს საქმეების გამო გზას დაადგებით, რომელიც თქვენ წარმატებას მოგიტანთ. ოთხშაბათს თქვენ გექნებათ ძალა არაორდინალური საქმე აწარმოოთ. ხუთშაბათს თქვენს ეიფორიულ მდგომარეობას შეცვლის რეალისტური ხედვა მოვლენებისა. პარასკევს მოიკრიბეთ მაქსიმალური ძალები თქვენი ინტიმური გადაწყვეტილებების მისაღებად.

**ტყუპები**

ეს თქვენი თვეა, ერთია მხოლოდ, ამ კვირაში მეტად გადაიტვირთებით, ორშაბათს და ოთხშაბათს გაფრთხილდით, ავად არ გახდეთ. სამშაბათს არასასიამოვნო საუბარს სერიოზულ მნიშვნელობას ნუ მისცემთ, თორემ ოთხშაბათს შეიძლება ეს ყოველივე სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდოს. მხოლოდ კვირის ბოლოს, შაბათიდან გეწყებათ სიმშვიდე. კვირა სასიკეთო ტრიუმფით დასრულდება.

**კირჩხიბი**

ამ კვირას თქვენ არ მოიწყენთ. ორშაბათიდან იწყება არდაგეგმილი საქმიანობა და მისით გამოწვეული იმედგაცრუება. სამშაბათს ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ, ოთხშაბათს პირად ცხოვრებას დაუთმეთ მეტი ყურადღება. კვირას ნუ მოეშვებით, მოდუნებული ნუ შეხვდებით შემდგომ კვირას, რომელიც ბევრს სასიკეთოს გპირდებათ და სწორედ დღეს უნდა დაგეგმოთ, საიდან შეიძლება მიიღოთ ფული.

**ლომი**

როგორც ჩანს, ეს თქვენი კვირაა.

ორშაბათიდანვე დაგეგმეთ ყოველივე. სამშაბათი და ხუთშაბათი დიდ სიხარულს მოგიტანთ, თუმცა, ყოველივე თქვენს მხრებზე დიდი ძალით გადაივლის, მაგრამ შედეგი მეტად შთამბეჭდავად დასრულდება. ოთხშაბათს ხელს ნუ ჩაიქნევთ, რადგან რაღაც მომენტში მოგეჩვენებათ, რომ არასწორად მოქმედებთ. ასე რომ, იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

**ქალწული**

ელოდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს. ორშაბათს შეიძლება მოგივიდეთ კონფლიქტი შინაურ წრეში. სამშაბათს კონფრონტაცია გაგრძელდება. ოთხშაბათს ერიდეთ ავადმყოფობას, ხუთშაბათს ყველაფერი უკეთესად იქნება. პარასკევს შეგიპყრობთ სევდა. მომავლისთვის ელოდეთ უკეთეს დროს. კვირას თქვენი შრომა დაჯილდოვდება.

**სასწორი**

ბევრი რამ, რაც თქვენ დაგეგმეთ, შეიძლება არ შეგისრულდეთ. ორშაბათს დიდ ამოცანებს ნუ დაისახავთ, სამშაბათს თქვენს მელანქოლიას პატარა მოგზაურობა გააქარვებს. ოთხშაბათს თუ ფრთხილად არ იქნებით, კონფლიქტი გექნებათ. გამოსასვლელი დღეები დაუთმეთ ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას და მეგობრებს.

**ღრიანკალი**

საქმე ძველებურად კარგად იქნება. ორშაბათს ენდეთ თქვენს ინტუიციას. სამშაბათს ელოდეთ საქმის მოულოდნელ შემობრუნებას, ამიტომ მზად იყავით. პარასკევს საქმის მოულოდნელი გართულებები გექნებათ, რაც ღირსეულად უნდა გადაიტანოთ, შაბათს იზრუნეთ თქვენი ნათესავების ჯანმრთელობაზე.

**მშვილდოსანი**

თქვენი სულიერი განწყობა გაძლევთ ძალას იმოქმედოთ გაბედულად. ორშაბათს გექნებათ მნიშვნელოვანი სატელეფონო საუბარი, რაც სამშაბათს მიგაღებინებთ საუკეთესო გადაწყვეტილებას. ოთხშაბათს და ხუთშაბათს დაიტვირთებით საქმეებით, პარასკევს იგრძნობთ დაღლილობას და მოახერხებთ განტვირთვას. კვირა სასიამოვნოდ დასრულდება.

**თხის რქა**

რაც თქვენ ჩაიფიქრეთ, აუცილებლად შესრულდება კვირის ბოლოს. ორშაბათს მოულოდნელად გეცვლებათ გეგმები, თუმცა უკეთესობისაკენ. სამშაბათს დაგეგმილი ოთხშაბათს და ხუთშაბათს სასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ, ოღონდ, წარმატებებისაგან თავბრუ ნუ დაგეხვევათ.

**მერწყული**

ორშაბათს სერიოზული საქმიანობის შემდეგ იგრძნობთ სულიერ კმაყოფილებას, სამშაბათს და ოთხშაბათს გააგრძელებთ წარმატებებით სვლას. ხუთშაბათს მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, პარასკევს კვლავ ჩაერთვებით წარმატებულ საქმიანობაში. გამოსასვლელ დღეებში ელოდეთ მოგებას.

**თევზები**

თქვენი საქმეები გამოსწორებისაკენ მიდის. ორშაბათს ენდეთ თქვენს ინტუიციას. სამშაბათს ოდნავ შეცვლით გეგმებს, რაც უკეთესობას მოგიტანთ. ოთხშაბათს ახალი პერსპექტივებით ფრთებშესხმული იგრძნობთ ცხოვრების გემოს. ხუთშაბათი და პარასკევიც წარმატებული გაქვთ. მეგობრების ინტრიგებს გულთან ნუ მიიტანთ. კვირას კარგ ხასიათზე იქნებით.


ბათუმში იყიდება 4 ოთახიანი ბინა (180 მ²) რუსთაველის 57, I სართული, ბინა 3. უმაღლესი რემონტით, 4 კონდიციონერით. ზღვის ნაპირიდან 50 მ. საკონტაქტო ტ. 8-88-222-7-24-04. 8-99-56-66-04. ფასი შეთანხმებით.

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით (5მ.) ტაბიძის ქუჩაზე (მერიის უკან) 3-სართულიან სახლში, ფასი 10000 დოლარი. ტ. 92-08-77, გოგი.

იყიდება დიდი დიღმის IV მიკრო რაიონში ავტოტრანსპორტის ბოლო გაჩერებასთან ლვოვის პროექტის 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე მდებარე 4-ოთახიანი ბინა. სარემონტო. ფასი 5000 დოლარი. დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. საღამოს საათებში.

ქირავდება პრესის სარეალიზაციო ადგილები ქალაქის სხვადასხვა უბნებში სათანადო ნებართვებით. უმუშევართა საყურადღებოდ. ხელმისაწვდომ ფასებში. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. 72-40-02, გენადი, 93-18-41, 93-20-36, ზაზა.

ქირავდება ან იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი ყველა საჭირო დანადგარით დეზერტირების ბაზრის I სართულზე. საკონტაქტო ტელეფონი 93-20-36 (სერგო). პეიჯერი (900) 70-60 — ირაკლი.

ქირავდება 50მ² ბინა. გამოდგება საოფისედაც. ჩოდრიშვილის ქუჩაზე. ტ. 76-88-33.

ქირავდება ბინა შეროზიას ქუჩაზე, 60მ². გამოდგება საოფისედაც. ტ. 76-88-33. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კერძო, იზოლირებული 2-სართულიანი სახლი. I სართული ნახევრად სარდაფი, მე-2 სართული მაღალი ბელეტაჟი. I სართულის საერთო ფართი 90 კვ. მ. სველი წერტილები ცალკეა. საწყისი ფასი 14000 დოლარი. ტელ. 95-85-83. მისამართი: ბოჭორიძის ქ. 11.

ვცვლი სამოთახიან ბინას ერთ და ოროთახიანზე. თემქა, მე-4 მ/რ, II სართ. ბუნებრივი გაზით, სარდაფით.
ტელ. 64-7.-45 ლელა. 34-73-78 ელზა.


# სკანვორდი



# გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში მაღალი არტერიული წნევა უმეტესად ხანშიშესული ადამიანების ხვედრია (ეს არ ნიშნავს იმას, ვითომ შტატებში მხოლოდ მოხუცებს აქვთ მომატებული არტერიული წნევა), მაგრამ სხვადასხვა პოპულაციები ამ მხრივ საგრძნობლად განსხვავდებიან. იქ, სადაც ცხოვრების შედარებით პრიმიტიულ წესს მისდევენ და დიეტაში სუფრის მარილის შემცველობა ნაკლებია, უფროსებისა და ბავშვების არტერიული წნევის ციფრები თითქმის არ განსხვავდებიან. მეორე მხრივ, შავკანიან მოსახლეობაში, როგორც საკუთრივ აშშ-ში, ისე ბაჰამის კუნძულებზე მცხოვრებთა შორის არტერიული წნევის საშუალო დონე საგრძნობლად აღემატება იმავე ადგილას მაცხოვრებელი თეთრკანიანი მოსახლეობის არტერიული წნევის საშუალო მაჩვენებელს. ამის კონკრეტული მიზეზი მეცნიერთათვის ჯერჯერობით უცნობია.

თქვენ, ალბათ, ხშირად გსმენიათ, რომ სუფრის მარილის (ზოგჯერ მას ხატოვნად, ან ზედმეტი ეფექტის მოსახდენად თეთრ სიკვდილსაც უწოდებენ ექიმები) ჭარბი გამოყენება საჭმელში შესაძლებელია, არტერიული ჰიპერტონიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გახდეს. საქმე ისაა, რომ პიროვნებას, ვისაც გენეტიკურად გარკვეული მიდრეკილება აქვს არტერიული წნევის მატებისადმი, მლაშე საკვების უხვად და ხშირად გამოყენებისას უფრო ადრე გამოუვლინდება აღნიშნული სენი. ადრე ბავშვთა საკვები მომატებულ ნატრიუმის ქლორიდს (მარილის ქიმიური სახელწოდება გახლავთ) შეიცავდა. ხანგრძლივი გამოკვლევების შემდეგ ეს „ტრადიცია" უსიტყვოდ იქნა დარღვეული და ამჟამად ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული ფირმა (თუ ქვეყანა) სულ ჩვილი ასაკის ბავშვებისთვისაც კი მარილის შეზღუდული შემცველობის საკვებს სთავაზობს მომხმარებელს. ისე, სასურველია, ვიცოდეთ, რომ დედის რძე საგრძნობლად უფრო ნაკლებად მლაშეა, ვიდრე ძროხის რძე. ამიტომაც ე. ნ. რისკის ჯგუფის ოჯახებში, თუ ამის ფიზიოლოგიური საშუალება არსებობს, ბავშვები ძირითადად დედის რძით იკვებებოდნენ.

საერთოდ, ადამიანებს, იმათაც კი, ვისაც ცხოვრება და შრომა ცხელი კლიმატის პირობებში უხდება, ორგანიზმის სრულფასოვანი ცხოველმყოფელობისათვის სუფრის მარილის შედარებით ნაკლები რაოდენობა (დღეში 10-12 გრამი, ანუ დაახლ. 2 ჩაის კოვზი) სჭირდებათ. არტერიული წნევის მატებისას სუფრის მარილის ხმარების დღიური რაციონი 2,5-3 გრამამდე შეიძლება შეიზღუდოს. სამწუხაროდ, მარილის ხმარების შეზღუდვა ავტომატურად არ იწვევს არტერიული წნევის სტაბილიზაციას. ამჟამად ზოგიერთი სერიოზული გამოკვლევების ავტორები გვირჩევენ ბლომად ხილის, ან ხილის წვენების მიღებას, რაც კალიუმის მარილების ჭარბ რაოდენობას შეიცავს. ასევე სასარგებლოდ ითვლება კალციუმით მდიდარი მოხდილი რძის გამოყენებაც (ნაღებში, უბრალოდ, ბევრი ცხიმებია!), თუ სხვა დაავადებების გამო (ეს ძირითადად კუჭ-ნაწლავის პრობლემებს ეხება) რძის მიღება შეზღუდული არა გაქვთ.



**ვაჟა აგლაძე**

*(გაგრძელება იქნება)*




**ვულოცავ**

ლევან ჩიძოვანს დაბადების დღეს. ჩემო ლევან! გისურვებ დღეგრძელობას, ბედნიერებას, ზღვა სიხარულს და ყველა დასახული მიზნის შესრულებას. იბედნიერე და იხარე.

*შენი მურთაზ (ყორყი) ჩიქოვანი ოჯახით.*

**მაია ლომთაძეს!**

მაიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებ ყოველივე კარგს. ღმერთმა წყალობა და მადლი არ მოგაკლოს.

*ბასილი და ახლობლები*

ვულოცავთ სკოლის დამთავრებას ქ. რუსთავის №23 საშუალო სკოლის XIᵇ კლასის ყოფილ მოსწავლეს ნათია ხადილაშვილს, მის მეგობრებს — მარიანას, მაიას, ინგას, მარტას, სალომეს, ლევანს, თორნიკეს, დიტოს, გელას და სხვებს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ, ლამაზ მომავალს!

*დედა მზია, მამა ზურაბი, და — ხატია.*

**ელისო გვაზავას!**

შემოფრთხიალდები დილით და ოთახს გაგვინათებ. გულს უხარია შენი ნახვა; დაბადების დღეს გილოცავთ სიყვარულით.

*გაზეთ „საქართველოს რედაქცია"*




## მადლობა ექიმებს

უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა იაშვილის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს „რესპუბლიკა" ინფექციური ბოქსირებული განყოფილების თანამშრომლებს, ლია გაჩეჩილაძეს (განყ. გამგე), თამარ გოგოლაძეს, ნინო გვარამაძეს, ირმა სამნიაშვილს, ნანული ბედელაძეს, ასევე რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების მედპერსონალს, ბ-ნ დავით ფრუიძეს (განყ. გამგე), ნანა ბეჟანიშვილს, დევი ზარნაძეს, ბესო ყაველაშვილს, ნათია დოლონაძეს, თინა ირემაშვილს, ნინო ქიქოძეს, ირმა მაისურაძეს, სოფიკო ჩუგუაშვილს, დალი ბერიძეს, ლარეტა მუქერიას და ნინო გვიშიანს იმ დიდი გულისხმიერებისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და კაცთმოყვარეობისათვის, რაც მათ ჩემი პატარა ვაჟიშვილის მკურნალობისას გამოიჩინეს.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ექიმები, ადამიანები, პროფესიონალები. დაგლოცოთ გამჩენმა! თქვენი მარჯვენა, გონი და პროფესიონალიზმი კვლავაც დიდხანს ემსახუროს ქართველი ერის ჯანმრთელობის საქმეს.

*დიდი მოწიწებით და პატივისცემით*
*დათო სუთიძე*


მთავარი რედაქტორი
**სერგო ჯანაშია**

მთავარი რედაქტორის მოადგილე
**გია თვალავაძე**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

რედაქცია: ელგუჯა ჩხაიძე (რედ. მოადგილე — დარგობრივი ეკონომიკა), გიორგი ბეჟუაშვილი — უცხოური ინფორმაცია, ზაზა ალადაშვილი — კომერციული დირექტორი, თემურ კოზოლაშვილი — სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგე; მანანა ლობჟანიძე — პოლიტიკა, ნანა ძველაია — რეგიონალური პოლიტიკა, იზოლდა ცირდავა — ინფორმაცია.

კორესპონდენტები: ქეთი ჩადუნელი, ნათია ჭანტურია,
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
პაატა დავითაშვილი.
სოსო გენებაშვილი.
ზურა აბაშიძე.
ნანა რევიშვილი.
მარინა ფერაძე.
ირმა გურაშვილი.